ბედნიერი აღდგომა გაგვითენდეს, მამულო ჩვენო!

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 79 (623) შაბათი, 17 აპრილი, 1993 წელი ფასი 10 მანეთი

წუხელ შევიტყვეთ

ცნობები აფხაზეთიდან

როგორც აფხაზეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების პრესცენტრიდან გვაცნობეს, 15 აპრილს მდინარე გუმისთაზე დილისათვის სიმშვიდე იყო შენარჩუნებული. ათი საათისათვის კი მოწინააღმდეგემ სოხუმის მიმართულებით ისროლა რამდენიმე ჭურვი. აფეთქებას მსხვერპლი და ნგრევა არ მოჰყოლია.

18 საათიდან მოწინააღმდეგე კვლავ გააქტიურდა და გახსნა ინტენსიური ცეცხლი ჩვენი პოზიციებისა და სოხუმის მიმართულებით. ისროდნენ ტანკებიდან, ქვეითთა საბრძოლო მანქანებიდან, ქვემეხებიდან, ყუმბარსატყორცნებიდან. ჭურვები აფეთქდა შუქურისა და სოხუმის ახალ რაიონში. დაიღუპა ერთი და დაიჭრა ორი მშვიდობიანი მოქალაქე.

შუქურის რაიონში ჭურვმა დააზიანა იქ არსებული მაცივრის მილი, საიდანაც გაჟონა ამიაკმა. გაჩნდა ხანძარი და შეიქმნა ქიმიური მოწამვლის საშიშროება. ახლომდებარე საცხოვრებელი სახლებიდან მოხდა მოსახლეობის სასწრაფო ევაკუაცია, ხოლო მეხანძრეებმა მებრძოლთა დახმარებით ოპერატიულად ჩააქრეს ხანძარი. საპასუხო საარტილერიო ცეცხლმა მოწინააღმდეგე აიძულა ქალაქის დაბომბვა შეეწყვიტა.

●

15 აპრილს სოხუმში ჩამოვიდა რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი თენგიზ კიტოვანი და სხვა სამხედრო პირნი.

სოხუმში ჩამოსვლამდის 6-ნი თენგიზ კიტოვანი იმყოფებოდა ზუგდიდში, სადაც შეხვდა ადგილობრივი ხელისუფლებისა და სამხედრო ფორმირებათა ხელმძღვანელებს. აქ წარმოებული მოლაპარაკებების შედეგად აღდგა სარკინიგზო მიმოსვლა ზუგდიდი-სოხუმის მონაკვეთზე.

ზუგდიდის შემდეგ თენგიზ კიტოვანი ოჩამჩირეს ეწვია, სადაც შეხვდა შეიარაღებული ძალების პირად შემადგენლობას, იყო ფრონტის ხაზზე.

ოჩამჩირეში ყოფნისას თავდაცვის მინისტრის ბრძანებით ქ. ოჩამჩირის კომენდანტად დაინიშნა მალხაზ ყიფიანი.

●

16 აპრილს 8 საათისათვის სოხუმის შუქურის რაიონის სიახლოვეს გამოჩნდა გემი, რომელიც მალევე მიიმალა ზღვის სიღრმეში.

9 საათისათვის მოწინააღმდეგემ მდინარე გუმისთის გაღმა მხრიდან სოხუმის მიმართულებით გახსნა ძლიერი საარტილერიო ცეცხლი. ქალაქის დასაბომბად მათ გამოიყენეს რეაქტიული დანადგარი „ალაზანი" და ქვემეხები. ქალაქის სხვადასხვა რაიონში აფეთქებული იქნა 30-ზე მეტი ჭურვი. მნიშვნელოვნად დაზიანდა რამდენიმე შენობა. წინასწარი მონაცემებით დაიღუპა 4 და დაიჭრა 9 მოქალაქე.

●

სარწმუნო წყაროებიდან გახდა ცნობილი, რომ არძინბას პირადი გადაწყვეტილებით გუდაუთაში დახვრიტეს 15 აფხაზი ბოევიკი, რომელთაც ბრალად ედებოდათ ქართულ საჯარისო ფორმირებებთან შეტაკებისას აქტიური საბრძოლო მოქმედებებისაგან თავის არიდება.

იოსებ ბოგეჩია.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი მოვლენა კომენტარი

ჩვენი გული და აზროვნება სიკეთისაკენ უნდა მივმართოთ, რათა დავიბრუნოთ ნამდვილი სარწმუნოება, და ამპარტავნობისაგან განთავისუფლებულებმა ავალორძინოთ ჭეშმარიტი სიყვარული!

საადღგომო ეპისტოლე

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II

ღვთისმშობლის წილხვედრი ივერიის ღვთივკურთხეულნო შვილნო:

„აწ განთავისუფლებულ ხართ ცოდვისაგან და დამონებულ ხართ სიმართლესა" (რომ. 6,18).

ყოვლადუსამღვდელოესნო მღვდელმთავარნო, მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონოზონნო, ძენო და ასულნო საქართველოს სამოციქულო ეკლესიისა, ივერიის წმიდა მიწის მკვიდრნო და სამშობლოს საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო, მიხაროდეთ,

ქრისტე აღსდგა!

აღდგა დაკარგული ერთობა ღმერთთან, აღდგა სასოება და იმედი კაცთა, აღმობრწყინდა მზე სიმართლისა და გამოჩნდა გზა მარადიული ნეტარებისა; მდიდართ და გლახაკთ, ბრძენთ და უსწავლელთ, ხანდაზმულთა და ყრმათ,— ყველას უხმობს უფალი სიხარულის ტრაპეზზე, რათა მიაგოს თითოეულს ღირსებისამებრ მათისა. „ნეტარ არიან, რომელთა მიეტევნენ უსჯულოებანი და რომელთა დაეფარნენ ცოდვანი" (რომ. 4,1).

ვინ არის ღირსი ამ მადლისა, ასეთი მოწყალებისა? — ის, ვინაც ესმის ამქვეყნიური ცხოვრების არსი, ვინც სიტყვით და საქმით შეძლებისამებრ ადიდებს ჭეშმარიტ ღმერთს და აცნობიერებს თავის მისიას ამ წუთისოფელში.

ყოველ ადამიანს საკუთარი იდეა, საკუთარი მისწრაფება აქვს, რომლის განხორციელებისთვისაც იგი იღწვის, მაგრამ არსებობს ყველასათვის საერთო იდეაც — ეს არის სწრაფვა ამაღლებულისაკენ, ღვთის მსგავსებისაკენ.

რა საქმიანობასაც უნდა ეწეოდეს კაცი, უმთავრესი მისთვის შემოქმედთან მიახლოების სურვილი უნდა იყოს. ბიბლიაში ვკითხულობთ, ყოვლადწმიდა სამებამ ადამიანის შექმნა რომ გადაწყვიტა, ბრძანა: „შევქმნეთ კაცი ხატისაებრ ჩვენისა და მსგავსებისაებრ" (დაბადება, 1, 26). მაშასადამე, რადგანაც ადამიანი ღვთის ხატად შეიქმნა, სწრაფვა სრულყოფილებისაკენ, პირველსახის ანუ ღვთისაკენ იმთავითვე მის თანდაყოლილ ბუნებრივ თვისებად იქცა. ამიტომაც სურვილი განვითარებისა და წინსვლისა თითოეულ ჩვენთაგანშია ჩადებული, ოღონდ უნდა ვიცოდეთ, რას გულისხმობს ჭეშმარიტი ამაღლება და ჩვენი ყოველი მოქმედებაც აქედან გამომდინარე უნდა შევასრულოთ.

იდეა უნდა ჰქონდეს ერსაც; მას ცხადად და გარკვეულად უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული საუკუნეთა მანძილზე უპირველესად რას ემსახურა. ჩვენი ხალხის ისტორია გვაფიქრებინებს, რომ ღვთისკენ სწრაფვის ძირითად იდეას, უპირველეს ყოვლისა მოყვასის სიყვარულით ვახორციელებდით და მიუხედავად ყველაფრისა, დღესაც ვახორციელებთ. ეს სიყვარული ადუღაბებს და ამთლიანებს სრულიად საქართველოს.

ალბათ ესაა უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ წარსულშიც და ახლაც შინაური თუ გარეშე მტერი არ მოგვკლებია — ბოროტი ძალა ებრძვის სიყვარულის მატარებელ ერს, რათა ეს ნიჭი დაეკარგვინოს, რადგან იცის, მიზნის მიღწევის შემთხვევაში, უფალს განგვაშორებს; ამიტომაც ამ მადლს განსაკუთრებით უნდა გავუფრთხილდეთ და ღმერთთან და ერთმანეთთან სიყვარულის წყალობით გავერთიანდეთ.

უფალი ადამიანს თავისუფალი არჩევანის უფლებას აძლევს: პიროვნება თვითონ იღებს გადაწყვეტილებას, რას ემსახუროს: ცოდვას თუ სიკეთეს, ბოროტებას თუ სიყვარულს. სასუფეველი ღვთისა იძულებით მოიპოვება, რადგან ცოდვასთან ბრძოლით და მასზე გამარჯვებით ხდება ადამიანისა და ღვთის ნების შეერთება — სინერგია, რაც არის საფუძველი პიროვნების გადარჩენისა.

გზის არჩევისას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება გულს, რადგან აქ იბადება როგორც ბოროტი, ისე კეთილი ზრახვანი. თუ გული სუფთა და სავსეა რწმენით, სასოებითა და სიყვარულით, თუ იქ ადგილი არა აქვს შურსა და მტრობას, თუ მას შეუძლია სხვისი სიხარულისა და ტკივილის გაზიარება, იქ მადლი განმრავლდება და იგი სულიწმიდის სავანედ იქცევა; ასეთი გული ადვილად სძლევს მიწიერ საცდურს, რომელიც ყოველდღიურად ცდილობს ბიწიერების ჭაობში ჩვენს დანთქმას.

მაგრამ როგორ განვიწმინდოთ გული ცოდვათაგან?

უპირველეს ყოვლისა, უნდა ვისწავლოთ სამართლიანი განსჯა საკუთარი თავისა. ჩვენს სულში ორი „მე" უნდა განვასხვავოთ და ყოველ ჩვენს საქციელსა და გულისხმიერ ზრახვას სხვისი თვალითაც შევხედოთ.

წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი წერს: „ჩვენში ორი გონია. ერთი კეთილია და შედეგია ყოვლივე მშვენიერისა, მეორე კი — დაცემული და მდაბალ ვნებათა მსახური. ერთი გონება ნათლისაკენ ისწრაფვის და სურს თაყვანი სცეს ქრისტეს, ხოლო მეორე, ხორცის და სისხლის გონება ჭკრის ბნელსა შინა და მზად არის [illegible] იქმნას ბელიარისა".

ხოლო წმ. ისააკ ასური ბრძანებს: „ნეტარ არს კაცი, რომელი შეიცნობს თვის უძლურებას, რამეთუ ამის ცოდნა ხდება საწინდარი კეთილწარმატებისა".

ასეთი ადამიანი განკითხვის ცოდვისაგან თავისუფლდება, თავმდაბლობით იმოსება და ღვთისა და მოყვასის სიყვარულით ივსება. ხოლო სიყვარულმან მოყვასსა თვისსა ბოროტი არა უყვის" (რომ. 13, 10).

მაგრამ არიან პიროვნებანი, რომელნიც მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობენ და თავის მდაბალ „მეს" ეგოისტურ მოთხოვნილებებს ემონებიან. მათთვის გაუგებარია შეგონება: „იცხოვრე სხვისთვის, თუ გსურს ემსახურო შენს თავს".

არიან ასეთი პიროვნებანი, ბოროტის ქმნის სურვილით შეპყრობილნი, ღვარძლით ავსილნი, რომელნიც ირგვლივ სიძულვილს თესენ, და სხვაშიც მხოლოდ ბოროტებას ხედავენ. გავიხსენოთ ერთ დროს კეთილი მეფე საული, შურის და ეჭვის ნიადაგზე ისე დაეცა, წმ. დავით წინასწარმეტყველის მოკვლა სურდა, თუმცა მხოლოდ მისი ფსალმუნები კურნავდა მის სულს.

ასეთი ადამიანები სიყვარულის ნაკლულევანების გამო იტანჯებიან. მათ, მართალია, ხშირად მწუხარება მოაქვთ მოყვასისათვის, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც საკუთარ თავს მტრობენ, რადგან სულიერი სიხარულისთვის სიცოცხლეშივე მკვდარნი არიან, იმქვეყნად კი უცილობელ სატანჯველს იმზადებენ.

ბოროტთა სიბოროტე უნდა გვძულდეს, მაგრამ ქმნილება ღვთისა უნდა გვიყვარდეს და გვებრალებოდეს. უცოდველი არავინ არის, დაცემის გარეშე ცხოვრება არ არსებობს, მაგრამ აუცილებელია, სურვილი გვქონდეს გამოსწორებისა, ღვთის გზით სვლისა.

ჩვენს სხეულს სიცოცხლეს სული ანიჭებს, სულს — ღმერთი. და როგორც სულს გაყრილი სხეული კვდება, კვდება სულიც ღვთის გარეშე. ამიტომაც ჭეშმარიტებასთან წილნაყარ კაცზე დიადი არაფერია და არც უფალს მოწყვეტილ ადამიანზე მდაბალი და საცოდავი.

ბოლო დროს მრავალი უარყოფითი თვისებისა და ემოციის გამოვლენის მოწმენი გავხდით. ეკონომიკურმა გაჭირვებამ ცხოვრება კიდევ უფრო დაამძიმა და ზოგიერთში მომავლის ქრონიკული შიში დაბადა. ხშირად გვესმის სიტყვები: „კატასტროფული მდგომარეობაა", „რა გვეშველება?" არადა „ვუწყით, რამეთუ ჭირი მოთმინებასა შეიქმს, ხოლო მოთმინებაი — გამოცდილებასა, ხოლო გამოცდილებაი — სასოებასა" (რომ. 5, 3, 4).

ამასთან სიტუაციას სწორად ვერ ვაფასებთ. გვეგონა იმპერიიდან გამოსვლისას ხალიჩებს დაგვიფენდნენ. მოსალოდნელი კი, ახლანდელთან შედარებით, უფრო უარესი მდგომარეობა იყო.

„რა გვეშველება"? — ურწმუნოთა კითხვაა. არ უნდა დაგვავიწყდეს რომ მომავლის იმედი ადამიანის იდეის ნაწილია და ქრისტიანულ სათნოებათაგან ერთ-ერთი პირველთაგანი.

პიროვნება თუ ერი თვითონ ქმნის თავის ხვედრს. თუ ჩვენ ღვთის მცნებათა დაცვით ვიცხოვრებთ და ღვთის შიში და სიყვარული იქნება ჩვენი თანამდევი, ვერავითარი ძალა ვერ მოგვერევა.

ვინ გადაარჩენს მას, ვის წინააღმდეგაც ღმერთია აღმდგარი? ვინ სძლევს მას, ვისი შემწეც უფალია?

ერის ზნეობრივ სახეს ყოველთვის რჩეულნი წარმოაჩენდნენ. მადლობა ღმერთს, ასეთი შვილები ჰყავს ჩვენს სამშობლოს. ჩვენ ამასთან მოწმენი ვართ იმისა, თუ რამდენი ახალგაზრდა უანგაროდ ეწირება საქართველოს მიწა-წყლის დაცვას აფხაზეთში, რაც ერის სულიერი პოტენციალის გამოვლინებაა.

ორასი წელია საქართველოსთვის არ გვიბრძოლია. ამ ომმა გაგვახსენა, რომ სამშობლო მხოლოდ კი არ გვაძლევს, მსხვერპლსაც ითხოვს ჩვენგან. დღეს მრავალი ჭაბუკი რწმენითა და მამულის წინაშე ზნეობრივი ვალის კარნახით იბრძვის. მართალია, დიდია ქვეყნის მთლიანობისათვის თავდადებულთა რიცხვი, მაგრამ გვჯერა, ღვთისა და ერის წინაშე დამსახურებისთვის ისინი სასუფევლის ღირსნი გახდებიან და ქართველთა ზეციურ მხედრიონს შეუერთდებიან.

ჩვენ პატივს მივაგებთ იმ აფხაზ ახალგაზრდებსაც, რომელნიც თითქოს სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლის რწმენით დაეცნენ, სინამდვილეში კი გარეშე ძალების ბოროტი ზრახვების მსხვერპლნი გახდნენ.

დრო კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩენს მტყუანს და მართალს. ისტორია, კაცობრიობის გამოცდილება ადამიანებს ბევრს ასწავლის. მხოლოდ უგუნურნი ქმნიან აწმყოს წარსულის გაუთვალისწინებლად. რა სამწუხაროა, რომ ზოგჯერ ასეთი პიროვნებები თავისი მიწიერი ვერაგი მიზნების განხორციელებისათვის ასეულობით ადამიანის დაღუპვას აპირებენ.

ჩვენ საქართველოს ხვალინდელ დღეზეც უნდა ვიფიქროთ. ბევრი რამ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა კავშირი გვექნება მეზობელ ქვეყნებთან, საერთოდ გარე სამყაროსთან. ურთიერთობები ურთიერთგაგებასა და პატივისცემაზე უნდა იყოს აგებული, რაც მაღალ დიპლომატიასა და სულიერებას მოითხოვს. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ხშირად ვინც კამათში იმარჯვებს, მეგობრებს კარგავს. ამიტომ სხვა ქვეყნებთან შეხებისას წონასწორობის დაცვა გვმართებს.

რაც შეეხება ჩვენი ცხოვრების წესს, ვფიქრობთ, ვიდრე ადამიანები არ მოიპოვებენ შინაგან თავისუფლებას, ანუ არ განეშორებიან ცოდვას, დემოკრატიის ცხოვრებაში განხორციელება არ მოხერხდება და იგი მხოლოდ ლოზუნგად დარჩება.

ერის სულიერი ამაღლების საქმეში დიდი როლი ეკისრება ინტელიგენციას. ჩვენ ამ მხრივ ნამდვილად გვყავს ისეთი ძალა, რომელიც შეძლებს ხალხს გაუძღვეს, ოღონდ აუცილებელია ეკლესიასთან მისი დაკავშირება, რათა ამპარტავნებამ და თვითდაჯერებამ არ იმძლავროს მათში.

დღეს გვიკვირს მათი, ვინც ადრე კერპებს სცემდა თაყვანს; და განა უფრო მეტად საწყალობელი არ არის ის „ბრძენი", რომელიც თავის შემოსაზღვრულ გონებას კერპად აქცევს და მხოლოდ მისგან ისმენს „ჭეშმარიტებას". გონიერება რწმენის გარეშე სუსტი ხელჯოხია, რომელიც აუცილებლად გადატყდება.

ინტელიგენციამ დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს ჩვენს ხელოვნებას, პრესას, ლიტერატურას, განსაკუთრებით კი რადიოსა და ტელევიზიას.

უნდა აიკრძალოს ამორალური და ე. წ. ძალადობის ფილმების ჩვენება. საზოგადოებაში ისედაც დიდი უარყოფითი მუხტია დაგროვილი, ეს კი უფრო აძლიერებს ამგვარ ემოციებს და ადამიანურ ურთიერთობებს ძაბავს.

ჩვენი გული და აზროვნება სიკეთისაკენ უნდა მივმართოთ, რათა დავიბრუნოთ ნამდვილი სარწმუნოება, და ამპარტავნობისაგან განთავისუფლებულებმა ავალორძინოთ ჭეშმარიტი სიყვარული.

სათნოებათა შორის ყველაზე ადვილად განსახორციელებელი მოწყალების გაცემაა. დღეს როდესაც ძალიან ბევრს უჭირს, მრავალი შესაძლებლობაა სიკეთის ქმნისა. მწყურვალისათვის ერთი ჭიქა წყლის მიწოდებაც უფლის წინაშე დიდად შერაცხილია.

შეეწიე გაჭირვებულს, თუ გსურს, ღმერთი შენც შეგეწიოს. მიანიჭე მოყვასს დროებითი სიხარული, თუ გსურს მარადიული ნეტარების ღირსი გახდე, გაუნაწილე ქვეყნიური სიკეთე სხვებს, თუ გინდა რომ ზეციურ მადლს ეზიარო.

შევთხოვ ღმერთს, ღვთაებრივი სიყვარულის უშრეტი წყაროდან გარდამოიღვაროს ჩვენს გაციებულ გულებში რწმენა, სასოება, მშვიდობა და სიყვარული, რათა შეურცხვენლად შევხვდეთ დღეს მხოლოდ სიხარულისა, დღესასწაულს სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვებისა.

„სადა არს ძლევაი შენი, სიკვდილო, სადა არს საწერტელი შენი, ჯოჯოხეთო" (ოსია 13,14).!

სიკვდილი დაემხო, ჯოჯოხეთი შეიმუსრა.

ქრისტე აღსდგა!

გიხაროდეთ.

სიყვარულით თქვენთვის
მლოცველი
ილია II,
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

აღდგომა ქრისტესი
თბილისი 1993 წ.



18 აპრილს ქართველი ერი უდიდესი რწმენითა და იმედით აღნიშნავს დიდ დღესასწაულს — ბრწყინვალე აღდგომას უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. ამ დღეს საქართველოს ამერ-იმერში მცხოვრები ყველა ქრისტიანი მიაპყრობს მზერას ჩვენთვის ტანჯულ და წამებულ ღმერთს, რომელიც ჯვარს ეცვა ადამიანებისათვის, შესთხოვს მას მამულის ძლიერებას, საკუთარი სულის განწმენდას, მოყვასის გადარჩენას.

„ქრისტე აღსდგა მკვდრეთით, სიკვდილისა სიკვდილითა დამთრგუნველი" — გავიმეორებთ ამ სიტყვებს და გულთან ახლოს მივიტანთ იესო ქრისტეს ვნებას, რათა სულიერად და ხორციელად განვიწმინდოთ, ზნეობრივად ავმაღლდეთ, შევძლოთ მიტევება და ცოდვის მონანიება, ვთესოთ სიკეთე და სიმართლე, რათა მოვიმკოთ კეთილდღეობა და ღვთის ლოცვა-კურთხევა.

უფალი გვასწავლის, რომ ადამიანებს გადაარჩენს ურთიერთსიყვარული და თანხმობა. ვინც მისდევს ქრისტესმიერ მცნებებს, პოვებს კიდეც აბსოლუტურ თავისუფლებას და ნეტარებას. დღეს ეს მცნებები უნდა გაიხადოს თითოეულმა ჩვენგანმა გზის მანათობელ შუქურად, რადგან დღევანდელ საქართველოს ისე არაფერი სჭირდება, როგორც ურთიერთსიყვარული, თანხმობა და თანადგომა. უჭირს ჩვენს მამულს, უჭირს ეკონომიკურად და მორალურადაც. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ ვითარების სტაბილიზაციას, არ ცხრებიან აფხაზი სეპარატისტ-ექსტრემისტები, რომელთაც სურთ ხელყონ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, იღუპებიან უდანაშაულო ადამიანები, დაგვიძვირდა სიხარული... მაგრამ „ნუ დავივიწყებთ, რომ აღდგომა ზეიმის დღეა; ღვთაებრივი მადლი აღდგომის სიხარულისა სძლევს ყოველგვარ მწუხარებას. მაშ, შეიმოსეთ სიხარულით. იგი თქვენი მუდმივი თანამდევი იქნება, თუ სიყვარულის გზას აირჩევთ და ამას გაჰყვებით", — ბრძანებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე. ჭეშმარიტად! სიყვარულის გზა ღვთის გზაა, რომლითაც უნდა ვიაროთ, თუ გვინდა, რომ საქართველო კვლავ გაბრწყინდეს.

ამ დიდებულ დღეს ყველა მღვდელმთავარი თავიანთი ეპარქიების კათედრაზეა, მათი სამღვდელოებანი ეკლესიებში აღავლენენ წმიდა აღდგომის დღესასწაულს. სიონის საკათედრო ტაძარში საქართველოს სულიერი მამა და ერის უფალთან დამაკავშირებელი, უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე აღავლენს საზეიმო წირვა-ლოცვას ჩვენი სამშობლოს გადასარჩენად, ქართველი ერის საკეთილდღეოდ.

ვულოცავთ ქართველ ერს ამ ბრწყინვალე დღესასწაულს. დაე, წლევანდელმა აღდგომამ მოუტანოს ჩვენს ქვეყანას ნანატრი მშვიდობა, ურთიერთსიყვარული, თანხმობა. ღმერთმა ბედნიერი აღდგომა გაუთენოს ჩვენს მამულს.

აღდგომის მეორე დღე — 19 აპრილი მიცვალებულთა ხსენების, საფლავთა კურთხევის დღეა.

ნომერში

● პარლამენტარობა უპირატესობა არ არის. 2
● ექსპრეზიდენტის მიერ მითვისებული პრემია. 8

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის განცხადება

დღეს, 16 აპრილს 9 საათსა და 10 წუთზე მდინარე გუმისთის მხრიდან, ძირითადად რაიონიდან, სადაც ეშერის ლაბორატორია მდებარეობს, დაიწყო ქალაქ სოხუმისათვის ინტენსიური და მიზანმიმართული ცეცხლის დაშენა.

საარტილერიო ჭურვები და რაკეტები გვერდს უვლიან საქართველოს მთავრობის ჯარების საბრძოლო პოზიციებს და სკდება სოხუმის საცხოვრებელ და ადმინისტრაციულ უბნებში. მოკლულია 4 კაცი, რამდენიმე ჭურვი მოხვდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შენობას.

ამ აქტით გუდაუთელმა სეპარატისტებმა და მათმა დაქირავებულებმა, აგრეთვე მფარველებმა ხაზი გაუსვეს იმ მინიმალურ შეთანხმებებსაც, რომლებიც მიღწეული იყო რუსეთისა და საქართველოს სამთავრობო დელეგაციათა სოჭის შეხვედრაზე. მეორდება იმის მსგავსი სიტუაცია, რომელიც შეიქმნა მოსკოვის 1992 წლის 3 სექტემბრის შეთანხმების შემდეგ, როცა აფხაზ ბოევიკთა შეიარაღებულმა ფორმირებებმა ისარგებლეს ცეცხლის შეწყვეტითა და ჯარების დაშორიშორებით და ხელთ იგდეს ქ. გაგრა.

გუდაუთაში რუსეთის არმიის დაჯგუფებამ ერთხელ კიდევ გვიჩვენა, რომ არ ძალუძს ასრულებდეს სეპარატისტთა მეთაურის არძინბას აგრესიულ ზრახვათა შემაკავებელი ფაქტორის როლს, და კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ რუსეთის ფედერაციის სამხედრო წარმომადგენლები უძლური არიან ჩააქრონ აფხაზეთის კონფლიქტი.

საქართველოს მთავრობა აღნიშნავს, რომ საქართველოს შეიარაღებულ ძალებს, ასრულებენ რა 1992 წლის 3 სექტემბერს მოსკოვში მიღწეულ რუსეთისა და საქართველოს სახელმწიფოთა მეთაურების შეთანხმებას, აგრეთვე სოჭის მოლაპარაკების შედეგად მიღწეულ შეთანხმებებს, პირველს არც ერთხელ არ განუხორციელებიათ შეტევითი მოქმედება და არ გაუხსნიათ ცეცხლი.

შეუპოვრობა, რომლითაც გუდაუთის შეიარაღებული ფორმირებანი უტევენ ქალაქ სოხუმს, აგრეთვე მათ მიერ ყოველდღიურად საბრძოლო მოქმედების ესკალაცია, აიძულებს საქართველოს შეიარაღებულ ძალებს განახორციელონ საპასუხო ხასიათის ღონისძიებანი.

ედუარდ შევარდნაძე:

ნებისმიერი „კერძო" კონფლიქტი კარდინალურად გადაწყდება მხოლოდ კარგად მოგვარებული სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის საფუძველზე

მოსკოვი, 15 აპრილი. (იტარ-ტასი). „თუ რუსეთს სურს შეინარჩუნოს შუამავლის მისია, იგი არ უნდა იყოს კონფლიქტის მონაწილე ერთ-ერთი მხარე. ჯერჯერობით კი რუსეთის ყველა მოქმედება მხოლოდ ამწვავებს სიტუაციას აფხაზეთში", — განაცხადა საქართველოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ. „აფხაზეთის კონფლიქტს აშკარად იყენებენ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის განვითარების შეფერხების საბაბად", — აღნიშნა მან ყოველკვირეულ „მოსკოვსკიე ნოვოსტისათვის" მიცემულ ინტერვიუში.

„ჩვენ გვაქვს განსახილველად მომზადებული დოკუმენტების პროექტთა მთელი პაკეტი: დიდი ხელშეკრულების, ეკონომიკური შეთანხმებების, ჯარების სტატუსის, საქართველოში მათი ყოფნის ვადების შესახებ შეთანხმებების პროექტები, — თქვა ედუარდ შევარდნაძემ. — მაგრამ რუსეთის უზენაესი საბჭო არსებითად მთავრობას უკრძალავს აწარმოოს ჩვენთან მოლაპარაკება ეკონომიკურ და ზოგიერთ სხვა საკითხზე, სანამ არ მოწესრიგდება ვითარება აფხაზეთში". „სწორედ „ცენტრში", რუსეთის უზენაეს საბჭოში აძლევენ სანქციას სუვერენული საქართველოს საქმეებში პირდაპირ ჩარევას", — ამტკიცებს იგი.

„ნებისმიერი „კერძო" კონფლიქტი კარდინალურად შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ კარგად მოგვარებული სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის საფუძველზე", ხაზს უსვამს ე. შევარდნაძე. „მზად ვარ — და ეს არაერთხელ საჯაროდ განმიცხადებია — შევხვდე პრეზიდენტ ელცინს. მოსკოვში, თბილისში, ნებისმიერ სხვა ქალაქში". „თუ ნორმალური ურთიერთობა არ იქნება მთლიანად ჩვენს სახელმწიფოებს შორის, არ უნდა ვიქონიოთ კონკრეტული კონფლიქტების მოწესრიგების იმედი".

„რუსი და ქართველი ხალხები საუკუნეთა მანძილზე ერთად ცხოვრობდნენ. ისინი მონათესავე, სულისკვეთებით, ტრადიციებით ახლობელი ხალხები არიან, — თქვა მან. — არც საქართველოს და არც რუსეთის მთავრობა არ შეიძლება დაინტერესებული იყოს კონფლიქტის გაჩაღებით! არა მგონია, რომ აფხაზეთშიც ძალიან იტაცებდეთ ომის იდეები". „დიალოგის გზა" კონფლიქტის მოწესრიგების ერთადერთი გზაა, მიაჩნია ედუარდ შევარდნაძეს.



Читателям газеты
„Сакартвелос Республика"
с постоянной дружбой и уважением
К. Лавров

რუსეთის კულტურის მოღვაწეები მიღებაზე

16 აპრილს პარლამენტის თავმჯდომარემ — საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო რუსეთის ფედერაციის კულტურის მოღვაწეები, რომლებიც საქართველოში ცნობილი თეატრალური მოღვაწის გიორგი ტოვსტონოგოვის ხსოვნისადმი მიძღვნილ დღეებთან დაკავშირებით ჩამოვიდნენ.

სურათზე: მიღების დროს (გამოჩენილი რუსი მსახიობი კირილ ლავროვი მიესალმება ჩვენი გაზეთის მკითხველებს).

გივი ქიავაძისა და იოსებ დავითაშვილის ფოტო.
საქინფორმის ფოტოქრონიკა

განცდა ქართული სახელმწიფოსი

ქართული სახელმწიფოებრიობის შენების გზაზე განცდათაგან უპირველესი ქართული სახელმწიფოს განცდაა. სახელმწიფოს განცდა — ამ განცდისაგან იღებს სათავეს სახელმწიფო, რადგან სახელმწიფო ხომ უპირველესად ადამიანია, იმ ადამიანთა საკრებულო, რომელიც ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე ცხოვრობს, შრომობს და მოღვაწეობს.

ასე უნდა შევხედოთ მოვლენებს, ასე უნდა ვიგრძნოთ და განვიცადოთ ის პროცესები, რომლებიც ახალქართული სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკაში ჯერჯერობით ასე მწვავედ, ამორფულად და ქაოსურადაც კი ვითარდებიან. ეს ბუნებრივიცაა. ვიმეორებ, სახელმწიფო — ეს უპირველესად ადამიანია, მოქალაქე, პიროვნება, რომლისთვისაც მთავარი სუბიექტური შეგრძნება-განცდები კი არ არის, სუბიექტური აღქმა საგნებისა და მოვლენებისა, არამედ მოქალაქეობრივი ღირსების განცდა, ანუ განცდა მშობლიური სახელმწიფოსი.

ეს ორმხრივი პროცესია — ერთი მხრივ, პიროვნება „აშენებს“ საკუთარ თავში სახელმწიფოს, პიროვნულ სახელმწიფოს, და, მეორე მხრივ, სახელმწიფო აშენებს პიროვნებაში საკუთარ თავს, რაც თავად სახელმწიფოს დღეგრძელობის უცილო გარანტია. რა მანქანებით აშენებს? — კანონის უზენაესობით უპირველესად და სწორი ფუნქციონირების აღდგენით სახელმწიფო ორგანიზმში.

სწორი ფუნქციონირება თავი და თავია სახელმწიფო ორგანიზმის ჯანმრთელობისა. სახელმწიფო ცოცხალი ორგანიზმია და ისევე როგორც ცოცხალ ორგანიზმში კუჭი ვერ შეასრულებს გულის როლს და ღვიძლი კიდევ გონებისას, სახელმწიფოშიც მხედარი დიპლომატი ვერ იქნება და დიპლომატი მხედარი, რევოლუციონერი სახელმწიფო პოლიტიკას ვერ ააგებს და პოლიტიკოსი რევოლუციონერად ვერ იქცევა. რაც შეეხება იმ ადამიანებს, რომელთაც სახელმწიფო ფიქრის ნიჭი და უნარი არ გააჩნიათ, სრულებით აღარ რჩებათ ადგილი სახელმწიფო პოლიტიკის იერარქიულ კიბეზე. თუ ჩვენი, საკუთარი სახელმწიფოს აშენება გვსურს, ასეა. აქ ქართული წყენა-ბუტიობა და ძმაკაც-ძმაბიჭობა განზე უნდა გადავდოთ და ვიფიქროთ მხოლოდ ერთ რამეზე — სახელმწიფო ინტერესებზე. ეს ფიქრი საბოლოოდ აუცილებლად პროფესიონალებთან მიგვიყვანს. პროფესიონალებთან — განურჩევლად პარტიულობისა და პოლიტიკური შეხედულებებისა, ხასიათისა და სქესისა, ეროვნებისა და წარმომავლობისა თუ გნებავთ. პროფესიონალი — ეს უკვე ყველაფერია: ფუნქციაც, როლიც, მოქალაქეც, მამულიშვილიც.

პროფესიონალიზმის დეფიციტი ქართული სახელმწიფოს შენების დღევანდელ ეტაპზე ყველაზე ნათლად და მკაფიოდ მაინც ალბათ დიპლომატიის სფეროში ვლინდება და, აი რატომ: ვისაც საერთაშორისო სიბრტყესთან მოუხდა შეხება, განურჩევლად იმისა, „პოზიციას“ მიეკუთვნება იგი თუ „ოპოზიციას“, უცილოდ დამეთანხმება: აქ ჯერჯერობით სრულად და ძლიერად მუშაობს „შევარდნაძის ფაქტორი“, ჩვენი სახელმწიფოს მეთაურს დასავლური სამყარო მაინც უპირველესად აღიქვამს, როგორც თანამონაწილეს, თანამებრძოლს, და ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებელს არა მარტო ტოტალიტარული რეჟიმისა და „ბოროტების იმპერიის“ რღვევის საქმეში, არამედ როგორც ახალი, ერთიანი ევროპისა და საერთოდ ახალი პოლიტიკური აზროვნების ფორმირების საქმეშიც. საინტერესოა ისიც, რომ ეს მექანიზმი მხოლოდ დასავლეთში კი არ მუშაობს, არამედ აღმოსავლეთშიც, თურქეთში, და ირანშიც კი, რომელიც თავისი მიდრეკილებით ფუნდამენტური ისლამისაკენ პოლიტიკაში ერთგვარად აშინებს დასავლურ სამყაროს და ამის გამო, გარკვეულ იზოლაციასაც განიცდის. ბუნებრივია ასეთ პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება „ესტაფეტის მიღების მომენტს“, ანუ იმ „ჯაჭვურ რეაქციას“, რომელიც შევარდნაძის ავტორიტეტისათვის მსოფლიოს მიერ ანგარიშის გაწევას უნდა მოჰყვეს ახალქართული დიპლომატიის სფეროში. სამწუხაროდ, ეს „ჯაჭვური რეაქცია“ ძალზედ ფერმკრთალია და წყვეტილი ჯერჯერობით. რაც შეეხება ლაფსუსებს, ზოგიერთი პრეცედენტი იმდენად პარადოქსულია, რომ ნამდვილად სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. როდესაც ოფიციალურად წარმოადგენ სახელმწიფოს, ის განცდა, რომელსაც ჩვენ „სახელმწიფოს განცდა“ ვუწოდეთ, შენში უნდა ასმაგდებოდეს, რადგანაც შენ უკვე უბრალოდ მოქალაქე კი არა ხარ შენი სახელმწიფოსი, კერძო პირი, არამედ ხარ „სახელმწიფო კაცი“, ის რასაც რუსები „государственный муж“-ს ეტყვიან „государственный муж“, რომლის დეფიციტსაც ასე განიცდის რუსული სახელმწიფო ისტორიულად. არც ჩვენ ვართ ნაკლებნი. ოფიციალური დელეგაციის თითოეულ წევრს, რომელიც საქართველოს საზღვრებს გარეთ ჩვენს ქვეყანას წარმოადგენს როგორც ოფიციალური პირი, კარგად უნდა ახსოვდეს, რომ აქ მთავრდება მისი, როგორც კერძო პირის, ამა თუ იმ პარტიისა თუ ფრაქციის, „პოზიციისა“ თუ „ოპოზიციის“ წარმომადგენლის ისტორია. სულ სხვაა კერძო ვიზიტი, ან ვიზიტი ამა თუ იმ პარტიისა თუ ორგანიზაციის სახელით. სახელმწიფო დონეზე ვიზიტი სახელმწიფო დონეზე ვიზიტია და აქ შენი პირით, შინ თუ გარეთ მნიშვნელობა არა აქვს, სახელმწიფო ლაპარაკობს, სახელმწიფო პოლიტიკური ხაზი. ვისაც ამის განცდის უნარი არა აქვს, ოფიციალურ ვიზიტებში მონაწილეობაზე უარი უნდა თქვას, თორემ ამით საქმესაც ვნებს და საკუთარ თავსაც. საერთოდ, დროა, საერთაშორისო პოლიტიკის სიბრტყეზე ჩვენ ჩვენი სახე დავიმკვიდროთ, ჩვენი სიტყვა ვთქვათ, სულ უბრალო მაგალითს მოვიყვან: ირანში სახელმწიფოს მეთაურის ვიზიტის მნიშვნელობა როგორც პოლიტიკური, ასევე წმინდად სტრატეგიული თვალსაზრისით, უდიდესია (ამჟამად ამ მომენტს არ ჩავუღრმავდებით), მაგრამ სამწუხაროდ, ურთიერთობა ჯერჯერობით ხელშეკრულების ფარგლებს ვერ გასცდა და ჯეროვანი განვითარება ვერ ჰპოვა. იგივე შეიძლება ითქვას თურქეთზე, თუ არ ჩავთვლით ცალკეულ ინიციატივებს. რაც შეეხება დასავლურ სამყაროს, აქ უპირველესი აქცენტი მაინც შეერთებულ შტატებსა და გერმანიაზე კეთდება.

ბილ კლინტონის ადმინისტრაცია, როგორც ეს თეთრი სახლის ტრადიციებშია ჩადებული, აგრძელებს წინამორბედთა საგარეო პოლიტიკას. აქედან გამომდინარე, საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული პროცესები დიდ მხარდაჭერას პოულობენ ამერიკულ წრეებში. რაც შეეხება ე. წ. „ეთნოკონფლიქტებს“, იგი შეერთებული შტატების ადმინისტრაციას ქართულ შიდასახელმწიფოებრივ პრობლემად მიაჩნია, ქართული სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენულობის ფარგლებში. ეს ბუნებრივია, საერთაშორისო ურთიერთობების სიბრტყეზე არსებობს რაღაც კლასიკური ფორმა, ნორმები, ჩარჩო, რასაც მიუხედავად სიმპათია-ანტიპათიისა არავინ გადაუხვევს. არც რუსეთის ფაქტორის იგნორირებას უნდა ველოდოთ, თუნდაც ისეთი ძლიერი ორგანიზაციისაგან, როგორიც ნატოს ბლოკია. ქართული დელეგაციის ვიზიტმა ნატოში და შემდგომ ამ ვიზიტის ზოგიერთმა ინტერპრეტაციამ, რომელიც იმავე დელეგაციის ზოგიერთ წევრს ეკუთვნოდა, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, კიდევ ერთხელ დამარწმუნა: დიპლომატია ფილიგრანულად მოაზროვნე ადამიანების სამოღვაწეო სფეროა, აქ გათვლილი უნდა იყოს თითოეული ჟესტი, მიმიკა, სიტყვა, ფრაზა. სხვა თუ არაფერი, დიპლომატიური ეთიკა მაინც უნდა დავიცვათ შინაც და გარეთაც. დიპლომატია — ეს არის სახელმწიფო პოლიტიკური ხაზის ადამიანურ ურთიერთობებში გადატანის ხელოვნება, ოღონდ, ადამიანთა ურთიერთობების ეს ფორმა სახელმწიფოთა ურთიერთობებს გულისხმობს საკუთარ თავში. აქედან გამომდინარე, დიპლომატიის სფეროში უპირველესია რეალობის განცდა. რაც შეეხება „დისიდენტურ აზროვნებას“, იგი სრულიად ზედმეტი ტვირთია დიპლომატიურ მერიდიანზე. მით უმეტეს, თუ ასეთი აზროვნება „რევოლუციური განწყობილებით“ არის განზავებული. არავის აინტერესებს შენ რას ფიქრობ, ან რა გსურს, უპირველესად, ის არის მთავარი — რა ხარ და რა შეგიძლია. ძალიან მკაცრად რომ ვთქვათ, და ძალიან პირუთვნელად, ასეა. რაც შეეხება მეხსიერებას, ფერიერის, გენშერის და სხვათა და სხვათა მეხსიერებაში შევარდნაძე შეიძლება დიდხანს ფიგურირებდეს როგორც ადამიანი, როგორც კერძო პირი, მაგრამ პოლიტიკის ენა მკაცრია. ეს რეალობის ენაა, და თუ რეალობამ მოითხოვა, შევარდნაძე, როგორც წარსულის დიდი პოლიტიკური ფიგურა და აქედან გამომდინარე, „შევარდნაძის ფაქტორი“ შარშანდელი თოვლივით შემოგვადნება ხელში. რატომ არ ვფიქრობთ ამაზე?

არ შეიძლება კრიტიკულად არ შევხედოთ საგარეო საქმეთა სამინისტროს მუშაობასაც, შეინიშნება ერთგვარი სტერილურობა, ჰერმეტულობა ამ სამინისტროს მუშაობაში, ძნელად იხსნება საქართველოს არტერიები საერთაშორისო სიბრტყეზე, ბოლოს და ბოლოს ხომ არსებობს ბალტიელთა გამოცდილება მაინც. ამას ემატება საერთაშორისო კონტაქტების დარღვეული კოორდინაცია, ადამიანური ფაქტორის ბოლომდე გამოუყენებლობის მომენტი საერთაშორისო სიბრტყეზე. ადამიანური ფაქტორი — ეს მექანიზმი მაინც ავამუშავოთ, მაქსიმალურად გამოვიყენოთ ჩვენი ურთიერთობები, მეგობრები, ემიგრაცია. შეიძლება ჩემი დაკვირვება ვინმეს ზედმეტად მკაცრად მოეჩვენოს, მაგრამ მეჩვენება, რომ დიპლომატიის სფეროში ჩვენთვის ჯერ კიდევ სისხლხორცეული არ არის სახელმწიფოს განცდა, რომელიც წინა პლანზე სახელმწიფოს, ქვეყნის ინტერესებს წამოწევს, და არა სუბიექტურ მერკანტილიზმს. ძალიან ბევრი ღრმად მოაზროვნე ადამიანი დღეს ელტვის უცხოეთს, რადგან ჩვენი ამოვარდნილი ყოფა ვეღარ აუტანია, ჩვენი უბედური საქართველო, მაგრამ უბედური მშობელი უფრო არ უნდა გიყვარდეს, ვიდრე ბედნიერი? ავადმყოფი დედა, ვიდრე ჯანმრთელი...??? იქნებ ახლა, ამ კონტექსტში ეს არ უნდა მეთქვა, მაგრამ მაინც თავს უფლებას მივცემ და ვიტყვი: იქნებ ვინმე ფიქრობს, რომ ედუარდ შევარდნაძეს არ შეეძლო უცხოეთში წასვლა, და თანაც წასვლა იმ დონეზე ალბათ არა, მე და შენ რომ შეგვიძლია, ჩემო მკითხველო, მაგრამ არ წავიდა და შეება უღელში საქართველოს ისტორიულ უღელტეხილზე... წინ მაინც ნუ გადავუდგებით.

• • •

ქართული სახელმწიფოს განცდაზე ჩვენ სხვა ასპექტითაც შეგვიძლია ვისაუბროთ. გარკვეული ბალანსი, პროპორცია, წონასწორობა, თუ გნებავთ, სახელმწიფო ორგანიზმში მაშინ არის დაცული, როცა „ზედა ეშელონებში“ მაქსიმალურად უარყოფილია პიროვნული „მე“, ან უფრო ზუსტად სუბიექტი, მისი შეგრძნება-განცდები და გნებავთ ნება-სურვილები აყვანილია სახელმწიფოს სამსახურში. სამწუხაროდ, დღეს, როდესაც ჩვენ საქართველოს ისტორიის უმწვავეს და უმძიმეს ეტაპს გავდივართ, ეს ნაკლებად შეინიშნება.

სახელმწიფოს მეთაური არაერთგზის აღნიშნავს, გულისტკივილით: რატომ სდუმან მინისტრები? რატომ არ ხდება სატელევიზიო გამოსვლები? რატომ ერიდებიან ტრიბუნას ის ადამიანები, რომელთა პირად ინიციატივას და ძალისხმევას, გამომდინარე მათი როლისა და ფუნქციისაგან, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ მძიმე ჟამს. თუნდაც, ეკონომიკის სფერო ავიღოთ: არ შეინიშნება ეკონომიკური სტიქიონების მოძრაობა „ზემოდან“. რისკის მომენტიც ნაკლებ ფიგურირებს. თუნდაც კუპონი — იგი ჯერ არ გამოჩენილა ფინანსურ სიბრტყეზე და თითქოს უკვე ველოდებით, როდის დაკარგავს მსყიდველობით უნარს, როდის იქცევა ფარატინა ქაღალდად. მესმის, ეკონომიკური სტრუქტურების ძირეული მსხვრევის პირობებში, მაშინ როცა, გაურკვეველია, რა ეკონომიკურ სივრცეში ვიმყოფებით, შეუძლებელია ფუნდამენტური ცვლილებების თავზე აღება, მაგრამ რაღაც მოძრაობა, რაღაც სიცოცხლის ნიშანწყალი მაინც ხომ უნდა შეინიშნებოდეს, ამხელა იერარქია გვაქვს, ამდენი პროფესიონალი, ნუთუ არავინ არის ისეთი, ვინაც გარკვეულ იდეას მაინც გაგვიზიარებს თავისას, გარკვეულ იდეას — როგორ შევინარჩუნოთ კუპონის, როგორც შუალედური ვალუტის სახე და სტაბილურობა, როგორ ვაქციოთ იგი გზად და ხიდად ეროვნული ვალუტისაკენ. ისინი მაინც შემოგვეხმიანონ, ვისი იდეაც არის ეს ფულად-საკრედიტო მეტამორფოზა. უდავოდ საინტერესო იქნება ბანკისა და საბანკო მანიპულაციების მიმართებაც ამ ღონისძიებისადმი, ბიზნესმენთა და კერძო მეწარმეთა შეხედულებები. დროა შევიგნოთ, ჩვენ აღარა ვართ „საბჭოთა რესპუბლიკა“, ჩვენ ვართ ქართული სახელმწიფო, რომელიც თავისი თავი თვითვე ეკუთვნის. სანამდე ვიქნებით ასე ინერტულები? ან იქნებ ვინმე ფიქრობს, რომ რღვევისაკენ მიდრეკილი რუსული იმპერია ისევ შეგვიფარებს?

მოვლენათა კვალდაკვალ

ორი საშინელი პოლუსი შეინიშნება ქართული სახელმწიფოს „აზროვნებაში“ — ერთის მხრივ, „დისიდენტურ-რევოლუციური“, რომელიც ყველაფერს უარყოფს, ყველაფერს ანგრევს, და არაფრის აშენებაზე არ ფიქრობს და, მეორეს მხრივ, „კომუნისტურ-ობივატელური“, რომელსაც სიმშვიდე და „კარაქიანი პური“ მოენატრა „საბჭოურ ნეტარებაში“ მირთმეული. რას იზამ, დრო დროა, და არც ნგრევა გამოვა შენების გარეშე და ვერც „კარაქიან პურს“ მივართმევთ იოლი ცხოვრების ნოსტალგიით შეპყრობილთ. დროა ქართული სახელმწიფოს შენებისა, ქართული სახელმწიფოს განცდის შენებისა საკუთარ სულში, საკუთარ გულში, საკუთარ გონებაში. ეს უპირველეს ყოვლისა, იმათ უნდა შეიგნონ, ვისაც ქართული სახელმწიფოს გარიჟრაჟზე მესაჭეთა როლები არგუნა განგებამ ადამიანური მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროებში.

იგივე შეიძლება ითქვას კრიმინოგენული სიტუაციის გამწვავებაზე საქართველოში. დანაშაულის კოეფიციენტის არნახული ზრდა — საიდან იღებს იგი სათავეს? შევეცადოთ ფსიქოლოგიური წანამძღვრების მოხილვას მეტასტაზური განვითარებისაკენ მიდრეკილი ამ საშიში მოვლენისა. მასობრივი დანაშაული, ერთის მხრივ, მხედრული სულის უკუღმართებული გამოვლენაა, რაც თავის მხრივ, მსხვრეული პოლიტიკური აზროვნებიდან იღებს სათავეს, ხოლო მეორეს მხრივ კანონის უზენაესობის განცდის უქონლობიდან, რაც სახელმწიფო ხელისუფლების სისუსტითაა განპირობებული. ჩვენ რაც არ უნდა ბევრი ვილაპარაკოთ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაზე და რაც არ უნდა ბევრი ვიმოქმედოთ, ვერაფერს მივაღწევთ, თუ კი ფრაგმენტული ბრძოლიდან გლობალურ, ფრონტალურ ბრძოლაზე არ გადავედით, რაც საკუთარ თავში გულისხმობს:

1. სამართალდამცავი ორგანოების „წმენდას“ უღირსი, ქვეგამხედვარი ადამიანებისაგან, რომელთათვის ამ ორგანოებში მუშაობა მხოლოდ პირადული მიზნებით არის განპირობებული და არა პროფესიული მოწოდებით.
2. სამართალდამცავ ორგანოებში მოღვაწე ადამიანების სრულ მატერიალურ და მორალურ უზრუნველყოფას, რაც მათი იურიდიული უფლებამოსილების ზუსტად დაკანონებაში მდგომარეობს. მატერიალური და საკანონმდებლო „ჯავშნის“ გარეშე სამართალდამცავი ორგანოები უსუსურნი არიან დანაშაულებრივი სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლაში, რაც მათ ხრწნას იწვევს, როგორც სახელმწიფო, ასევე წმინდად ადამიანური თვალსაზრისით.
3. სახელმწიფო ეკონომიკური სადავეების სახელმწიფოს ხელში კონცენტრირებას, რაც სრული კერძო საკუთრების დაშვების გარეშე შეუძლებელია. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება სერიოზულ ბიზნესზე, უცხოურ კაპიტალდაბანდებებზე, ინვესტიციებზე და ა. შ. არსებითი საუბარი, სხვა შემთხვევაში, მაფია, რომელიც დღეს მაინც „კლანურ“, „კასტურ“ ხასიათს ატარებს, კლასიკურ ფორმას მიიღებს საქართველოში.
4. ერთიანი არმიის შექმნას, რაც მსხვრეული პოლიტიკური აზროვნების გამრთელების გარეშე, არაფერი რომ ვთქვათ ეკონომიკურ პრობლემატიკაზე, ფაქტობრივად შეუძლებელია. ერთიანი არმიის შექმნა საკუთარ თავში პროფესიულობას გულისხმობს, რისი მიღწევაც მხოლოდ და მხოლოდ კომპლექსური და ეტაპობრივი მიდგომით არის შესაძლებელი.
5. სამხედრო მოქმედებების შეწყვეტას აფხაზეთის მიწაზე, რაც საბოლოო ჯამში (დღეს ეს შეუძლებელია) ქართული სახელმწიფო მოწყობის ახალ, ცივილიზებულ მოდელამდე მიგვიყვანს უცილოდ. ვფიქრობ, დგება ჟამი, როდესაც დანაშაული მარტო სხვაში კი არ უნდა ვეძიოთ, არამედ საკუთარ თავში უპირველესად.

ასე, რომ, „კრიმინოგენული სიტუაციის“ გამწვავება საქართველოში არ არის არც შემთხვევითი და არც ფრაგმენტულ-წარმავალი მოვლენა, ეს არის განუყოფელი და სისხლხორცეული ნაწილი იმისა, რასაც ჩვენ „სახელმწიფოს განცდის“ დაკარგვა ვუწოდეთ და რაც თავი და თავია ყველა ტრაგედიისა ჩვენს ახალფეხადგმულ სახელმწიფოში.

როგორ შეიძლება წესრიგის, კანონისა და კანონიერების დაცვისაკენ მოვუწოდოთ ბუნებით დანაშაულისაკენ მიდრეკილ ადამიანს, (მით უმეტეს, იმ პირობებში, როდესაც იარაღი ასე ადვილად ხელმისაწვდომი გახდა ყველასათვის), როდესაც უკანონობა ცხოვრების წესად და „კანონად“ ქცეულა ჩვენს საზოგადოებაში — „მაღლიდან“ „დაბლა“ და „დაბლიდან“ „მაღლა“. ერთიანი პროცესია ეს, პროცესი, რომელსაც ფორმირების პროცესში მყოფი ვერც ერთი სახელმწიფო ვერ გადაურჩა. საქართველო გამონაკლისი ვერ იქნება. მით უმეტეს, ვერ იქნება, ჩვენი ტემპერამენტის გამო, უწესრიგობის გამო და რა, თქმა უნდა, იმის გამო, რომ ჩვენ დიდი ხანია არ გვქონია ჩვენი სახელმწიფო, ქართული სახელმწიფო. აქედან გამომდინარე, განცდაც ამოვარდა ჩვენი ცნობიერებიდან, მოქალაქეობრივი ღირსების განცდა — განცდა ქართული სახელმწიფოსი.

ეს, ასე ვთქვათ, სახელმწიფოებრივ, საზოგადოებრივ პლანში დანახული ფესვები დანაშაულის კოეფიციენტის ზრდისა საქართველოში. მაგრამ არსებობს უფრო ღრმა, დაფარული შრეები ამ საშიში პროცესისა, რომელიც ჩვენი სულისა და ფსიქიკის სიღრმისეულ პლასტებშია ჩადებული და რომელიც ჩვენი ქვეცნობიერი სამყაროდან იღებს სათავეს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ზნეობრივი კრიტერიუმების რღვევისას, რაც სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი „მე“-ს დეგრადაციის შედეგია, აიშვებს ქვენა სამყარო და ყველას და ყოველივეს წალეკვით ემუქრება. ამ დროს ადამიანის მაღალი, ზეციური „მე“ უკანა პლანზე იწევს, რადგან, თვითგამოხატვის ასპარეზი და საშუალება არ გააჩნია და წინა პლანზე ქვენა „მე“ გვეცხადება. ყველაფერზე მიდის ის, რადგანაც ყოველივეს ნებადართულობის ამაზრზენი შეგრძნება-განცდა გააჩნია. სწორედ აქედან იღებენ სათავეს კოშმარული სურათ-ხატები ჩვენს კრიმინალურ ქრონიკაში. ცინიკური მკვლელობები, პათოლოგიური წამებანი და სექსუალური გადახრები, ენით უთქმელი სისასტიკე და ტერორი, არანაკლებ ამაზრზენია მასობრივი შურისძიების ფაქტები, ლინჩის წესი და სხვა. რაც უფრო მაღალია ადამიანი, მით უფრო მდაბალია, რაც უფრო უფსკრულო და უსასრულოა ზეცა, მით უფრო უფსკრულო და უსასრულოა ქვესკნელი ადამიანის სულიერ სამყაროში — გააჩნია რა მიმართულებით განვითარდება კაცი. რაშია გამოსავალი? — იკითხავთ თქვენ: მხოლოდ და მხოლოდ რწმენაში. რწმენა — როგორც ცხოვრების წესი და შიში ზეციური სასჯელის და არა რწმენა, როგორც ფანატიზმი და ფარისევლობა. გავიმეორებ ათასგზის ნათქვამს: ურწმუნოების გამო ვისჯებით, არა მარტო ჩვენი საკუთარი, არამედ მთელი წინა თაობების ცოდვები გვადევს კისერზე: მარტო აბორტები რად ღირს — მასობრივი მკვლელობები საკუთარი შვილების საკუთარ სხეულში. ჩვენმა მშობლებმა არ იცოდნენ მაინც — არცოდნაა არცოდვაო: ჩვენ? თუმც, ესეცაა, მამების ცოდვები შვილებს მოეკითხებათ. ასე რომ, აფხაზეთში დაღუპული თოთო ბიჭების ბედისწერაში მარტო რუსის გენერლებს ნუ დავადანაშაულებთ, ან აფხაზ სეპარატისტებს — ჩვენც მიგვიძღვის ბრალი, რომ არ ვამბობთ, განა ღმერთი არ გვხედავს. იგივე შეიძლება ითქვას კრიმინოგენული სიტუაციის გამწვავების პრობლემაზე საქართველოში. ჩვენ არ გვქონია ჩვენი ქართული სახელმწიფო, არც ზნეობა არ გვქონია, მოჩვენებითი იყო „ყაზარმული ზნეობა“ — ანუ „მორალი“ კომუნისტური, ენერგია კი აკუმულირებული გახლდათ. გვებოძა თავისუფლების ნამცეცები და ჩვენი თავიც დავინახეთ. კომუნისტურ გალიაში გამომწყვდეული ჩვენი სულები...

მაგრამ ნურც ისე შევხედავთ საგნებს და მოვლენებს, თითქოს მხოლოდ კომუნისტურ ცხოვრების წესში იყოს ტრაგედიის თავი და თავი. ათასწლეულთა გადასასვლელს მივადექით. ათასწლეულთა გადასასვლელები, კი, როგორც წესი, კატაკლიზმური, გლობალური ცვლილებებით ხასიათდებიან ბუნებაში, ფლორაში, ფაუნაში, ადამიანში, ადამიანის ფსიქიკაშიც, რაღა თქმა უნდა და აქედან გამომდინარე, ადამიანური მოღვაწეობის ყველა სფეროში. ნუ დავივიწყებთ იმასაც, თუ რომელ ათასწლეულთა გადასასვლელია. საქართველო სტერილური სამყარო არ არის და მეტ-ნაკლებად აირეკლავს იმ სულიერ თუ ფიზიკურ პროცესებს, რომელთაც მთელი მსოფლიო განიცდის, ასე, რომ ყველაფერს მთლად კომუნისტებს ნუ გადავაბრალებთ, მათ თავიანთი ცოდვებიც თავზე საყრელად ეყოფათ. ერთი კია: კომუნისტურმა ყაზარმამ ისე დასცა ადამიანი, ქართველიც, რუსიც, უკრაინელიც და სხვაც და სხვაც, რომ ფეხზე წამოდგომაც კი შეაზარა, ტრაგედია დაანახა წელგამართულ, მტკიცე ნაბიჯში. სწორედ ასეთ ქვეშეცნეულ განწყობას ვხედავ ფრაზაში: „ვერ შევიგნეთ, რა ცხოვრება გვქონდა და ვერ დავაფასეთ...“ თქვენ რომ ცხოვრება გქონდათ, მტერს არ ვუსურვებდი ისეთ ცხოვრებას ჩემო ობივატელო თანამოქალაქენო, თქვენ საბალახოზე მიგდებული ნახირი იყავით, სახედაკარგული, მუცელს გადაყოლილი ადამიანების უსახური მასა, რომლისთვისაც არც ღმერთი იყო და არც რჯული, არც ცოდვა-მადლი და არც მამულის სიყვარული... თქვენთვის მხოლოდ თქვენი ეგოისტური ბინა — ყუთი იყო — ოთხი კედელი, იქ მთავრდებოდა სამყარო თქვენი, მთელი საზრისი ამ ქვეყნად მოსვლის... ასე რომ, დღევანდელ სისასტიკეს, საშინელებას, ცხვირს რომ ვერ გაყოფ გარეთ, ქუჩაში, მხოლოდ დღევანდელობას ნუ გადააბრალებთ, გუშინდელ დღეშიც დაინახეთ მისი ფესვები. ოცდაჩვიდმეტშიც დაინახეთ, „მუცლის ეპოქებშიც“, მჟავანაძიდან მოყოლებული, ჯიში რომ აოხრეთ იმაშიც, უჯიშოთა მაღალ ტახტებშიც. მაპატიოს ყველამ სიმკაცრე, მაგრამ ვერ ვუძლებ ნოსტალგიას მღვრიე დროების... „დიქტატურაა საჭიროო“ — მოგენატრათ ოცდაჩვიდმეტი? ამ წერილის ავტორი ოცდაჩვიდმეტში დაღუპულთა შთამომავალია და კარგად იცის, ანონიმური წერილების გამო და ფასი... ეს გადახვევა მაპატიე ჩემო მკითხველო, ეს [illegible] მცირეოდენი...

ბოლოს ახალქართული პარლამენტის წიაღებს ჩავხედოთ, სულიერ წიაღებს, ფსიქოლოგიურს. პარლამენტარობა უპირატესობა არ არის, იგი ტვირთია, პასუხისმგებლობა. ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ამოვედით „რაიკომის მდივნის“ ფსიქოლოგიისაგან, კუდი ყავარზე რომ ჰქონდათ გადებული (ეს არა მარტო პარლამენტარებს ეხებათ) იმ რაიკომის მდივნისა. იყო ქართული პარლამენტის წევრი დღეს, მშიერი, გატანჯული, გაწამებული, დაჩეხილ-დამწვარი საქართველოს პარლამენტისა, ნიშნავს იყო ჯვარცმული, წამებული. მადლობა ღმერთს, ბევრ ჩვენს პარლამენტარს გაცნობიერებული აქვს ეს გოლგოთა. რასაც ვერ ვიტყვით ყველაზე, დიდ ნაწილზეც იქნებ. ერთი მაინც ვთხოვოთ ჩვენს პარლამენტარებს, სატელევიზიო გადაცემები შეწყდეს, თუ ღმერთი გწამთ, შეწყდეს, ეს მაინც გადავწყვიტოთ ხანგრძლივი დებატების გარეშე. ნუთუ ვერ ვგრძნობთ, რომ ფორმირების პროცესში მყოფი ქართული პარლამენტის მუშაობა აღიზიანებს მასობრივ ტელემაყურებელს, რომლისთვისაც უცხოა საპარლამენტო ცხოვრების ტრადიცია (ეს რომ ასე არ იყოს, ჩვენს პარლამენტში არაფერი ხდება უსაშველო და ისეთი, სხვაგან რომ არ ხდება). ან საპარლამენტო გამოთქმები შევარჩიოთ, ეთიკის თვალსაზრისით მაინც პარლამენტართა მეტყველება სამაგალითო უნდა იყოს, მოკლედ, უნდა „დაგვკვალიანდეთ“ ამ თვალსაზრისით, როგორც ბრძანებს ჩვენი სპიკერი. უნდა გავითვალისწინოთ რიგითი ტელემაყურებლის ფსიქოლოგიაც, რომელიც მიჩვეულია ლარივით მწყობრ „რიგებს“ კომპარტიის ყრილობებზე, „რიგებს“, რომელშიც „არავინ იყო წინააღმდეგი“ და „თავსაც არავინ იკავებდა“. სულითა და გულით ვუთანაგრძნობ ქართული დემოკრატიის პირმშოს ახალქართულ პარლამენტს, მაგრამ მაინც ის, რასაც ქართული სახელმწიფოს განცდა ჰქვია, პარლამენტის წიაღებიდან უნდა ამოილანდოს უპირველესად. სულ უბრალო მიზეზით: პარლამენტი ახალქართული სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფლების ორგანოა, ხალხის რჩეული.

განცდა ქართული სახელმწიფოსი, მოქალაქეობრივი ღირსების განცდა — ეს არის ხსნა და გამოსავალი ახალქართული სახელმწიფოს შენების გზაზე. და თუ დღეს ევროპელი და ამერიკელი, თურქი თუნდაც, ან ირანელი უზარმაზარი სიამაყის განცდით იღებს ჯიბიდან სიმბოლოს საკუთარ მოქალაქეობისა, იმ ქვეყნის მოქალაქეობისა, რომელსაც იგი წარმოადგენს, ჩვენ, ქართველებმა რა დავაშავეთ?

განცდა — განცდა ქართული სახელმწიფოსი!

ლაზარე ზაქარიაძე.

ფეხზე წამოსაყენებლად ხელი გაუწოდეთ წაქცეულს!

საქართველოს მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდის მიმართვა საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობისადმი

თანამემამულენო!

საქართველოს მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდი აცხადებს ტრადიციულ „მოწყალების კვირეულს“, რომელიც ცხრამეტიდან ოცდახუთ აპრილამდე გაგრძელდება. იგი ყოველთვის ემთხვევა აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. ამიტომ ჩატარების დრო ცვალებადია, მუდმივია მხოლოდ კვირეულის მიზანი — თითოეული ჩვენთაგანის გულში გააღვივოს სიკეთე და გონიერება, სულგრძელობა და მიმტევებლობა, ხელი შეუწყოს ქვეყნად სიმშვიდისა და სათნოების დამკვიდრებას, გაჭირვებაში ჩავარდნილი თანამემამულეების, ავადმყოფების, ინვალიდების, მარტოხელების, სტიქიური უბედურებებისგან დაზარალებულების, ოსეთიდან და აფხაზეთიდან ლტოლვილებისათვის მორალური და მატერიალური მხარდაჭერის გაფართოებას.

ეს განსაკუთრებით საჭიროა დღეს, როცა ღვთის ნებითა და ჭეშმარიტი მამულიშვილების ძალისხმევით განვთავისუფლდით იმპერიული მონობის მძიმე უღლისაგან. გაჩნდა თავისუფლების, ჭეშმარიტი დემოკრატიისა და სამართლებრივი სახელმწიფოს აშენების დიდი იმედი, მაგრამ არ სძინავს ბოროტ ძალებს, სატანას, რომელიც ყოველმხრივ აღვივებს შურსა და ბოროტებას, აძნელებს ოსეთში კონფლიქტის მოგვარებას, აფხაზეთში სეპარატისტული ძალების მიერ გაჩაღებული სისხლისღვრის შეწყვეტას, ყველა სადავო საკითხის პოლიტიკური გზებით, ყველასთვის მისაღები საშუალებებით გადაწყვეტას.

შუღლი და ურთიერთდაპირისპირება არ არის საქართველოში მცხოვრები ადამიანების სურვილი განურჩევლად მათი ეროვნებისა და რელიგიური რწმენისა.

ეს ბოროტი ძალების მოწადინებაა, რომლის, დათრგუნვა ყოვლად შეუძლებელია სამართლიანობისა და თანადგომის, დიდი სულიერებისა და უმაღლესი ზნეობის გარეშე. სადაც ეს ღვთიური გრძნობები ღვივიან, იქ ყოველთვის არის მოყვასის ჭეშმარიტი სიყვარული და სათნოება, აქედან იღებს სათავეს თანადგომის, მოწყალებისა და მიმტევებლობის უწმინდესი სურვილი.

ჩვენს ისედაც რთულ ყოველდღიურ ცხოვრებას აძნელებს ქარიშხალივით თავს დატეხილი ახალი ეკონომიკური ურთიერთობები, რომელშიც გონივრულად გარკვევა ჯერ კიდევ არ შეუძლია ყველას, რაც კიდევ უფრო ადიდებს სოციალურად დაუცველი ადამიანების რიცხვს.

დღეს, საქართველოში თავი ძლივს გააქვს 10 ათას მარტოხელა ადამიანს, რომელთა პენსია ფაქტობრივად არც აღემატება მათთვის აუცილებელი პურპროდუქტების მინიმალური რაოდენობის რეალურ ფასს.

ქალბატონებო და ბატონებო!

გაიღეთ მოწყალება, კეთილი გულით ფეხზე წამოსაყენებლად ხელი გაუწოდეთ წაქცეულს, გზააბნეულს ასწავლეთ სავალი, მარტოხელას თქვენი ზრუნვით გაუთბეთ გული, შვება მიეცით გაჭირვებულს, რწმენა აღუდგინეთ იმედგადაწურულს.

კეთილსა მიუზღოთ სიკეთით და ათმაგად მოგეზღვებათ თქვენ, თქვენს ღვთით კურთხეულ ჯილაგსა და შთამომავლობას.

გაიკითხავდეთ უპოვართ და ასწილი სიკეთით განიკითხებით თქვენ, ვინც საკუთარი გულის სითბო და ლუკმა გაუყავით ბუნებისა და ძნელი ცხოვრების მიერ წელში გატეხილ მოყვასს, და თვისტომს.

საქართველოს მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდი.

საქართველო საკუთარმა მარჯვენამ უნდა იხსნას...

ამ დღეებში მთავრობის დელეგაციის რამდენიმე წევრი ტყიბულის მოსახლეობას შევხვდით. დარბაზიდან ერთი წერილი მივიღეთ, რომელიც ასე მთავრდებოდა: „აბა თქვენ იცით, თუ მიხედავთ ვაჭრობას და თუ არ დაგვიმშვეთ“.

როცა შენი იმედი აქვთ, შენ კი არც თუ იშვიათად უძლური ხარ მიეხმარო, მაშინ ქებას შეიძლება ლანძღვაც კი ჯობდეს. ფართო მოხმარების საქონლის, განსაკუთრებით სურსათის აბსოლუტური მასა ხომ გარედან შემოგვქონდა და შემოგვაქვს. ასეთ ვითარებაში ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს ვაჭრობის მინისტრის მდგომარეობა, რომლის დანიშნულების დღიდან შეწყვეტილია ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან საბანკო ოპერაციები, ამასთან უმნიშვნელოა საბარტერო რესურსები, არა გვაქვს მყარი ვალუტა. მიუხედავად ასეთი ჩიხისა, რესპუბლიკის ხელმძღვანელობის ძალისხმევით რაღაც მინიმუმის (შაქარი, ზეთი, საბუტერბროდე კარაქი, მარილი, რძის ფხვნილი, ასანთი, საპონი და სხვა) შემოტანას მაინც ვახერხებთ, მაგრამ თუ ასე გაგრძელდა, ძალიან გაგვიჭირდება.

ახლა კონკრეტულად სათქმელზე. იქნებ აეხსნათ რატომ ვართ უძლურნი, რატომ გვიჭირს ასე? რამ მიგვიყვანა ამ მდგომარეობამდე, როგორ შეიძლება მისგან თავის დაღწევა? რა თქმა უნდა, ამ ვეებერთელა თემას ერთი საგაზეთო წერილით ვერავინ ამოწურავს. შევეცდები ზოგიერთი ასპექტის ჩვენებით მხოლოდ რაღაც ნათელი შევიტანოთ ამ „ეკიდეგანო“ საკითხში.

უნდა შევთანხმდეთ ერთ რამეში. ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ეკონომიკური სიდუხჭირის ძირითადი მიზეზი არსებული ეკონომიკური კავშირების მოშლაა. ამ კავშირების ალტერნატიული ვარიანტები წინასწარ არც გათვლილა ყოფილა და დღემდე არც შექმნილა. ამას ისიც დაემატა, რომ 1988 წლიდან ეკონომიკის ნგრევამ „ეპიდემიური“ [illegible] ყველა ხელისუფლება, აშენება კი დღემდე არავის [illegible]. წარმოებითი ურთიერთობების მთავარი პრინციპი — კავშირებით წარმოება უგულებელყოფილია, ჩვენი ეკონომიკა (ყოფილ საბჭოთა ეკონომიკასთან ერთად) უფსკრულისკენ მიექანება.

ეკონომიკურ ურთიერთობებში თითქმის ყველასათვის შეუმჩნეველი პროცესები მოხდა 1992 წლის 1 ივლისიდან, როცა რუსეთის ხელისუფლებამ დაიწყო ახალი თვლა თუ რა რესურსი შემოვა საქართველოში და, პირიქით, საქართველოდან რუსეთში. სამისოდ თადარიგი კი რუსეთის ეკონომიკის „მამამ“ 1992 წლის დასაწყისშივე დაიჭირა, როცა საბანკო ურთიერთობებში დაიწყო ეგრეთწოდებული საკორესპონდენტო ანგარიშების გახსნა. თუ ადრე, მაგალითად, ხაშურის ბანკი ტამბოვის ბანკს პირდაპირ ურიცხავდა თანხას, აღნიშნული პერიოდიდან ასეთი გადარიცხვა წარმოებდა რესპუბლიკების ეროვნული ბანკების მეშვეობით, სადაც ყველაფერი ადვილად დასათვლელი ხდება. როგორც კი დაინახეს, რომ საქართველომ უფრო მეტი საქონელი წამოიღო რუსეთიდან, ვიდრე იქ გაიტანა, 1992 წლის ნოემბერ-დეკემბრიდან ჩვენთან ფაქტობრივად შეწყვიტეს საბანკო ოპერაციები. ისინი ყველა წამოღებულ საქონელს ვალად გვითვლიან, ასეთივე მდგომარეობაა ყველა სხვა რესპუბლიკაშიც; უფრო მეტიც, ყველა გადარიცხული ფული მაინც ვალად გვითვლება, ვიდრე რუსეთი ჩვენს ბანკში არ მოახდენს ეკვივალენტურ გადმორიცხვას. ეს კი მხოლოდ მაშინ მოხდება, როცა რუსეთი ჩვენგან შეიძენს შესაბამისი მოცულობის პროდუქციას.

საოცარი რამ ხდება, თუ იაპონიისა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ბრძოლა იმაზეა ვინ უფრო მეტ საქონელს მიაწვდის მეორე მხარეს, ჩვენთან პირიქითაა. ეს იმიტომ, რომ იქ დოლარი კონვერტირებულია (ვალუტაა), რუსული მანეთი კი „ხის მანეთის“ (ასე უწოდებენ) ტოლფასია. იქ ჭარბი წარმოების ეკონომიკაა, ჩვენთან კი დეფიციტის. როგორ შეიძლება ასეთ პირობებში ჩვენ ამერიკელებსა და იაპონელებს შევედაროთ, მათგან ბრმად გადმოვიღოთ თუნდაც საბაზრო ეკონომიკის პრინციპები. ჩვენ ჩვენი განკვალული გზით უნდა ვიაროთ, მხოლოდ იმ პირობით, რომ საბოლოო მიზანი მათი მსგავსი ეკონომიკის შექმნა უნდა იყოს.

შარშან ივლისამდე, მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირი კარგა ხნის დაშლილი იყო, სამანეთო ზონაში ზოგი რამ კვლავ ინერციით მიდიოდა. კერძოდ, „საბჭოეთის“ ოჯახში როცა ვითვლებოდით, მისი მთლიანი საკრედიტო რესურსიდან საქართველოს მექანიკურად ეკუთვნოდა თავისი ხვედრითი წილი — 1,6 პროცენტი, რომელსაც უნაღდო თუ ნაღდი ანგარიშით თვითონ განვკარგავდით. თეორიულად იმის შანსიც კი იყო, საქართველოში არაფერი გვეწარმოებინა და გამოყოფილი კრედიტით თურქმენეთიდან ბუნებრივი აირი გვეყიდა, ყაზახეთიდან — ხორბალი, უკრაინიდან — სურსათ-სანოვაგე და ა. შ. ასე იყო სხვა მოკავშირე რესპუბლიკებშიც, არავინ ფიქრობდა ვინ ვის ხარჯზე ცხოვრობდა. ეს ძალიან კარგად იცოდნენ რუსმა ეკონომისტებმა და დროზე ადრე თუ არ დახურეს სამანეთო ზონა, ჩემი აზრით, ამის მიზეზი დიდი პოლიტიკა უფრო იყო, ვიდრე დიდი ეკონომიკა. როცა მათ იგრძნეს, რომ შეკოწიწებული „სნგ“ ვერ იარსებებდა, რომ საბჭოთა კავშირი დაიშალა და მის ნაცვლად ნამდვილად დამოუკიდებელი ქვეყნები შეიქმნა, მათ იწყეს ზემოაღწერილი ფულად-საკრედიტო ურთიერთობისათვის მზადება და კიდეც მიაღწიეს იმას, რომ დღეისათვის ყველა ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკას რუსეთთან საქონელგაცვლის უარყოფითი ბალანსი აქვს. რატომ მოხდა ასე, ეს ცალკე თემაა. ყველა დროის იმპერიის თავისი მართვის საიდუმლო ჰქონდა.

სათქმელი მინისტრსაც აქვს

ახლა ისღა დაგვრჩენია სასწრაფოდ დავთვალოთ და ვმართოთ ჩვენი რესურსები. მართვაში ცენტრალიზმს არ ვქადაგებ. პირიქით, ეკონომიკაში გაბედულად უნდა ჩავრთოთ და ხელი შევუწყოთ არასახელმწიფო სექტორს, მაგრამ იმ პირობით, რომ საქართველოდან გატანილ ყოველ მანეთ პროდუქციაზე მანეთისავე, მაინც ჩვენთვის საჭირო საქონელი შემოდიოდეს. დაე გამდიდრდნენ, გატანაშიც მოიგონ ფული და შემოტანაშიც, მაგრამ არა ისე როგორც ხშირად დღეს ხდება — გაგაქვს პროდუქტები, ფული კი რესპუბლიკის გარეთ რჩება. ზოგან კონცენტრირებას ახერხებენ და ვალუტას უცხოეთის ბანკებში ინახავენ. ხდება სიმდიდრის დიდი ტემპით პოლარიზაცია, ისე რომ დაგროვებული სიმდიდრე საქართველოს ეკონომიკის აღორძინებას არ ხმარდება. [illegible] მატერიალური რესურსების და პროდუქციის წარმოება როგორც სახელმწიფო, ისე არასახელმწიფო სექტორში, მარტო კომერციით, ვაჭრობით შორს ვერ წავალთ. კომერციასთან ერთად მეწარმეობა თუ არ განვითარდა, დავიღუპებით.

რესპუბლიკის მთავრობამ ჩვენი რესურსების რეგულირების თაობაზე ამ ცოტა ხნის წინათ რამდენიმე მნიშვნელოვანი დადგენილება მიიღო. საჭიროა მათი უსწრაფესი განხორციელება. საბაზრო ეკონომიკა ბევრმა სახელმწიფო საწარმომ ბაზრისა და ანარქიის დონეზე აღიქვა. ვისაც უნდა, სადაც უნდა, რამდენიც უნდა და რა ფასადაც უნდა ისე ყიდის რესპუბლიკის გარეთ თუ შიგნით სახელმწიფო საწარმოში შექმნილ საქონელს, მაშინ როცა სხვა რესპუბლიკებმა დიდი ხანია თავიანთი ქონების საზღვარგარეთ გატანაზე მკაცრი კანონები მიიღეს, აამოქმედეს [illegible] ლიცენზირებისა თუ საბაჟოს ინსტიტუტები.

მრავალგზის მითქვამს და ახლაც მინდა გავიმეორო — მარცვლეულითა და ენერგორესურსებით რესპუბლიკის მოსახლეობა მინიმუმ 3 წლით საქართველოს მთავრობამ უნდა უზრუნველყოს. სამისოდ მას შესაბამისი ფულადი და მატერიალური რესურსებიც უნდა გააჩნდეს, ისე რომ არასახელმწიფო სტრუქტურებს, საბაზრო ეკონომიკას ოდნავადაც ხელი არ შეუშალოს. ვფიქრობ, ნებისმიერი სახელმწიფო საწარმოს კოლექტივი მზადაა ამ საერთო-სახალხო ინტერესებისათვის რესპუბლიკათაშორისი სამთავრობო ხელშეკრულების შესასრულებლად თავისი წვლილი გაიღოს. ამ მექანიზმის ასამოქმედებლად ჩვენი სამინისტრო და პირადად მე ყველა ზომას გამოვიყენებთ. ამით მთელ რიგ სხვა ღონისძიებებთან ერთად შეიქმნება ელემენტარული პირობები ჩვენი მოსახლეობის სოციალური დაცვისათვის.

ამჟამად რესურსების ერთი ნაწილის ცენტრალიზაციის გარდა სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ. თუ ყველაფერს ავუშვებთ და აბსოლუტურ ლიბერალიზაციაზე წავალთ, ანუ მივმართავთ საბაზრო ეკონომიკის ეგრეთწოდებულ შოკურ თერაპიას (მე სოციალურად დაცულ საბაზრო ეკონომიკას ვუჭერდი და ვუჭერ მხარს), ხოლო უბრალოდ მარცვლეულის, ბუნებრივი აირისა და სხვა ენერგორესურსების შემოტანას ვერ შევძლებთ. მაშინ ისღა დაგვრჩენია საერთო სახალხო ინტერესების უზრუნველყოფისათვის მთავრობამ დიდი ვალები აიღოს. ამის აუცილებლობა შეუიარაღებელი თვალითაც კი ჩანს. სპეციალისტთა გაანგარიშებით 1993 წელს საქართველომ უნდა შემოიტანოს 610 მილიარდი მანეთის მარტო მარცვლეული და ენერგორესურსები, მაშინ როცა ამჟამად ჩვენგან გასატანი რესურსები არ აღემატება 220-230 მილიარდ მანეთს. ასეთი უარყოფითი ბალანსი ჩვენი ბედუკუღმართი ისტორიის ბრალიცაა. ის პროდუქცია და ენერგორესურსები, რაც ჩვენ გვჭირდება და რომლის გარეშეც უბრალოდ ვერ ვიცოცხლებთ, მსოფლიო ბაზარზე დოლარებში ძალზე ძვირი ღირს, ჩვენ რაც გაგვაჩნია კი გაცილებით იაფი. ეს საბჭოთა ეკონომიკაში ჩვენი ინტეგრაციის შედეგია, რომლის გამოსწორება დიდ დროსა და სახსრებს მოითხოვს და არც ისე იოლია ზოგს რომ წარმოუდგენია.

ასე რომ, დროა გამოვიდეთ პოლიტიკური აგონიისგან, მივხედოთ ეკონომიკას. თუ ყველა არ ვიმარჯვებთ, თუ არ შევქმენით ელემენტარული დოვლათი, ისე ვერ გადავრჩებით. ევროკრედიტებისა და სხვა დახმარებების იმედით შორს ვერ წავალთ. იმ ღმერთს [illegible] უთქვამს: დაგეხმარები, ოღონდ ხელი გაანძრიეო. ასეა ახლა სწორედ ჩვენი საქმე.

მურთაზ ზანკალიანი
საქართველოს ვაჭრობისა და მატერიალური მომარაგების მინისტრი.

აბჯარი

საქართველოს რესპუბლიკა

№6

მადლობის წერილი

როგორც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ და სახელმწიფოს მეთაურმა დიდი მადლობა მინდა მოგახსენოთ იმისათვის, რომ გულთან მიიტანეთ ქვეყნის სატკივარი, თავდაცვის ფონდის აზრი და მნიშვნელობა ამ უმძიმეს ჟამს და თქვენი წვლილი შეიტანეთ საერთო საქმეში, რომელსაც წმიდათაწმინდა სახელი ჰქვია — საქართველოს განუყოფელობისა და ერთიანობისათვის ბრძოლა.

თავდაცვის ფონდი მხოლოდ მატერიალური მხარდაჭერა როდია, ის მორალური თანადგომაცაა, მადლობა ამ თანადგომისათვის! ის ყოფილიყოს თქვენი, როგორც ადამიანის, როგორც მოქალაქის, როგორც საქართველოს პატრიოტის მომავალი გამარჯვების საწინდარი!

პატივისცემით
ედუარდ შევარდნაძე

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბრძანებულება

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოების შესახებ

სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი გმირობის, მამაცობისა და თავდადებისათვის საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეები დაჯილდოვდნენ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოებით:

ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენით:

ტარიელ აბაშია — მაიორი, 23-ე ბრიგადის მეოთხე ბატალიონის მეორე ასეულის მეთაური;

მურად ბოკუჩავა — მეორე საარმიო კორპუსის 24-ე მექანიზებული ბრიგადის 244-ე ბატალიონის მეთაური;

გივი გამისონია — სერჟანტი, 23-ე ბრიგადის მეოთხე ბატალიონის სადაზვერვო სამსახურის ათეულის მეთაური;

ბადრი გალდავა — უფროსი ლეიტენანტი, მეორე საარმიო კორპუსის 24-ე მექანიზებული ბრიგადის სადაზვერვო სამსახურის უფროსი;

იური ვახანია — კაპიტანი, 23-ე ბრიგადის მეოთხე ბატალიონის მეოთხე ასეულის მეთაური;

ელგუჯა თოხაძე — პოლკოვნიკი, მეორე საარმიო კორპუსის 24-ე მექანიზებული ბრიგადის მეთაურის მოადგილე;

ვახტანგ ლიპარტია — კაპიტანი, 23-ე ბრიგადის მეოთხე ბატალიონის მესამე ასეულის მეთაური (სიკვდილის შემდეგ).

თამაზ მარკელია — კაპიტანი, მეორე საარმიო კორპუსის 24-ე მექანიზებული ბრიგადის ზურგის სამსახურის უფროსი;

ანზორ მარგიანი — პოდპოლკოვნიკი, ქალაქ ოჩამჩირის სამხედრო გარნიზონის კომენდანტი;

ანზორ ქარჩავა — მაიორი, 23-ე ბრიგადის მეოთხე ბატალიონის მეთაურის მოადგილე საბრძოლო ნაწილში;

გელა ქუშაშვილი — მაიორი, მეორე საარმიო კორპუსის 24-ე მექანიზებული ბრიგადის შტაბის უფროსი;

ნუგზარ ხარებავა — კაპიტანი, 23-ე ბრიგადის მეოთხე ბატალიონის შეიარაღების სამსახურის უფროსი;

ნაური ჯიქია — პოდპოლკოვნიკი, მეორე საარმიო კორპუსის 24-ე მექანიზებული ბრიგადის არტილერიის უფროსი;

მედლის „მხედრული მამაცობისათვის"

გიორგი აქირთავა — უფროსი ლეიტენანტი, 23-ე ბრიგადის მეოთხე ბატალიონის დაზვერვის ოცეულის მეთაური;

ემზარ გუჯეჯიანი — რიგითი, 23-ე ბრიგადის მეოთხე ბატალიონის საცეცხლე ოცეულის დამმიზნებელი;

დავით კვარაცხელია — უფროსი კაპიტანი, 23-ე ბრიგადის მეოთხე ბატალიონის ჯავშანსატანკო სამსახურის უფროსი;

ავთანდილ კოპალიანი — 23-ე ბრიგადის მეოთხე ბატალიონის პირველი ასეულის მეორე ოცეულის მსროლელი (სიკვდილის შემდეგ).

ზურაბ მალიშავა — ლეიტენანტი, 23-ე ბრიგადის მეოთხე ბატალიონის პირველი ასეულის პირველი ოცეულის მეთაური;

გიზო მახარობლიძე — ზემდეგი, 23-ე ბრიგადის მეოთხე ბატალიონის მეორე მექანიზებული ასეულის ზემდეგი;

ვალერი სადილაძე — სერჟანტი, 23-ე ბრიგადის მეოთხე ბატალიონის ჯავშანსატანკო სამსახურის დამმიზნებელი;

ელგუჯა სვანიძე — უფროსი ლეიტენანტი, 23-ე ბრიგადის მეოთხე ბატალიონის მეორე მექანიზებული ასეულის მეთაურის მოადგილე;

რაულ სოსელია — სერჟანტი, მერკულის ადგილობრივი ბატალიონის ათეულის მეთაური;

კარლო ფაცაცია — რიგითი, მერკულის ადგილობრივი ბატალიონის მსროლელი;

თამაზ ქობალია — სერჟანტი, მერკულსის ადგილობრივი ბატალიონის მსროლელი;

იგორ შამუგია — რიგითი, 23-ე ბრიგადის მეოთხე ბატალიონის მესამე ასეულის პირველი ოცეულის პირველი ათეულის მეთაურის მოადგილე;

ჯუმბერ ჩიკვაიძე — რიგითი, 23-ე ბრიგადის მეოთხე ბატალიონის მესამე ასეულის ტანკის მექანიკოსი.

ე. შევარდნაძე
თბილისი, 8 აპრილი, 1993 წ.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბრძანებულება

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოების შესახებ

სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი გმირობის, მამაცობისა და თავდადებისათვის საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეები დაჯილდოვდნენ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოებით:

ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით

გრიგოლ (რეზო) ჩორგოლიანი — ზემდეგი, ქუთაისის 21-ე მექანიზებული ბრიგადის 213-ე ბატალიონის ოცეულის მეთაური (სიკვდილის შემდეგ).

ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენით

შოთა ბაიაძე — პოლკოვნიკი, თავდაცვის სამინისტროს საბრძოლო მომზადების სამმართველოს უფროსი;

ნიკოლოზ ველიჩკო — პოლკოვნიკი, თავდაცვის სამინისტროს სარაკეტო ჯარებისა და არტილერიის სამმართველოს საბრძოლო განყოფილების უფროსი (სიკვდილის შემდეგ).

თენგიზ შუბლაძე — პოლკოვნიკი, თავდაცვის სამინისტროს ოფიცერთა დახელოვნებისა და ზემდეგთა მომზადების კურსების უფროსი;

გურამ ჯანიაშვილი — პოდპოლკოვნიკი, ქ. თბილისის გარნიზონის სამხედრო კომენდანტი.

მედლით „მხედრული მამაცობისათვის"

თეიმურაზ ბენიძე — მაიორი, თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების ოპერატიული სამმართველოს პირველი განყოფილების უფროსი ოფიცერი;

ემზარ გელანტია — ლეიტენანტი, მეორე საარმიო კორპუსის 24-ე ბორიგადის პირველი ბატალიონის მეთაური;

პეტრე გოგუაძე — მაიორი, თავდაცვის სამინისტროს ოპერატიული სამმართველოს მეორე განყოფილების უფროსი ოფიცერი;

კობა კობალაძე — პოლკოვნიკი, „შავნაბადას" სპეციალური დანიშნულების ბატალიონის მეთაური;

გაგი ლაცაბიძე — ლეიტენანტი, 110-ე სატანკო ბატალიონის ოცეულის მეთაური;

გოჩა პაპუნაშვილი — ზემდეგი, 110-ე სატანკო ბატალიონის ოცეულის მეთაურის მოადგილე;

ნიკოლოზ ჩადუნელი — პოლკოვნიკი, მეორე საარმიო კორპუსის საორგანიზაციო და დაკომპლექტების განყოფილების უფროსი.

მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის"

რობერტ გრიგორიანი — პოდპოლკოვნიკი, თავდაცვის სამინისტროს ოპერატიული სამმართველოს გამამაგრებელი რაიონების განყოფილების უფროსი;

ალექსანდრე ლორია — უფროსი ლეიტენანტი, მეორე საარმიო კორპუსის სამთო მსროლელთა ბატალიონის მექანიზებული ოცეულის მეთაური;

ვახტანგ ჩიქოვანი — რიგითი, შეიარაღებული ძალების 24-ე ბრიგადის სანიტარი.

ე. შევარდნაძე

რეპორტაჟი ომიდან

შესვენებისას

ფრონტისკენ

ეს ორი ფოტო, რომელთაც დღეს ვაქვეყნებთ, აფხაზეთში მიმდინარე ომის ყოველდღიური სურათებია — ომი და მშვიდობა.

თედო ნიკოლაიშვილისა და საქინფორმის ფოტოქრონიკის ფოტოები

თანადგომა გრძელდება

ბორჯომის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები რაიონული გამგეობის თავმჯდომარის ოთარ გოცირიძის თავკაცობით ოჩამჩირეში დისლოცირებულ საქართველოს შეიარაღებული ძალების მებრძოლებს ეწვივნენ და ოც ტონაზე მეტი კვების პროდუქტი — ფქვილი, შაქარი, მაკარონი, ვერმიშელი, ხორცის კონსერვი, ბოსტნეული და ორასი ყუთი მინერალური წყალი „ბორჯომი" გადასცეს.

— სხვებთან ერთად საქართველოს მთლიანობისათვის აფხაზეთში ორასზე მეტი ბორჯომელი ახალგაზრდა იბრძვის. ამ დღეებში მათ რიგებს რეზერვისტებიც შეემატებიან. მართალია, ბორჯომელ მშრომელებს ძალიან უჭირთ, მაგრამ ფრონტისათვის მზად არიან უკანასკნელი ლუკმაც გაიღონ. ქვეყნის თავდაცვის ფონდში რაიონის შრომითმა კოლექტივებმა და ცალკეულმა მოქალაქეებმა სამ მილიონ მანეთზე მეტი შეიტანეს და თანხის შეგროვება კვლავ გრძელდება, — გვეუბნება ბორჯომის გამგებელი.

— ოჩამჩირეში ბორჯომელთა ვიზიტი იმ საქველმოქმედო ჯაჭვის გაგრძელებაა, რომელიც საქართველოს ყოველ კუთხეს აფხაზეთთან აკავშირებს. დღეს აფხაზეთი სრულიად საქართველოს ყურადღების ცენტრშია და როცა ასეთი თანადგომაა, მტრის ვერავითარი ძალა ვერ მოსწყვეტს მას დედა საქართველოს, — დასძინა გენერალ-მაიორმა ზაურ უჩაძემ.

რეზო კლდიაშვილი

დღეს ვიწყებთ იმ პიროვნებათა გვარების, საწარმოთა და დაწესებულებათა დასახელების პუბლიკაციას, ვინც პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის მადლობა დაიმსახურა

სამშობლოს ძლიერებისთვის გაღებული წვლილი

თავდაცვის ფონდის სახსრები

გვარი	ს.	მ.ს.	გადარიცხული თანხა მანეთებში	გვარი	ს.	მ.ს.	გადარიცხული თანხა მანეთებში
ამარდაშვილი	მ.	ნ.	3000	ბაბუნაშვილი	გ.	ვ.	25000
აბაზაძე	ი.	ლ.	708	ბაბუხადია	ა.	ლ.	1720
აბაიშვილი	ტ.		1000	ბაგიშვილი	ბ.	ა.	1000
აბაშიძე	დ.	ქ.	1518	ბადაგაძე	ი.		50
აბაშიძე	ვლ.	კ.	2000	ბაზაძე			2000
აბაშიძე	თ.		1000	ბაკურაძე	გ.		1720
აბაშიძე	ნ.	ვ.	1012	ბაკურაძე	ნ.	ვ.	1214
აბესაძე	ი.	ზ.	3000	ბალამწარაშვილი	ნ.	ზ.	1000
აბრამიშვილი	ა.	ლ.	1315	ბალაშვილი	ვ.	ო.	5000
აბრამიშვილი	ნ.	ვ.	100	ბალახაშვილი	პ.	ბ.	1000
აბრამიძე	მ.	ნ.	300	ბალიაშვილი	ი.	ი.	3000
აბულაძე	თ.	ე.	5000	ბანცერი	შ.		10000
აბულაძე	ნ.	პ.	10000	ბარაბაძე	მ.	ა.	1315
აგაბეკოვა	ი.		200	ბარამიძე	ბ.	მ.	1000
აგაბეკოვა	ტ.	რ.	708	ბარამიძე	თ.	ვ.	3000
აგაბეკოვი	ა.	ხ.	2000	ბარამიძე	მ.	ბ.	2000
აგაშენაშვილი	თ.		2000	ბარბაქაძე	ქ.		1000
ადამია	ნ.	რ.	1315	ბარნოვი	ს.	ი.	5340
ადამია	რ.	შ.	2000	ბარქაია	ზ.	ვ.	809
ადეიშვილი	ჯ.	გ.	50000	ბარძენიშვილი			1720
ავალიშვილი	დ.	ი.	5000	ბასელაშვილი	პ.	პ.	12000
ავალიანი	ი.	გ.	5000	ბასილაია	ა.	ლ.	10000
აზმაიფარაშვილი	მ.	ა.	1315	ბასილაშვილი	გ.	შ.	859
აიდოევა	ე.		50	ბასტატსკაია	დ.	ლ.	1012
აიდოევა	ხ.		50	ბაქანიძე	ლ.		200
ალაფიშვილი	გ.	ს.	1300	ბაქანიძე	მ.		1720
ალაფიშვილი	ე.	ბ.	1000	ბალჩიევი	გ.	გ.	1000
ალბუთაშვილი	ს.		1000	ბაშალეიშვილი	დ.	რ.	1000
ალბუთიშვილი	გ.	ც.	7163	ბაჩანაძე	ა.	ვ.	1000
ალელიშვილი	ვ.	მ.	1518	ბაჩანაძე	ა.	ვ.	1000
ალექსანიანი	ფ.	ა.	2500	ბაციკაძე	ზ.	ნ.	1527
ალექსეენკო	გ.	ა.	100	ბახია	თ.	მ.	500
				ბახტაძე	დ.	მ.	3000
ალექსიშვილი-ცაბარეიშვილი			1500	ბახტურიძე	პ.	ვ.	1000
ალექსიძე	გ.	დ.	911	ბებიაშვილი	ვ.	ს.	911
ალიბეგაშვილი	ჯ.	ა.	15000	ბედუკაძე	თ.	ა.	100
ამაღლობელი	მ.	ბ.	911	ბეიბუთიანი	რ.	ა.	1000
ამბარიანი	ა.	ა.	100	ბენდელიშვილი	გ.	პ.	1000
ამირანაშვილი	ა.	ა.	500	ბეჟანიშვილი	ზ.	ა.	911
ამირეჯიბი	ჰ.		25000	ბეჟანოვი	ა.	ს.	809
ამირეჯიბი	ნ.	დ.	5000	ბეჟაშვილი	გ.		2000
ანანიაშვილი	გ.	გ.	400	ბეჟიაშვილი	გ.	ზ.	3000
ანდრიაძე	ა.	ი.	1000	ბერაძე	რ.		10000
ანდრიაძე	ი.	ო.	5000	ბერიანიძე			2000
არამაშვილი			1000	ბერიანიძე	ი.	ლ.	1000
არატიშვილი	ი.	ა.	20000	ბერიანიძე	შ.	ზ.	3000
არველაძე	რ.	დ.	5000	ბერიკაშვილი	ნ.		30
არველაძე	ტ.	ვ.	10000	ბერიშვილი	ზ.	გ.	30000
არზუმანოვი	მ.		100	ბერიძე	ა.	მ.	5000
არსოშვილი	გ.		2000	ბერიძე	გ.		4250
არუთინოვა	ი.	გ.	607	ბერიძე	ვ.	ი.	1315
არუთინოვა	რ.	ვ.	607	ბერიძე	ვ.		3000
არუთინოვი			50	ბერიძე	პ.	თ.	5000
არუთინოვი	ს.	ა.	1000	ბერიძე	ნ.	ი.	200
არჩვაძე	თ.	ნ.	100	ბერიძე	ნ.	ს.	5000
ასათიანი	ა.	თ.	5000	ბერიძე	რ.	ი.	40000
ასათიანი	ლ.	ა.	809	ბერიძე	ჯ.	ლ.	2000
ასათიანი	მ.	გ.	5000	ბერუაშვილი	ო.	ბ.	3000
ასლანიანი	ს.		500	ბერძენიშვილი	დ.		1315
ასლანოვი	ხ.		50	ბეწონაშვილი	მ.		500
ასრათაშვილი	რ.		1012	ბზვანელი	ე.	გ.	10000
აფაქიძე	ო.		5000	ბიბილაშვილი	ზ.		506
აფრასიძე	თ.	ე.	1000	ბიბილური	ლ.	ვ.	20000
აფციაური	დ.	ა.	911	ბიბანიშვილი	ა.	გ.	1000
[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	ბინიაშვილი			1000
ახმეტელი	გ.	გ.	3000				
აჯიაშვილი	ს.	დ.	5000				

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

მიზეზები

რატომ ვერ გავითავისეთ ომი?

აფხაზეთში მიმდინარე ომი სამამულო ომად ვაღიარეთ, მაგრამ ამით ბევრი არაფერი შეცვლილა. საზოგადოებრიობა პრაქტიკულად ინდიფერენტულია ამ ომისადმი. ვერ იქნა და ვერ შევიგრძენით ის საშიშროება, რომელიც ხვალ შეიძლება თავშისაცემი გაგვიხდეს. ოღონდ საკუთარი სახლის მყუდროებას ნუ დაგვირღვევენ, ოღონდ საკუთარ ეზო-კარმიდამოს ნურავინ შეგვეცილება, — ასეთია დღეს ბევრი ჩვენთაგანის განწყობა...

არა და, მეომარი ერი ვიყავით თითქოს ყოველთვის, იარაღასხმული, ჯაჭვგაუხდელი ვხნავდით და ვთესავდით... რა ხდება, დღეს რა გვემართება, საიდან მოდის ეს გონებისგამყინავი გულგრილობა? რატომ გაგვიხდა ეს ომი „სხვის" ომად, რომელიც მან უნდა მოიგოს და არა ჩვენ, — მე და შენ?.. ამ კითხვებით მივმართე ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, ნოდარ სარჯველაძეს:

— ფაქტია, რომ ერი დღეს მრავალ ნაწილადაა დაშლილი. ფაქტია ისიც, რომ ეს ნაწილები ერთმანეთის მოქიშპეა, არაურთიერთშემავსებელი; არსებობს უამრავი სხვადასხვა პარტია, ექსპრეზიდენტის თუ დღევანდელი ხელისუფლების მომხრენი და მოწინააღმდეგენი; საზოგადოებრიობა გათიშულია, დანაწევრებული. ასეთ ვითარებაში ხალხის გამაერთიანებელი იდეა, გარდა ტერიტორიული მთლიანობის დაცვის იდეისა, არ ჩანს, არ არსებობს არც ისეთი იდეის მატარებელი ძალა. ამიტომაცაა, რომ საზოგადოების თითოეული ნაწილი ამ ომს მეორე ნაწილის ომად აღიქვამს, ეს მისთვის მართლაც „სხვისი" ომია... რატომ? — შესაძლებელია ეროვნული მოძრაობის ხანგრძლივმა პერიოდმა თავისი პოლიტიზირების მაღალი ხარისხით, ხალხი გადაღალა, გამოფიტა და მოხდა მაღალი ღირებულებების (პატრიოტიზმის, ჰუმანიზმის) დევალვაცია. ეროვნული მოძრაობა ხომ ამ ღირებულებების მაქსიმუმს მოითხოვდა, და ბუნებრივია, ხალხს ჩვეულებრივი, წყნარი ცხოვრება მოენატრა, ომი კი ჩვეულებრივი ცხოვრების ჩარჩოებში ვერ ეტევა. დღეს ჩვენ საქმე გვაქვს ხალხის დეზორიენტირებულ წყებასთან; ერთმა ნაწილმა ომის გამო სახლკარი დაკარგა და ლტოლვილად იქცა, მეორე — გუშინ ხელისუფლებაში აღზევებული, — დღეს რიგითია და უჭირს რიგითობა, მესამე — პირიქით, გუშინ რიგითი, დღეს ხელისუფალთა შორისაა, მეოთხე — რიგითი იყო, მაგრამ რაღაც პერსპექტივა ჰქონდა, დაკარგა და თავგზააბნეულია, მეხუთე — ვითომ არ დაიბნა, არამწარმოებლურ შრომას მოჰკიდა ხელი, საზრუნავი გაიჩინა და ასე შემდეგ. საბოლოო ჯამში ეს ყველაფერი ძალიან ჭრელ საზოგადოებას ქმნის, რომელსაც, როგორც მოგახსენეთ, გამაერთიანებელი იდეა აკლია.

ასეთია ვითარება, ამიტომ, ლოგიკურად, ადამიანები დღეს რაღაც დიდმა საშიშროებამ შეიძლება გააერთიანოს, მაგრამ დღევანდელი ადამიანის თავზე იმდენმა საშიშროებამ და თანაც ისეთი სიძლიერით გადაიარა, რომ ამ გრძნობის ნეიტრალიზაცია მოხდა...

ანგარიშგასაწევია ის ფაქტორიც, რომ ურთიერთდამოკიდებულების სოცარ სამყაროში ვცხოვრობთ, ერთი ქვეყანა როგორღაც მეორეზეა გადაჯაჭვული, მეორე მესამეზეა დამოკიდებული და ა.შ. იზოლაცია დამღუპველია. შესაბამისად, ყველა ერი თავის გარკვეულ ფუნქციას იძენს ამ ურთიერთდამოკიდებულების ზღვარზე. დღეს საქართველო ამ გადაჯაჭვული სამყაროდან ამოვარდნილია, უფუნქციოა. ფუნქციის მოპოვებისთვის მხოლოდ გეოგრაფიული მდგომარეობა არ კმარა, საჭიროა ეს ფუნქცია სწორედ ძალთა გადაკვეთის წერტილზე იქნას მოპოვებული, და არა მხოლოდ თავისთვის... ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, ბევრი რამის გადაფასება-გადაწყობა ხდება: ენერგიის, ღირებულებების, ურთიერთობების.

ნიშანდობლივია და ადამიანის ფსიქიკაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ისიც, რომ ჭერჭერობით ჩვენ მსხვერპლის მდგომარეობაში ვართ და ამ მდგომარეობიდან ვესაუბრებით მსოფლიოს. როცა მსხვერპლია, თავისთავად არსებობს მდევარი დამნაშავე და არსებობს მხსნელი. იკვრება თანამედროვე სიტუაციის ამსახველი სამკუთხედი: დამნაშავე — მსხვერპლი — მხსნელი. დამნაშავეა რუსეთის იმპერია ამაში ერთსულოვანი ვართ, მსხვერპლი ვართ ჩვენც, აფხაზებიც, ოსებიც და თვით რუსებიც, ხოლო მხსნელად ზოგი გაეროს თვლის, ზოგი — „ნატოს", ზოგი — შევარდნაძეს, ზოგი — გამსახურდიას.

მსხვერპლობის სიტუაცია თრგუნავს ადამიანის ფსიქიკას და დათრგუნული გონება აქტიურად ეძებს მტერს, ცდილობს მტრის ხატის შექმნას, თანაცხოვრება ბრალდებებზეა აგებული და ყოფა გაუსაძლისი ხდება. ერი ვერ მთლიანდება, თუ, რა თქმა უნდა, ტოტალიტარული სახელმწიფო არ არის... სწორედ ამიტომ საჭიროა ერის სულიერი გადაწყობა, რისი წინაპირობაც გახლავთ ხელისუფალთა მიერ ერისთვის ეკონომიკური პერსპექტივის ჩვენება. თუმცა, ცხადია, მხოლოდ ამით ვერ დამთავრდება ეს პროცესი, ვერც პატრიოტიზმის ქადაგებით მივაღწევთ შედეგს, ამასთან ერთად აუცილებელია სათავე დაედოს ურთიერთმიტევებისა და ურთიერთშეწყნარების მაღალზნეობრივ კატეგორიებს; დღეს ამის უამრავი მცდელობა არის, მაგრამ ეტყობა არ არის საკმარისი.

როცა ომია, პრაქტიკულად იქნება გამარჯვებულიც და დამარცხებულიც, შესაბამისად, არის გამარჯვებისკენ სწრაფვაც. დღევანდელი გულგრილობა ამ ომისადმი ალბათ იმის ბრალია, რომ ადამიანებს ეჭვი ეპარებათ, რომ ამ ომში გამარჯვებული შეიძლება იყოს. კარგა ხანს ამ ომს უაზროს, ძმათამკვლელს ვუწოდებთ, არ იყო გარკვეული ვის ვეომებოდით, — ეს ყველაფერი აძლიერებს პატრიოტიზმის დევალვაციას. საგულისხმოა ისიც, რომ ადამიანის სიცოცხლეს ფასი დაეკარგა, კაცის მოკვლა იოლი გახდა, ამიტომაც „დაგვიბლაგვდა" სამშობლოს გრძნობა ალბათ...

ხალხი მარტო სამშობლოს დაცვის იდეამ კი არა, ერთმანეთის სიცოცხლის გაფრთხილების სურვილმაც უნდა გააერთიანოს. ჩვენ ყველას ჩვენი შინაგანი, სულიერი ომი გვაქვს გადასატანი და ეს ომი ყველამ ცალ-ცალკე უნდა მოვიგოთ.

საერთოდ კი, კონფლიქტს მოგვარება სჭირდება და არა გამარჯვებული და დამარცხებული, რადგან დამარცხებულში რევანშის სურვილის არსებობა მომავალი კონფლიქტის მიზეზი შეიძლება გახდეს. კონფლიქტის მოგვარების ოთხი გზა არსებობს:

1. აგრესია (რომლის დროსაც მთავარია ძალა, ეს ცხოველური ინსტიქტიდან მოდის);
2. არიდება (რომლის შემდეგაც კონფლიქტის კერა კვლავ რჩება და მომავალში წინ შეიძლება დაგიხვდეს, ესეც ცხოველებისთვის უფროა დამახასიათებელი);
3. კომპრომისი (ორივე მხარე თმობს და ხვალ ეს დანათმობი მომავალ თაობებს შეიძლება ისევ სადაო გაუხდეთ);
4. კონფლიქტის გადაზრდა ურთიერთთანამშრომლობაში (რომელიც იდეალურ ვარიანტად ითვლება).

დღეს ჩვენ კონფლიქტის მოგვარების რომელ გზას ვადგავართ, თვითონ განსაჯეთ, და მესამე გზას რომ ვესწრაფვით, ესეც ნათელია. საჭიროა აქცენტი მეოთხეზე გაკეთდეს, და თანაც აუცილებელია კონფლიქტის მოგვარებისას ორივე მხარემ ერთმანეთის ინტერესებზეც იზრუნოს საკუთართან ერთად. მედიატორმა (შემრიგებელმა) კონფლიქტურ მხარეთა ღირსებებზე უნდა იმუშაოს და არა ნაკლოვანებებზე.

ზემოთ პატრიოტიზმზე ვისაუბრეთ. სულ ახლახანს იყო, რომ ეს გრძნობა ჩვენს საზოგადოებას ღია ჭრილობასავით მგრძნობიარე ჰქონდა, პოლიტიკურმა ორომტრიალმა, პატრიოტულ გრძნობებზე გამუდმებითმა მოქმედებამ უკუპროცესი გამოიწვია, ამიტომაც დღეს საზოგადოება გარკვეულწილად ინდიფერენტიზმს ამჟღავნებს, ამას დაემატა ეკონომიკური სიდუხჭირე, ომი და შედეგი: — ემოციისგან დაიცალა ხალხი; ემოციური ფაქტორი კი ომის დროს მნიშვნელოვანია.

ქართველებს წარსულის იდეალიზაცია გვჩვევია ხოლმე ხანდახან და არსებულის ჰიპერბოლიზებას ვახდენთ, საქართველოს ხომ ისტორიულად ქუდზე კაცი ყოველთვის უჭირდა, მეისტორიე შეიძლება არაფერს ამბობს დეზერტირებზე, მაგრამ ხომ იქნებოდნენ ასეთებიც. საგანგაშო არც დღეს არის ამ მხრივ მაინც და მაინც: მათ გვერდით, ვინც ომს თავს არიდებს, საკმაოდ არიან მამულის ერთგულნიც, რომლებიც დღესაც იბრძვიან მისი ერთიანობისათვის. ის, რომ არასდროს არ გვყოლია რეგულარული არმია, ქართული სახელმწიფოს დაცვას ყოველთვის აძნელებდა.

ზემოთ ისიც მოგახსენეთ, გლობალურმა საშიშროებამ უნდა გაგვაერთიანოს-მეთქი, ტერიტორიული ერთეულის, ამ შემთხვევაში აფხაზეთის დაკარგვის საშიშროებამ ვერ გააკეთა ეს საქმე, ხვალ რა იქნება — ვნახოთ, ფაქტი ერთია, რომ მხოლოდ ერთ მუშტად შეკრული საქართველო მიაღწევს მიზანს.

რაც უნდა გვაწუხებდეს

ესაუბრა
ფერიდე ბიწაძე

ფაქტი

ყველა უნდა იბრძოდეს

ამ წერილის მოწერა თქვენს გაზეთში გამოქვეყნებულმა ბატონ თორნიკე პაპავას წერილმა გადამაწყვეტინა. ჩემი ორი ვაჟი გვარდიაში მსახურობს. ერთი აფხაზეთში იბრძვის.

არ ვიცი, როდის რა მოგვივა. აცრემლებული ოჯახის წევრები მომლოდინე გავყურებთ გზას.

ტელეეკრანებთან მსხდომებს ხშირად დიდი ნერვიულობა გვინევს. ჩვენთვის საინტერესო გადაცემის დროს ირთვება სინათლე. როდისმე თუ დადგება ის დრო, რომ ომი დამთავრდეს და ჩვენი შვილები დაუბრუნდნენ ოჯახებს.

თუ ომია, ბატონო, და გვესმის რომ ომია, მაშინ ყველა უნდა ომობდეს. ზოგიერთმა მშობელმა თავთავიანთი შვილების საქმეები მოაგვარა, ზოგი თითქოს ავადმყოფია, ზოგი წვევამდელი ამოწერილია და არსად არ არის ჩაწერილი, ზოგი ახლა გახდა ტექნიკუმის და ფასიანი სასწავლებლის სტუდენტი. ოღონდ შვილები სახლში ჰყავდეთ და ყველაფერს აკეთებენ. მაინტერესებს, ვინ შეცვლის ჩვენს შვილებს? ან როდემდე უნდა იმსახურონ ამ განამებულმა ბავშვებმა? ვისაც საცხოვრებელი ადგილი არ დაუტოვებია, მათ ბოდიშს მოვუხდი, ეს მათ ეხება, ვინც ჯანღონით სავსენი საქართველოს ყველა კუთხე-კუნჭულს მოსდებიან. რატომ უნდა იყვნენ ლტოვილები ახალგაზრდა ვაჟკაცები, რომლებსაც თავიანთი მიწა-წყლის დაცვა შეუძლიათ? მარტო ჩვენმა შვილებმა რატომ უნდა დაიცვან მათი სახლ-კარი?

მაინტერესებს, აგრეთვე, დაქირავებული ჯარი რას ჰქვია? მესმის, დაიქირაონ სხვა ქვეყნის ჯარი, გადაუხადონ გარკვეული რაოდენობის თანხა და ამსახურონ. რაღა ჩვენ შვილებს ანიჭებენ ასეთ სტატუსს?

როგორც ვიცით, მიწის პრივატიზაცია მიმდინარეობს. თუ ეს ბავშვები ამოვწყვიტეთ, მიწა ვილასთვის გვინდა?

მზია სიხარულიძე,
ჩოხატაურის რაიონი,
ა. ვ. ს. გოგოლესუბანი

მირჩევნის ორთავ თვალზედა!

— კომპეტენტურ პირთა მიერ არაერთხელ განისაზღვრა ომის დამთავრების დრო. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ სასურველი შედეგი არ ჩანს. ყოველდღე გვეღუპებიან ბიჭები, გვინადგურდება გენოფონდი, ასე თუ გაგრძელდა, თავდაცვის სამინისტროს აღარავის დაცვა აღარ დასჭირდება. „სიკვდილი ან გამარჯვება" — გვარგებს დღეს ეს დევიზი?

ამ კითხვით მივმართეთ საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილეს, ბრიგადის გენერალს **ჯემალ ჟუმბურიძეს**.

— კომპეტენტური პირები ომის დამთავრების განსაზღვრისას იმედებს ამყარებენ მოლაპარაკების ეფექტიანობაზე. მაგრამ ყველამ თვალნათლივ დაინახა, აფხაზი სეპარატისტების წარმმართველი რეაქციული ძალები როგორ ცდილობენ სისხლისღვრის შეწყვეტის მშვიდობიანი გზა გადაგვიჭრან.

რუსეთთან ომი არ შეიძლება, მაგრამ საკუთარი მიწა-წყლის დათმობაც წარმოუდგენელია. თუ ომის მშვიდობიანად დამთავრება არ მოხერხდა, სხვა გზა არა გვაქვს. როგორი ძლიერიც არ უნდა იყოს მოწინააღმდეგე, თუნდაც ხის აბჯარი გვქონდეს (რუსეთთან შედარებით ასეც არის!), სისხლის უკანასკნელ წვეთამდე უნდა ვიბრძოლოთ.

მახსოვს, სამაჩაბლოში ერთმა მეომარმა თქვა: ერთი ტყვია იქით მეც გავისროლე და ღმერთს ვევედრებოდი, ნეტავ არავის მოხვდესო. ქართველი რომ ბუნებით მიმტევებელია, ამაზე ეს ფაქტიც მეტყველებს, მაგრამ მეგობარს, მეზობელს, თანამებრძოლს რომ მოგიკლავენ, სახლ-კარს გადაგიწვავენ, ოჯახს ამოგიწყვეტენ, პატივსა და ღირსებას შეგილახავენ, მტერთან ბრძოლასაც ისწავლი. დიახ, ჩვენმა ბიჭებმა ბრძოლა ისწავლეს. ეს ომი უაზროა მათთვის, ვისაც იგი უაზრო ჰგონია.

— თბილისის ქუჩებში უკვე გამოჩნდნენ ხეიბრები, სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ძვირფასი რა უნდა იყოს, მაგრამ რაკი სიცოცხლე გრძელდება, ცოცხალ ადამიანს მატერიალური თანადგომაც სჭირდება. რა ღონისძიებები ხორციელდება დაღუპულთა ოჯახებისა და ინვალიდთა დასახმარებლად?!

— სწრაფი რეაგირების კორპუსმა (გვარდიამ) შექმნა საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი, რომლის პრეზიდენტი გახლავთ თავდაცვის მინისტრის მოადგილე თამაზ დუმბაძე. ეს ფონდი დღითიდღე ივსება მოქალაქეთა, წარმოება-დაწესებულებათა და გვარდიელთა შემოწირულობებით. დაჭრილებს ეძლევათ დახმარება 50 ათასი მანეთის, ხოლო დაღუპულთა ოჯახებს 100 ათასი მანეთის ოდენობით. მათთვის ვაშენებთ 56 ბინიან ორ საცხოვრებელ სახლს, რომელიც უახლოეს მომავალში ექსპლუატაციაში შევა. დღეისათვის 288 დაღუპულის ოჯახებისათვის 19 მილიონ მანეთამდეა გაცემული, 325 დაჭრილს — 4 მილიონამდე მანეთი მივეცით. დაჭრილთა და დაღუპულთა ოჯახების დახმარების გარდა, ფონდის შექმნის მიზანია სამშობლოსათვის თავდადებულ მეომართა საფლავების მოწყობა და გვარდიის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა.

— ინვალიდებისა და დაღუპულთა ოჯახებისათვის მთელი რიგი შეღავათების დაწესების შესახებ მოქმედებს თუ არა რაიმე კანონი?

— პარლამენტმა დაამუშავა შესაბამისი კანონი, რომელიც უახლოეს მომავალში ამოქმედდება.

— როგორც თვითმხილველნი ამბობენ, არის შემთხვევები, როცა მეომარს ფორმის უქონლობის გამო ჯინსი აცვია, დედაქალაქში ნებისმიერ ბაზრობაზე კი კამუფლირებული სამხედრო ფორმა მამასისხლად იყიდება. ვფიქრობ, გვარდიას, ასეთი სოლიდური ფონდის პატრონს, ამუნიციით თავისი მეომრების მომარაგება არ უნდა უჭირდეს.

— არასწორი ინფორმაციაა. ჯინსიანი მეომარი წარმოუდგენელია, რადგან აფხაზეთში 12 ათასი ფორმა გვაქვს გაგზავნილი, იმავე რაოდენობით მივაწოდეთ თავდაცვის სამინისტროს კომპეტენციაში გვარდიის შესვლამდე. როცა აფხაზეთში საომარი მოქმედება დაიწყო, ლაშქრული წესით წასულმა ბევრმა მოხალისემ ჩაიცვა, დაიხურა, იარაღიც აისხა და, სამწუხაროდ, ბრძოლის ველი მიატოვა. რას იზამ, ერთი ხიდან ბარიც გამოვა და ნიჩაბიცო. ასეთებიც არსებობენ.

— ქართველს შემორიგებული კაცის მტრობა არ ჩვევია, როგორ ფიქრობთ, ლოთი ქობალიას მერყეობა თანამემამულეთა მიმართ უნდობლობამ ხომ არ გამოიწვია?

— თუ ექსპრეზიდენტის ერთგულების ნიშნით შევაფასებთ, ლოთი ქობალია ვაჟკაცია, მაგრამ მისი მერყევი პოზიცია, ვფიქრობ, გამოწვეულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვის სურვილითაც და ექსპრეზიდენტის მომხრეთა დაწოლითაც. ლოთი ქობალია ის ძალა არ არის, რომელმაც შეიძლება სამეგრელოს რეგიონი მართოს, იქ სხვა პოლიტიკური ძალები და ყაჩაღთა ბანდები მოქმედებენ. მართალია, ძველი ინერციით სვლა ძნელი დასამუხრუჭებელია, მაგრამ იმედი არ დაგვიკარგავს, რომ მამულის სიყვარული ბევრს გონს მოიყვანს და შეაჩერებს. ჩემი აზრით, ლოთი ქობალია იმ ქართველთაგანია, რომელიც ვერ შეეგუება ჩვენი მიწა-წყლის წაგლეჯას და ჩვენთან ერთად აღსდგება მის დასაცავად.

— ომი ცხოვრების სკოლაა, რომლის დამთავრება ბევრს არ უწერია. ამიტომ მზრუნველ კალთას ამოფარებულნი იქით არ მიიწევენ. ეს ომი თითქოს საქართველოს მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს აღელვებს. ერთ ნაწილს მხოლოდ სოციალური პრობლემები აწუხებს, მეორე კი თავგანწირვით იბრძვის. ხომ არ არის მოსალოდნელი მათშიც უიმედობის გაღვივება?

— აფხაზეთში მებრძოლი ბიჭები ნამდვილი გმირები არიან. ისინი ხვალინდელ დღეს იმედით შეჰყურებენ. მაგრამ ყველამ თუ არ გაიცნობიერა, რომ საქართველოში ომია, ყველამ თუ ხელი არ დაიკაპიწა, უარესია მოსალოდნელი, ფარ-ხმალის დაყრას კი შთამომავლობა არ გვაპატიებს. ქართველმაც და არაქართველმაც ერთნაირად უნდა იფიქროს ომის მძიმე შედეგებზე და მისი თავიდან აცილების გზებზე, ომია საქართველოში და ეს უნდა იგრძნოს პარლამენტმაც. აზრის გამოთქმის უფლება ყველასა აქვს, მაგრამ ერთსულოვნების გარეშე სახელმწიფოს მეთაურსაც გაუჭირდება გონივრული ნაბიჯის გადადგმა და ერსაც „ხის აბჯრით" მტერთან შებმა.

ესაუბრა
ლეილა კოშკაძე.

თუ ვინმეს სურვილი აქვს თავისი წვლილი შეიტანოს საქართველოს სწრაფი რეაგირების კორპუსის (გვარდიის) დახმარებისა და ქველმოქმედების საერთაშორისო ფონდის შევსებაში, შეახსენებთ ანგარიშის ნომერს — 005141, კოდი 521017 „საქბინსოცბანკი".

სამშობლოს ძლიერებისთვის გაღებული წვლილი

(გაგრძელება)

ბიჩნიკაური	ნ.	ტ.	100
ბიჩნიკაური	რ.	თ.	100
ბიწაძე	რ.	ვ.	324
ბლინოხვატოვა	ტ.	ვ.	809
ბობოხიძე	ა.		1315
ბოლქვაძე	თ.	რ.	1315
ბოლქვაძე	მ.	ლ.	500
ბოლქვაძე	ქ.	მ.	911
ბონდარენკო	ლ.	ვ.	253
ბონდარენკო	ლ.	ვ.	253
ჯორჯაძე	ა.	კ.	7430
ბოსტაშვილი	ა.	პ.	6640
ბოჩორიშვილი	ა.		10050
ბრაჭული	ზ.	ა.	2000
ბრეგაძე	ა.	ა.	5000
ბუაჩიძე	თ.	პ.	5000
ბუზალაძე	რ.	გ.	5000
ბუთიკაშვილი	გ.	შ.	1012
ბუკასიანი	ს.	ა.	500
ბუკინი	ვ.	ა.	627
ბურნაძე	ა.	ო.	1000
ბუცხრიკიძე	ჯ.	ი.	800
ბუძიაშვილი	ლ.	გ.	708
ბუჯიაშვილი	ვ.		2000
ბუჯიაშვილი	კ.	ვ.	1315
გაბაშვილი	კ.		2022
გაბაძე	ლ.	გ.	
კანკავა	ს.	გ.	
გაბრუკაშვილი	დ.	ო.	153
გაბრიჩიძე	ნ.	შ.	37840
გაბრიჭიძე	გ.	ს.	1315
გაბუნია	ე.	პ.	911
გაბუნია	ნ.	ს.	2000
გაგნიძე	თ.	ა.	3000
გაგნიძე	ლ.		50
გაგნიძე	ნ.	რ.	708
გაგნიძე	ო.	ა.	10000
გაგუა	ლ.	ი.	1518
გაგუა	მ.		1000
გადილია	ვ.	შ.	1518
გავაშელი	ვ.	ი.	2000
გაზაევი	გ.		1000
გაზაშვილი	ნ.	ი.	1518
გაზდელიანი	თ.	კ.	20000
გაიხარაშვილი	ა.		100
გალდავა	ვ.	გ.	911
გამყრელიძე	თ.	ვ.	35958
გამყრელიძე	ლ.	გ.	809
გარდაფხაძე	გ.	გ.	3000
გაფრინდაშვილი	ვ.	შ.	1315
გაფრინდაშვილი	მ.	ქ.	100
გაჩეჩილაძე	გ.	ა.	1000
გაჩეჩილაძე	ლ.	ა.	1012
გეგელია	გ.	ა.	3350
გეგეშიძე	გ.	შ.	1720
გელაშვილი	გ.	გ.	50000
გელაშვილი	კ.	დ.	1821
გელაშვილი	ნ.		762
გელაძე	ა.	შ.	3000
გელაძე	ვ.	ნ.	2000
გელოვანი	თ.	ს.	2000
გეწაძე	გ.	ი.	20000
გვარამია	გ.	ს.	3000
გვარაძე	მ.		50
გვარიშვილი	მ.	კ.	1720
გვენცაძე	ლ.	ს.	1000
გვერდწითელი	მ.	პ.	9000
გვილავა	ა.	ა.	500
გვიმრაძე			2000
გვიმრაძე	მ.	გ.	2000
გიაშვილი	ლ.		1000
გიგინეიშვილი	მ.	ი.	20000
გოგოშვილი	ი.	ი.	6250
გიორგაძე	ვ.	ი.	809
გიორგაძე	თ.	ნ.	50000
გიორგაძე	ო.		50
გიორგაძე	ო.	ს.	3100
გლოველი	ნ.		58
გოგელია	კ.	გ.	4000
გოგეშვილი	ა.	ი.	2500
გოგია	ზ.	ს.	3500
გოგილაშვილი	მ.		1000
გოგიტიძე	ა.	ბ.	1214
გოგიტიძე	ი.	გ.	3000
გოგიჩაიშვილი	ე.	კ.	1315
გოგიჩაძე	ა.	ნ.	2500
გოგიძე	ქ.	გ.	100
გოგიძე	შ.		100
გოგნაძე	გ.	ნ.	1500
გოგოაშვილი	გ.	ი.	10000
გოგობერიშვილი	დ.	ს.	1000
გოგოლაძე			2000
გოგოლაძე	ე.		1000
გოგორიშვილი	მ.	კ.	18800
გოგოჩაიშვილი	ფ.	ტ.	1000
გოგოჩაძე	გ.	დ.	5000
გოგოჭური	თ.		50
გოგუაძე	ვ.	ვ.	10000
გოგუაძე	თ.	შ.	2500
გოგშელიძე	მ.	ი.	911
გომართელი	ა.	ი.	10000
გომიაშვილი	ნ.		8470
გორგოძე	მ.	ჯ.	1416
გორგოძე	ჯ.	ვ.	5000
გორდელაძე	ო.		5000
გოცირიძე			5000
გოცირიძე	მ.		900
გოცირიძე	რ.		4250
გრიგორიანი	ს.	ა.	100
გრძელიშვილი	ა.	ი.	1000
გრძელიძე	მ.	ზ.	607
გუგულიანი	გ.	ს.	1000
გუგუნავა	ა.	დ.	2000
გუგუშვილი	თ.		114
გუდაძე	ზ.		50
გულიაშვილი	ლ.	ი.	100
გუმბერიძე	თ.	მ.	1518
გუმცკაია	ა.		15
გუნცაძე	დ.	კ.	1720
გურაბანიძე	ვ.		1000
გურასპიშვილი	შ.		150
გურგენიძე	დ.	ვ.	1720
გურგენიძე	თ.	გ.	5000
გურჯიშვილი	ა.	დ.	1315
გუჯეჯიანი	თ.	ნ.	4600
დავარაშვილი	ი.	ი.	5000
დავითაშვილი	ს.	ნ.	809
დავითულიანი	გ.	გ.	911
დავლაძე	ლ.		10000
დათუნაიშვილი	გ.	ვ.	1720
დანელია	თ.	დ.	2000
დანელია	ი.	ა.	1000
დარჩია	ლ.	ხ.	300
დარჯანია	ე.	გ.	100
დაუტაიძე	ს.		300
დევდარიანი	მ.		1000
დევდარიანი	ნ.	გ.	5000
დევდარიანი	რ.		800
დევდარიანი	ჯ.	ი.	1315
დევიძე	ლ.	ზ.	1000
დემეტრაძე	თ.	ა.	1700
დვალაძე	დ.	ა.	10000
დვალი	ირ.		1000
დვალიშვილი	დ.	ნ.	10000
დიღმელაშვილი	რ.	ა.	911
დოლაბერიძე	ვ.	მ.	1518
დოლიძე	გ.	ს.	5000
დოლიძე	რ.	ხ.	2500
დოლიძე	ჯ.	ს.	5000
დოლმაზაშვილი	ა.	რ.	5000
დონაძე			6300
დოქსოპულო	ე.	პ.	1500
დუდაური	მ.	გ.	1000
დუდაური	ტ.	ე.	1518
დუმბაძე	დ.	ვ.	2000
დუმბაძე	ვ.	დ.	3000
დუმბაძე	ლ.	კ.	708
დუმბაძე	მ.	ჭ.	809
ედიბერიძე			1000
ედიბერიძე	ა.	ა.	3500
ედიბერიძე	ა.	ა.	2000
ედიბერიძე	ა.	ნ.	4000
ედიბერიძე	ა.	ჯ.	4000
ედიბერიძე	ა.		8000
ედიბერიძე	ა.		2000
ედიბერიძე	ა.		2000
ედიბერიძე	ა.	ა.	2000
ედიბერიძე	ა.	ა.	1000
ედიბერიძე	ა.	ა.	3200
ედიბერიძე	ა.	ა.	5000
ედიბერიძე	ა.	ა.	6000
ედიბერიძე	ა.	ჯ.	2000
ედიბერიძე	ა.		100
ედიბერიძე	ა.		2000
ედიბერიძე	ა.		200
ედიბერიძე	ა.		2000
ედიბერიძე	ა.		2000
ედიბერიძე	ა.		200
ედიბერიძე	ა.		1000
ედიბერიძე	ა.		2000
ედიბერიძე	ა.	ა.	200
ედიბერიძე	გ.	მ.	1000
ედიმურიძე	ა.	ა.	1000
ედიშერიძე	ა.		2000
ედიშერიძე	ა.		4000
ეზუგბაია	ე.		1000
ელაშვილი	ლ.	ც.	2000
ელერდაშვილი	გ.	ვ.	3000
ელიაშვილი	ა.	დ.	5000
ელიზბარაშვილი	ო.	ა.	1315
ელიზბარაშვილი	ო.	შ.	911
ელკანიშვილი			5000
ენუქიძე	ზ.	მ.	2500
ერისთავი	ზ.	კ.	5000
ესაკია	მ.	ი.	1000
ვადაჭკორია	ლ.	დ.	809
ვანსოვსკაია	ი.		500
ვარდიაშვილი	მ.	ა.	1600
ვარდოსანიძე	ლ.	გ.	9000
ვარძელაშვილი	ა.	ა.	1315
ვაშაკიძე	ი.		1200
ვაშალომიძე	ლ.		1000
ვაშაყმაძე	მ.	დ.	1315
ვაჩნაძე	ნ.	ა.	100
ვეკუა	შ.	მ.	5000
ველიჯანაშვილი	გ.	რ.	7000
ვერულაშვილი	ე.	კ.	5000
ვერძეული	ზ.	ი.	1315
ვეშაგურიძე	ე.		1000
ზაალიშვილი	ზ.	დ.	8
ზავრადაშვილი	ნ.	გ.	911
ზამბახიძე	თ.	ა.	5000
ზანდუკელი	თ.	ი.	6300
ზედგენიძე	მ.		1000
ზვიადაური	ლ.		1000
ზვიადაძე	გ.	ზ.	1315
ზუკაკიშვილი	ნ.	გ.	708
ზურაბაშვილი	გ.	დ.	607
ზურაბიშვილი	ზ.		500
ზუხბაია	ო.	გ.	10000
ზღუდაძე	ა.	ს.	50000
თავართქილაძე	ა.	ი.	20000
თავაძე	ზ.	მ.	911
თავბერიძე	ა.	ა.	5000
თავდიაშვილი	მ.	მ.	10000
თავშავაძე	გ.	გ.	1000
თავხელიძე	გ.	ს.	7000
თალხელაშვილი	ვ.	ქ.	1000
თამშევი	ა.	რ.	5000
თაყაძე			800
თევზაძე	გ.	პ.	2000
თევზაძე	ი.		1720
თეზელაშვილი	ა.	დ.	15000
თეთრაძე	მ.	ბ.	1315
თოდუა	ვ.	თ.	10000
თოთიბაძე	გ.	ა.	1518
თომაძე	დ.	ა.	500
თოფურია	ე.		2000
თოფურია	ვ.	ა.	1518
თოხაძე	მ.	დ.	1315
თუთარაშვილი	მ.	ლ.	1000
თუმანიშვილი	გ.	დ.	1000
თუმანიშვილი	მ.	ი.	10000
თურქია	ლ.	თ.	5000
თხუტიაშვილი			1000
იაკობაშვილი	თ.	ს.	5000
იაკობაძე	ვ.	ტ.	2000
ილურიძე	გ.	ვ.	5000
იმნაიშვილი	ა.	შ.	5000
იმნაძე	გ.	ა.	1518
იმნაძე	ჯ.	კ.	1000
ინასარიძე	გ.	ი.	20000
იობაშვილი	მ.	ნ.	911
იორამაშვილი	გ.	მ.	1000
იოსებაშვილი	ი.	დ.	3000
იოსელიანი	ა.	ა.	2500
იოსელიანი	გ.	ჯ.	911
იოსელიანი	ჯ.	კ.	25605
ისაკაძე	ა.	ლ.	2000
ისაკაძე	ლ.	მ.	2000
ისაკაძე	ს.	ლ.	2000
ისაკაძე	შ.		1000
იუხანოვა	ე.		1000
კავილაძე	ი.	ა.	1000
კავკასიძე	გ.		1518
კავსაძე	ა.		4250
კაკაბაძე	ვ.	ვ.	1214
კაკალაძე	ლ.	გ.	10000
კაკულია	ქ.		50
კაკულია	ნ.		50
კალაევი	გ.	რ.	5000
კალანდაძე	თ.	გ.	20000
კალაძე	ნ.		1012
კალაძე	რ.	ა.	2300
კალმახელიძე	ა.		1000
კალოევი	მ.	ლ.	5000
კამკია	ო.		1000
კანანაძე	დ.	გ.	1315
კანდელაკი	გ.	ნ.	911
კანდელაკი	კ.	ლ.	2500
კანდელაკი	ნ.	გ.	911
კაპანაძე	გ.	გ.	1012
კაპანაძე	თ.		1000
კაპანაძე	თ.		1323
კაპანაძე	ნ.		1000
კაპანაძე	ს.	ვ.	1000
კარსანიძე	ს.	გ.	1518
კარტოზია	ა.		5000
კარტოზია	ს.	ნ.	5000
კასრაძე	გ.	ბ.	1518
კაციტაძე			2000
კაციტაძე	მ.	ვ.	1000
კაჭარავა	ნ.	გ.	708
კაჭარავა	ო.	ო.	3000
კაჭარავა	ო.	ო.	3000
კაჭახიძე	მ.	ე.	100
კახარიანი	ნ.	რ.	708
კახაძე	კ.	მ.	2000
კახაძე	ნ.	ს.	1000
კახიძე	თ.	შ.	3200
კახნიაშვილი			250
კახუაშვილი	გ.	კ.	100
კახურაშვილი	ნ.	ი.	1250
კეკელია	რ.	ა.	1720
კეკელია	რ.	ნ.	2500
კეკელია	რ.	ნ.	5000
კეკელიძე			1500
კეკელიძე	ლ.	ს.	911
კეკენაძე	დ.	გ.	10000
კერესელიძე	მ.	თ.	10000
კერვალიძე	გ.	ს.	10000
კეშელავა	ვ.		500
კეშელავა	ი.	ნ.	1518
კეშელავა	ი.	ვ.	1000
კეცხოველი	ი.	ხ.	5000
კვალიაშვილი	ე.	მ.	1315
კვანჭილაშვილი	მ.	ტ.	3000
კვარაცხელია	ა.	ო.	5000
კვარაცხელია	ვ.	დ.	6000
კვეზერელი			809
კვესელავა	რ.	ა.	2000
კვინიკაძე	გ.	ა.	2000
კვინტრაძე	ვ.	ი.	50000
კიკნაძე	შ.	ე.	1000
კიკნაძე			5000
კიკნაძე	გ.	ვ.	3000
კიკნაძე	გ.	დ.	1000
კიკნაძე	გ.	ვ.	5000
კიკნაძე	დ.	ვ.	5000
კიკნაძე	ვ.		500
კიკნაძე	ვ.		1000
კიკნაძე	ზ.		1000
კიკოშვილი	ფ.		1000
კილაძე	ა.	მ.	20000
კილაძე	ნ.	გ.	1315
კიტოვანი	თ.		4675
კიხურაძე	შ.		2000
კლდიაშვილი	ნ.	ი.	1500
კლიმენკო	თ.	მ.	100
კმეიანი	ა.	რ.	1000
კობახიძე	ა.	ა.	1315
კობახიძე	ა.	თ.	5000
კობახიძე	ზ.	ბ.	1315
კობახიძე	ი.	ვ.	1416
კობახიძე	მ.	მ.	607
კობახიძე	ნ.	რ.	607
კოვზირიძე	დ.	დ.	5000
კოზლენკოვა			500
კოკაია	ვ.		1000
კომალაძე	ვ.	დ.	640
კომახიძე	ნ.		1000
კომიაშვილი	გ.	ფ.	3000
კომრავა	ო.	ს.	5000
კონდოლელი	ე.	ს.	100
კოპალეიშვილი	ზ.	გ.	1315
კოპაძე	ქ.		1000
კორინთელი	ი.		607
კორსანტია	დ.	ვ.	911
კორტავა	მ.		1000
კორძაძე	გ.	კ.	809
კორძაძე	გ.	ბ.	1000
კოტაშვილი	მ.		1000
კოტეტიშვილი	დ.	ი.	1720
კოტიშაძე	ა.	დ.	75000
კოტრიკაძე	გ.	ა.	2500
კოლუაშვილი	ლ.	გ.	3000
კოლუაშვილი	პ.		4250
კოჭლამაზაშვილი	დ.	დ.	2000
კოჭლაშვილი	ს.	ნ.	30
კოხია	ო.	გ.	10000

გაგრძელება იქნება

საქართველოს თავდაცვის ფონდის განცხადება

ფონდის გამგეობამ გადაწყვიტა გამოაქვეყნოს ფონდის შემქმნელთა, როგორც ინდივიდების, ასევე ორგანიზაციების მთლიანი სია, მათ მიერ შემოტანილი თანხის ჩვენებით. სიები ქვეყნდება 1992 წლის დეკემბრისა (ფონდი შეიქმნა 1992 წლის 8 დეკემბერს) და 1993 წლის 1 აპრილის მდგომარეობით.

სამწუხაროდ, ფულადი შემოწირულობების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც ყოველდღიურად ვღებულობთ ეროვნული ბანკიდან, ხშირად არასრულადაა შევსებული. როგორც წესი, მოქალაქეები არ მიუთითებენ თავიანთ მისამართს, სახელსა და მამის სახელს. ცალკეულ შემთხვევებში ძნელი გასარჩევია ვის ეკუთვნის ჩარიცხული თანხა, პიროვნებას თუ ორგანიზაციას. ვერ ხერხდება ორგანიზაციის სახელწოდების ამოკითხვა.

მოგმართავთ თხოვნით:

— დაგვეხმაროთ მონაცემების დაზუსტების საქმეში;

— მომავალში თავდაცვის ფონდში პირადი დანაზოგის ჩარიცხვის შემთხვევაში თანხასთან ერთად ზუსტად მიუთითოთ თქვენი გვარი, სახელი, მამის სახელი და მისამართი;

— სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, კომერციულმა სტრუქტურებმა ზუსტად აღნიშნოთ სახელწოდება და მისამართი.

ჩვენი მისამართია: თბილისი, 380002, დავით აღმაშენებლის პროსპექტი 61.

თავდაცვის ფონდის ანგარიშის № 000700409, საქართველოს ეროვნული ბანკი.

1993 წლის აპრილის მონაცემები გამოქვეყნდება 15 მაისამდე.

საქართველოს თავდაცვის ფონდის გამგეობა

კანონი არის, კანონი არ არის

— რატომ არ არსებობს კანონი დეზერტირობის შესახებ? — მრავალმნიშვნელოვნად დასვა შეკითხვა „აბჯრის" პირველ ნომერში გვარდიის სარდლის მოადგილემ ალექსი ბარბაქაძემ.

— მინდა გაცნობოთ, რომ არსებობს დეკრეტი საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ, რომლის მეორე თავში — „სამხედრო დანაშაული", 262-ე მუხლში განსაზღვრულია სასჯელი დეზერტირებისათვის, — მალე ამ კითხვას „აბჯრის" ფურცლებიდანვე უპასუხა პოლკოვნიკმა ჰამლეტ გეგენავამ.

და დაიბნა მკითხველი:

— არსებობს თუ არ არსებობს?

როდესაც გვარდიის სარდლის მოადგილე აცხადებს, რომ ასეთი კანონი არ არსებობს, იგი გულისხმობს მოქმედ კანონს, რომელიც ნამდვილად არსებობს, ფუნქციონირებს. როდესაც პოლკოვნიკი ჰამლეტ გეგენავა აცხადებს, რომ ასეთი კანონი არსებობს, იგი ემყარება იმას, რომ ასეთი კანონი იურიდიულად მართლაც არსებობს.

და მიუხედავად იმისა, რომ ორივე განცხადების ავტორი გულწრფელია, მაინც დაიბნა მკითხველი:

— არსებობს თუ არ არსებობს?

ლაბირინთიდან თავის დასაღწევად სამხედრო პროკურორს, ალექსანდრე შუშანაშვილს ვთხოვეთ დახმარება:

— ასეთი კანონი არსებობს, ბრძანა ბატონმა ალექსანდრემ და სავსებით დაეთანხმა პოლკოვნიკ გეგენავას, ისიც დასძინა, რომ ამ კანონით დღემდე არავინ გასამართლებულა და ამდენად, ალბათ გარკვეულწილად ალექსი ბარბაქაძესაც დაეთანხმა.

ხოლო თუ რატომ არ მოქმედებს ეს კანონი — სამხედრო პოლიციას, კომენდანტურებისა და სხვა სამხედრო ნაწილების ხელმძღვანელებს ჰკითხეთ, პროკურატურა არ არის პატრული, ის ვერ დააკავებს ქუჩებში დეზერტირებს.

თუმცა არის ერთადერთი საქმე — სამი პირის მიმართ აღძრული, რომელიც სასამართლოს გადაეცეით განსახილველად დეზერტირობის თაობაზე, ეს საქმე ჯერ არ განხილულა. ამასაც თავისი მიზეზი აქვს: სამხედრო სასამართლოები შექმნის პროცესშია (ჯერ მათ არცერთი საქმე არ განუხილავთ), სამოქალაქო სასამართლოები კი ფეხს ითრევენ...

და ბოლოს, კანონი დეზერტირების შესახებ ხორციელდება სამხედრო პირებისა და მოსამსახურეების მიმართ.

დღეს კი ძნელი სათქმელია, ვინ არის სამხედრო მოსამსახურე, ვინ მოხალისე, რომელიც ყოველთვის ხალისით მიდის და მოდის, როცა მოეხალისება. ეს კანონი რომ ამოქმედდეს, ჩვენი ჯარის 90 პროცენტი ციხეში უნდა იყოს, მაგრამ სხვა ჯარი, სხვა დამცველი ჩვენ არა გვყავს, ვითმენთ, სხვა რა დაგვრჩენია? — გულწრფელად გვითხრა სამხედრო პროკურორმა.

... ბრუნავს ჯადოსნური წრე.

— არსებობს, თუ არ არსებობს? — კითხულობს დაბნეული მკითხველი.

— არსებობს და არც არსებობს. კანონი არის, კანონი არ არის — ასეთია პასუხი.

არსებობს ერთი ძველებური მაქსიმა: კითხვა მეტია პასუხზე. ამ შემთხვევაში, ალბათ, ეს მართლაც ასეა.

ზაირა ჩომახაშვილი

რაც დავიწყებით არ იბინდება

ბატალიონი იბრძვის

ცხინვალში ვითარება რომ გართულდა და ოსი ექსტრემისტები თავს გაეიდნენ, ქუთაისში შეიკრიბნენ პატრიოტები და გადაწყვიტეს შეექმნათ საბრძოლო ბატალიონი. მასში ძირითადად ავტოქარხნის დასახლების თანატოლები და თანშეზრდილნი გაერთიანდნენ.

იბრძოდა ეროვნული არმიის 213-ე მოტომსროლელი ბატალიონი ცხინვალში, მკერდით იცავდა ძველთაძველ ქართულ მიწას, ქართულ მოსახლეობას. ბედი სწყალობდათ ბიჭებს, არცერთი არ დაკლებიათ. მამაცთა ეს ბატალიონი შარშანდელი 14 აგვისტოდან ოჩამჩირის რაიონში იბრძვის.

ყველაზე ფიცხელი ომი მაინც 28 ოქტომბერს გადახდათ. ოცეულის მეთაური დავით ჩაჩანიძე იგონებს:

— დილის 7 საათზე მტერმა მოულოდნელად შემოუტია ჩვენს პოზიციებს, მაგრამ მედგრად დავუხვდით, ახლოს მოვუშვით, მერე ერთბაშად გადავედით იერიშზე და თავბედი ვაწყევლინეთ. დიდმა ნაწილმა გაქცევა ველარ მოასწრო, 150-მდე მოკლული და დაჭრილი დარჩა ბრძოლის ველზე, კაზაკები, ჩეჩნები, სომხები... აფხაზები კანტი-კუნტად იყვნენ, ძირითადად — რუსი სამხედროები. ორი ქართველის სიცოცხლე შეიწირა ამ ბრძოლამ. მეგობრებმა ისინი მხედრული პატივით მიაბარეს მშობლიურ მიწას.

ზემდეგმა რეზო ჩორგოლიანმა, როცა დარწმუნდა, რომ თავს ველარ უშველიდა, მტერს არ დანებდა, ხელყუმბარა ააფეთქა და თან გაიყოლა ოთხი მოწინააღმდეგე. ბესლახუბაში შემოუტიეს ბატალიონს, მაგრამ მან პოზიციები არა თუ დათმო, კილომეტრნახევრით წაიწია წინ — საქობალიოდან მერკულამდე. ამ ბრძოლაში, სამწუხაროდ, დაიღუპა 5 ვაჟკაცი, ნამდვილი გმირები, პატრიოტები.

ბატალიონის მეთაური მაიორი ბეჟან სურგულაძე, ბატალიონის მეთაურის მოადგილე კაპიტანი ხვიჩა ღიბრაძე, ასეულის მეთაური უფროსი ლეიტენანტი გურამ გვანცელაძე, ოცეულის მეთაური ლეიტენანტი რომან გელენიძე და ადგილობრივი მკვიდრი სოფელ მერკულიდან, რომლის გვარი ბატალიონის შტაბის უფროსმა, კაპიტანმა ანდრო ვაშაკიძემ ვერ მოიგონა, ჩანაწერიანი უბის წიგნაკი კი თან არ ჰქონდა. სახელი იმ გმირისა მეგონაა. დაიღუპნენ ჩაუქი ბიჭები, ვერ მოესწრნენ ნანატრ გამარჯვებას. ხვიჩა ღიბრაძეს ბევრი ცრემლი ჩააყოლეს საფლავში მცირეწლოვანმა შვილებმა. დედა ციცო რამდენიმე დღეში ისე ჩამოხმა, ახლობლებიც კი ძნელად ცნობენ. მამა დემური სევდით გაქვავებული იდგა შვილის ცხედართან...

გმირები უკანასკნელ გზაზე აუარებელმა ხალხმა გააცილა. ასე აფასებენ სამშობლოსთვის თავგანწირულ რაინდებს. სამშობლოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლთა დასაფლავებაზე თბილისიდან ჩამოვიდა პარლამენტის ვიცე-სპიკერი რუსუდან ბერიძე, მოვიდნენ ქუთაისის მერი თემურ შაშიაშვილი, ქალაქის სხვა ხელმძღვანელები.

ქუთაისის 213-ე ბატალიონის მებრძოლთაგან დაიღუპნენ ჯარისკაცი შმაგი შალამბერიძე და ზემდეგები ხვიჩა მუმლაძე, ნოდარ თავზარაშვილი.

ბატალიონი კი იბრძვის, რადგან კვლავაც საკმაოდ არიან უშიშარი და უდრეკი ჭაბუკები: ზემდეგი გიორგი ხმელიძე, ასეულის მეთაური, უფროსი ლეიტენანტი მამია ასათიანი, მეკავშირე ჯემალ დანდუროვი, მეორე ასეულის ტექნიკოსი პეტრე მანველოვი.

დავით ბიწაძე

ფარაჯიანი ბანდიტები

მკვლელობა, ძარცვა, ყაჩაღობა, ადამიანის მოტაცება ფულის გამოძალვის მიზნით, დივერსიები ჩვენი დროის ნიშანი გახდა. ავაზაკთა შორის, სამწუხაროდ, არიან სამხედრო ფარაჯაში გამოწყობილი იარაღასხმული სალსალამათი ჭაბუკებიც.

რესპუბლიკის მთავარი სამხედრო პროკურორის მოადგილის გივი ეხვაიას კაბინეტში ვიმყოფებით. იგი ქაღალდებს ჩაჰკირკიტებს, ზოგჯერ რაღაცას ინიშნავს. მერე მოგვიბრუნდა და გვითხრა:

— ბევრი წესიერი ახალგაზრდაა ეროვნული არმიის რიგებში, არიან ულირსნიც, შემარცხვენელნიც. აი, ზოგიერთი მათგანი.

თავდაცვის სამინისტროს ეროვნული გვარდიის დიდგორის ბატალიონის ოცმეთაურმა ილია ბასილაშვილმა სასტუმრო „უშბას" ფოიეში ავტომატით გამოასალმა სიცოცხლეს ფრიდონ ხიზანიშვილი, მერე კი მიიმალა.

ორჯერ ნასამართლევმა ივანე ირემაშვილმა თავი ბატალიონ „თეთრ არწივს" შეაფარა და შავბნელი ზრახვების განხორციელებას შეუდგა. გორის რაიონის სოფელ ქვახვრელში უმოწყალოდ სცემა გაიოზ მირიანიძეს და 40 კილოგრამი ხორციც გამოსტაცა.

გასული წლის 6 ოქტომბერს გორის საკოლმეურნეო ბაზრის ტერიტორიაზე არსებულ სასუზმეში ეროვნული გვარდიის 112-ე ბატალიონის მებრძოლმა ლევან ლვინიაშვილმა მეგობარიც არ დაინდო. ავტომატური იარაღი მტრის მაგივრად ომარ ეცადაშვილის წინააღმდეგ გამოიყენა. გასროლის შედეგად დაიჭრა სასუზმეს თანამშრომელი ვერა ბატატაშვილიც. დაჭრილები საავადმყოფოში მოათავსეს, „მებრძოლი" ლევან ლვინიაშვილი კი იქ აღმოჩნდა, სადაც მისთანების ადგილია.

მიმდინარე წლის 13 თებერვალი მართლაც თარსი აღმოჩნდა თბილისის მუშკორის ქუჩის და მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანებისათვის. ერთ-ერთი სახლის ეზოში სამხედროფორმიანი პირები უმისამართოდ ისროდნენ. დააზიანეს საცხოვრებელი სახლები. სროლის აღსაკვეთად მოქალაქეებმა გამოიძახეს სამხედრო პოლიცია. მათ უვნებელჰყვეს აღნიშნული ჯგუფის მოქმედება, მაგრამ ოპერაციამ უმსხვერპლოდ არ ჩაიარა. ადგილზე მოკლულ იქნა №1 სპეცდანიშნულების ბრიგადის მებრძოლი მერაბ იმედაძე, ხოლო ამავე ბრიგადის მებრძოლი იგო ხუბულური დაიჭრა.

იშვიათი არაა შემთხვევა, როცა სამხედროები მძიმე დანაშაულს სჩადიან, მაგრამ ხშირად შერჩებათ ხოლმე, რადგან ყველა გაურბის მათთან ურთიერთობის გამწვავებას, რათა სამაგიერო არ გადაგვიხადონო. შიშმა და ძრწოლამ, დამნაშავეთა ხელის დაფარებამ შექმნა დაუსჯელობის სინდრომი. ცალკეულ სამხედროთა მხრივ ბოროტება და სადიზმი არ წყდება. გადაგვარებულნი არც ისე ბევრნი არიან, რომ მათი ალაგმვა არ შეიძლებოდეს.

გია ძოსელიანი

გაზეთს აფინანსებს საქართველოს თავდაცვის ფონდი

ადგილობრივი თვითმმართველობა: პრობლემები, პერსპექტივა

მხოლოდ კონკრეტული საქმე!..

უკანასკნელ ხანს კარგ ტრადიციად დამკვიდრდა საქმიანი შეხვედრები, რომლებიც საქართველოს ადგილობრივი მმართველობის რესპუბლიკური სკოლის ეგიდით უკვე გაიმართა ხაშურში, მარნეულსა და კასპში.

ამას წინათ კი ქარელში გამართულ მორიგ შეხვედრაზე ქარელის, გორის, ხაშურისა და ბორჯომის რაიონების ადგილობრივ მმართველობათა გამგეობების, სამართალდამცავი ორგანოებისა და სხვა უწყებათა ხელმძღვანელებთან შესახვედრად ჩამოვიდნენ საქართველოს პარლამენტის წევრები, რესპუბლიკის პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები, პრესის წარმომადგენლები.

პრობლემები მართლაც ბევრია ჩვენს რაიონებში, ჯერაც არ არის მიღწეული სრული სტაბილიზაცია, სიმშვიდე, წესრიგი... აღსადგენია შრომითი რიტმი, დასამთავრებელია მიწის პრივატიზაცია. ახლა, როცა ცხადად გამოიკვეთა ჩვენი ქვეყნის ადგილობრივი მმართველობის მომავალი მოწყობის პარამეტრები, დაიწყო არჩევნებისათვის მზადების პერიოდი, თითოეული რაიონის გამგეობის, თითოეული მოქალაქის პატრიოტული ვალია პრაქტიკული საქმეებით შეუწყოს ხელი ამ პროცესს — აღნიშნა თავის გამოსვლაში ადგილობრივი მმართველობის სკოლის რექტორმა ბატონმა შალვა პაპიძემ.

მართლაც, ბევრი დაბრკოლება ექნებათ დასაძლევი ჩვენი რაიონების ახლანდელი ხელისუფლების, განსაკუთრებით სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს. სწორედ ამ პრობლემებსა და მათი გადაწყვეტის გზებზე ისაუბრეს თავიანთ გამოსვლებში რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ბატონმა ჯიმი მიქელაძემ და საქართველოს პროკურატურის საერთო ზედამხედველობის სამმართველოს უფროსის მოადგილემ ბატონმა თამაზ ქევხიშვილმა.

საქმიანი შეხვედრის მონაწილეთა წინაშე საინტერესო ინფორმაციებით გამოვიდნენ რესპუბლიკის პარლამენტის წევრები ნონა კენჭოშვილი, გიორგი ხვედელიძე, გია ციხისთავი, ვასილ ბუზალაძე, ბორის ლომსაძე, პარლამენტის აპარატის მუშაკი თეიმურაზ ჯაში. მათსა და ადგილობრივ მმართველობათა ორგანოების წარმომადგენელთა შორის გაიმართა გულახდილი, კონკრეტული საუბარი ამ რაიონების მოსახლეობის სოციალურ დაცვაში არსებულ სერიოზულ ხარვეზებზე, ითქვა, რომ ყოველივე ამას მნიშვნელოვნად განაპირობებს ის, რომ პარლამენტს ჯერაც არ მიუღია კანონი მოქალაქეთა სოციალური დაცვის შესახებ. რაიონების გამგეობებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ბევრი ოპერატიულად გადასაწყვეტი საკითხი წამოჭრეს.

კერძოდ, ქარელის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა **ზ. ბილუტაშვილმა** აღნიშნა, რომ ჯერაც მოუხნავია რაიონის სახნავი მიწების თითქმის ნახევარი, არ არის შემოტანილი სასუქები, და რაც მთავარია, საწვავი. თუ ეს საკითხი ორი კვირის მანძილზე არ გადაწყდა, დაუთესავი დარჩება ათეულობით ჰექტარი.

ხაშურის რაიონის გამგებელმა **ა. ელიაშვილმა** თქვა, რომ ხაშურის მოსახლეობის პურით სრულად დაკმაყოფილების მიზნით საჭიროა ქალაქს დროულად გადაეცეს აქ არსებული რკინიგზის პურის საცხობი კომპლექსი. მანვე დააყენა გომი-საჩხერის ტრასაზე ყაჩაღობასთან ბრძოლის გასაძლიერებლად საგზაო პოლიციის ჯგუფის შექმნის საკითხიც.

ბორჯომის რაიონის საფინანსო განყოფილების გამგემ **ზ. მეტრეველმა** ითხოვა, რომ პარლამენტმა წინასწარ გამოაქვეყნოს კანონპროექტები, რათა ხალხს შესაძლებლობა ჰქონდეს გაეცნოს მათ და მიაწოდოს პარლამენტს თავისი აზრი და წინადადებები.

გორის გამგებლის მოადგილის **ე. ვეშაგურის** აზრით, სათანადო უწყებამ ოპერატიულად უნდა გადაწყვიტოს გორის რაიონის მოსახლეობისათვის ბუნებრივი გაზის მიწოდების საკითხი.

დასასრულ საქმიანი შეხვედრის მონაწილეებს მადლობა გადაუხადა ქარელის რაიონის გამგეობის თავმჯდომარემ **ტარიელ ხარბაჟიძემ.** თავის გამოსვლაში მან აღნიშნა, რომ ასეთ შეხვედრებს ბევრი სიკეთე მოაქვს ადგილობრივი ხელისუფლების მუშაკებისათვის. საგულისხმო ინფორმაციასთან ერთად, რომელსაც ადგილზე ვიღებთ ჩვენი პარლამენტისა თუ მთავრობის წარმომადგენლებისაგან, აღნიშნა მან, მათი მეშვეობით ვწყვეტთ აგრეთვე ოპერატიულ საკითხებსაც, რაც დღეს მეტად მნიშვნელოვანია ჩვენთვის. ბატონმა ტარიელმა ითხოვა, ხელისუფლებამ მიაღწიოს შეთანხმებას, რომ მალე ამოქმედდეს ცხინვალზე გამავალი სარწყავი არხი, რომელიც ქარელის რაიონის მინდვრებსაც რწყავდა წლების მანძილზე.

საინტერესო და საქმიანი გამოდგა ეს შეხვედრა. რაც შეეხება საკითხებს, რომელიც აქ წამოიჭრა, ისინი მართლაც მოითხოვენ ოპერატიულ გადაწყვეტას და ვიმედოვნებთ, რომ გადაწყდება კიდეც.

ზია ჭელიძე.

საქართველოს ოპოზიციისათვის არ სცალია,

ანუ „არაპროფესიონალური ამბიციურობა“

„საქართველოს რესპუბლიკის“ 26 იანვრის ნომერში გამოქვეყნდა ჩემი წერილი „კეისარისა-კეისრისა“. ამ წერილში მიმდინარე ცხოვრების მოვლენებზე, თუ ჩვენი პოლიტიკური სარბიელის ცალკეულ მოღვაწეზე გამოვთქვი ჩემი მოსაზრება. ველოდი, რომ ამ ჩემს პოზიციას შეეძლო გამოეწვია ახლო წარსულიდან ესოდენ ნაცნობი სატელეფონო ლანძღვა-მუქარა, მაგრამ, წარმოიდგინეთ, ასე არ მოხდა: წერილმა საკმაოდ ერთსულოვანი დადებითი გამოხმაურება ჰპოვა. იყო ერთადერთი გამონაკლისი: ვიღაც ისტერიული დედაკაცი დიდად აღფრთოვანებით გაზეთ „საქართველოს სამრეკლოში“ ჩემზე გამოქვეყნებულ რაღაც სალანძღავ მასალას. მე ამ გაზეთის არსებობა მაშინ არ ვიცოდი, ახლა კი გავიგე, რომ ყოფილა ასეთი უმსგავსო ფურცელი, თუმცა თვალით დღესაც არ მინახავს. ჩვენს წინაპარს უთქვამს — „ვირის წიხლი თუ გეტკინება, თორემ ნუ გეწყინებაო!“ მაგრამ ეს გაზეთი („იბერია-სპექტრისა“ არ იყოს) ისეთია, რომ მისი წიხლი არც მეწყინება, არც მეტკინება — ის უბრალოდ ვერ მწვდება, ასე მდაბლიდანაა მოქნეული. მაგრამ ეს ისე, სხვათა შორის.

არ ვაპირებდი ამ ცოტა ხანში ისევ პოლიტიკურ თემაზე გამოსვლას, მაგრამ განვლილი დროის მანძილზე ზოგი რამ ისეთი მოხდა, რომ არ შემიძლია კვლავ ჩემი აზრი არ გამოვთქვა, თან ზოგნი საამისოდ კიდეც მაქეზებენ.

პირველ რიგში კვლავ ისმის საკითხი დღევანდელი ჩვენი პარლამენტის აქტიურობის შესახებ. დასახელებულ წერილში მე ჩემი მოსაზრება გამოვთქვი და იმედიანადაც დავამთავრე მსჯელობა პარლამენტის თაობაზე. მაგრამ აი, გავიდა ორ თვეზე მეტი და ეს იმედი საგრძნობლად შემისუსტდა, რადგან პარლამენტი აღმავალი გზით კი არ წავიდა, არამედ დაღმავალით: იმატა სხვადასხვა დაჯგუფებათა შორის დაპირისპირებამ, კონფრონტაციამ, არაპარლამენტარულმა (ელემენტარულად არაეთიკურმა) ქმედებამ. პარლამენტის მოაზროვნე, რეალისტურად განწყობილი ნაწილი სულ უფრო დუმდება, ჩრდილში ექცევა, სამაგიეროდ აქტიურდებიან ნაკლებადკვალიფიციური, არაკონსტრუქციულად განწყობილი პარლამენტარები, თანაც უმეტეს წილად ერთი და იგივე ადამიანები, რომელთაც თავი დიდ პოლიტიკოსებად წარმოუდგენიათ სრულიად უსაფუძვლოდ. რატომ ხდება ასე, ჩემთვის გაუგებარია, რატომ თმობენ პარლამენტის ჯანსაღი ძალები პოზიციებს?! შესამჩნევია ერთი ტენდენცია: დეპუტატების ყველაზე აქტიური ნაწილი იმდენად საქმით, კანონშემოქმედებით კი არაა დაინტერესებული, როგორც ვიღაცის და რაღაცის კრიტიკით, დადანაშაულებით, პასუხის მოთხოვნით. როგორც ჩანს, პარლამენტური მოღვაწეობის მთავარ დანიშნულებად მათ ეს მიაჩნიათ და უბრალოდ არ ესმით, რომ ეს ბრალმდებლური პოზიცია სულაც არაა პარლამენტარის საქმე. ბევრისთვის ესაა მხოლოდ მისაწვდომი და პოზიტიური, კანონშემოქმედებისათვის არც მომზადება გააჩნიათ, არც უნარი.

ამგვარი მოქმედების ერთი ნიმუში იყო ის სხდომა, რომელზედაც განიხილებოდა არაკანონიერ შეიარაღებულ ფორმირებათა აკრძალვის შესახებ დადგენილების მიღება. საქმე სრულიად უბრალოდ იყო: ამ საკითხზე კანონი მიღებულია, მაგრამ ცუდად მუშაობს, პარლამენტი კიდევ ერთხელ უბრუნდება ამ საკითხს, იღებს დადგენილებას, რომლითაც აღმასრულებელ ხელისუფლებას კიდევ ერთხელ ავალებს კანონის აქტიურად ამოქმედებას. ესაა და ეს. მთელი საკითხის განხილვას მაქსიმუმ ნახევარი საათი უნდა მოხმარებოდა. პარლამენტმა კი ამას რამდენიმე საათი და უდიდესი ემოციური ენერგია დაახარჯა. დეპუტატები მოითხოვდნენ თავდაცვის მინისტრის, შინაგან საქმეთა მინისტრის, გენერალური პროკურორის და კიდევ სხვა პირების გამოძახებას. მაშ როგორ, ასე როგორ განიხილავ საკითხს, თუ ვიღაც არ დააყენე ტრიბუნაზე, როგორც სამსჯავროზე, ვიღაც არ დაადანაშაულე, ვიღაცას რაღაც არ დააბრალე?! ეს თუ არ მოხდა, მაშინ ხომ საქმეზე უნდა ილაპარაკო, პოზიტიური აზრი უნდა გამოთქვა, ეს კი ძნელი გასაკეთებელია, ზოგისთვის შეუძლებელიც; იმას კი აღარ დაგიდევენ, რომ ამ დროს მინისტრებსა და სამართალდამცავ ორგანოთა ხელმძღვანელებს აურაცხელი, მართლაც აუცილებელი საქმე აქვთ, ათასჯერ უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე პარლამენტართა უთავბოლო და უმეტეს წილად გაუმართლებელ შეკითხვებსა თუ ბრალდებებზე პასუხის გაცემა.

იძალა პარლამენტში კიდევ ერთმა ტენდენციამ, რომელიც სახელმწიფო საბჭოშიაც ისახებოდა და ჩვენი საზოგადოებისთვისაც არის გარკვეულ წილად დამახასიათებელი. ესაა „არაპროფესიონალური ამბიციურობა“. მე მხედველობაში მაქვს ზოგისათვის დამახასიათებელი დიდად ამბიციური მსჯელობა ნებისმიერ საკითხზე და კამათი პროფესიონალებთან, რომელთაც მართლაც ხელეწიფებათ ამ საკითხების გადაწყვეტა. ამას წინათ მეგობრების ერთ ჯგუფთან ერთად ტელევიზიით ვუყურებდით პარლამენტის ერთ-ერთ სხდომას, რომელზედაც რუსეთთან ურთიერთობის საკითხები იხილებოდა. შეიქმნა, რბილად რომ ვთქვათ, კომიკური სიტუაცია: პრეზიდიუმის მაგიდასთან ზის ე. შევარდნაძე, ტრიბუნაზე დგას ა. ჩიქვაიძე, მიკროფონებიდან კი მათ სერიოზული, თავმომწონე სახით და უდიდესი თავდაჯერებულობით ეკამათებიან, ფაქტიურად დიპლომატიური ურთიერთობების პრობლემებზე ლექციას უკითხავენ დეპუტატები ლ. მესხი, ი. შელაშვილი და კიდევ სხვები. ვუყურებდით ამ სიტუაციას და სიცილით ვკვდებოდით. მერე ერთმა ჩვენთაგანმა იყვირა: „ხალხო, რა გაცინებთ, სატირლად გვაქვს საქმეო!“ მართლაც კომიკურმა სიტუაციამ არსებითად ტრაგიკული სახე მიიღო. ან ავიღოთ თუნდაც, თუ არ ვცდები, 25 მარტის სხდომა, რომელზედაც საკმაოდ ვრცელი მოხსენებით ქვეყნის საშინაო და საგარეო პრობლემებზე გამოვიდა ა. ასათიანი. აქაც საოცარი თავდაჯერებულობა და მენტორული ტონი. მე კი ვიჯექი და ვფიქრობდი: „შე დალოცვილო, ასე თუ ერკვეოდი ქვეყნის საქმეებში, შენ და შენმა პრეზიდენტყოფილმა როგორ მიიყვანეთ ქვეყანა იმ სავალალო მდგომარეობამდე, რომელშიაც ის ეხლანდელ ხელისუფლებას დაუტოვეთ?!“ მაგრამ ყველაფერი სავსებით კანონზომიერია: ა. ასათიანის მთელ გამოსვლაში ან ყველასათვის ცნობილი, ტრივიალური ჭეშმარიტებები იყო წარმოდგენილი, ან სრულიად გაუმართლებელი და დაუსაბუთებელი დებულებები. ცხადია, ამგვარი პროგრამით ქვეყანას სასიკეთოს ვერაფერს მოუტანდი. არ შეიძლება ყველა საკითხში ერთნაირად კომპეტენტური იყოს ადამიანი და მით უფრო ისინი არ არიან ასეთნი, ვინც ამგვარი პრეტენზიით არის შეპყრობილი. ხოლო ასეთი უსაგნო გამოსვლებით ტყუილად ფლანგავენ დროს და ხელს უშლიან იმათ, ვისაც რეალურად შეუძლია საქმის გაკეთება.

ავიღოთ კიდევ ერთი მაგალითი, რომელიც ზოგიერთი დეპუტატის ზედმეტ ამბიციურობასაც მოწმობს და პოლიტიკურ უმწიფრობასაც. მე ძალიან კარგად ვარ განწყობილი დავით ბერძენიშვილისა და თამაზ ღიასამიძისადმი, მაგრამ ვერაფრით გავამართლებ მათ პოზიციას აჭარის დღევანდელი ხელმძღვანელობის მიმართ. ჯერ კიდევ სახელმწიფო საბჭოს შემადგენლობაში მათი ყოფნისას ჩვენ მოწმენი ვიყავით მათი გამუდმებული მცდელობისა აჭარაში დესტაბილიზაცია გამოეწვიათ. მაშინ ეს არ გამოუვიდათ, მადლობა ღმერთს. ახლა იგივეს პარლამენტში აგრძელებენ. მე არ მესმის — რა, აჭარაშიაც ფრონტი გავხსნათ? ესაა პოლიტიკოსის მოქმედება? განა აშკარად არ ჩანს, რომ საქმე გვაქვს პირადი მოტივების ეროვნულ ინტერესებზე მაღლა დაყენებასთან? მე არ ვიცი, შესაძლოა აჭარაში რაღაც დარღვევები ხდება, მაგრამ ერთი ფაქტია — იქ შედარებითი სიმშვიდეა, მეტნაკლები წესრიგი, ბევრი რამ კეთდება საერთო ქართული ინტერესებისათვის და ნუ ავურევთ ვითარებას, ნუ შევქმნით კონფრონტაციის კიდევ ერთ კერას!

პარლამენტის სხდომიდან მე კიდევ ერთმა განცხადებამ შემაშფოთა. ეს იმ სხდომაზე იყო, რომელზედაც პ. ჩხეიძეს გაეროში და აშშ-ში ელჩად ამტკიცებდნენ. სამწუხაროდ, მე იმ სხდომას რადიოთი ვისმენდი, ამიტომ არ ვიცი, კონკრეტულად ვისი იყო ის გამოსვლა, მაგრამ ერთმა დეპუტატმა განაცხადა, რომ პ. ჩხეიძეს არ ჰქონია კავშირი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან და დროა თანამდებობაზე დანიშვნისას კანდიდატთა ამ მოძრაობაში მონაწილეობა-არმონაწილეობის ფაქტორიც გავითვალისწინოთ. ცხადია, მე ვერ გადმოვცემ ზუსტად იმ გამოსვლის ტექსტს, მაგრამ დედააზრი ეს იყო.

ჯერ ერთი, თავისთავად აღმაშფოთებელია საკითხის დაყენება: როგორ, თანამდებობაზე დანიშვნის კრიტერიუმი უნდა იყოს ეროვნულ მოძრაობაში მონაწილეობა, თუ პროფესიული შესაბამისობა? ეროვნულ მოძრაობაში მონაწილეობის საფასურია თანამდებობა, თუ რაშია საქმე?! ან იქნებ გვეგულება ვინმე აღნიშნულ მოძრაობაში მონაწილე, რომელიც გაეროში წარმომადგენლად და აშშ ელჩად გამოდგება?!

მეორეც, ბოლოს და ბოლოს გავერკვეთ, რა ითვლება ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობად. საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ 40-იან ან 50-იან წლებში გამოსვლები ითვლება, თუ არა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობად? ან თუნდაც ზ. გამსახურდიას ავტორიტარული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა რით არაა ეროვნული მოძრაობა? მაგრამ მე კარგად ვიცი ტენდენცია, რომ ეროვნულ მოძრაობად მიიჩნიონ მხოლოდ უკანასკნელი 15-20 წლის მოქმედებანი ცალკეული დისიდენტური დაჯგუფებისა თუ ე. წ. პარტიისა. თუ ასე მივუდგებით საკითხს, ამ მოძრაობაში მონაწილეობა ყოველთვის ვერ ჩაითვლება დიდად საამაყო მოვლენად და რაღაც დამსახურებად. მინდა სწორად გამიგოთ — მე არ უარვყოფ უკანასკნელი წლების ეროვნული მოძრაობის მნიშვნელობას; მისმა მონაწილეებმა, განსაკუთრებით ახალგაზრდობამ, ბევრი რამ გააკეთეს, მაგრამ მე წინააღმდეგი ვარ ამ მოძრაობის მნიშვნელობის გაზვიადებისა, რასაც ხშირად აქვს ადგილი. რეალურად ამ მოძრაობას ჰქონდა ჩრდილოვანი მხარეები და მნიშვნელოვანი შეცდომები, რომელთაგან ზოგი ლამის საბედისწერო იყო. სხვას რომ თავი დავანებოთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სწორედ ამ მოძრაობამ მიიყვანა ხელისუფლებაში ზვიად გამსახურდია და მისი დამქაშები. შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ არსებითად 80-იანი წლების მიწურულის ყველა საზოგადოებრივ დაჯგუფებასა თუ პოლიტიკურ პარტიას მეტად თუ ნაკლებად მიუძღვის ბრალი გამსახურდიას გახელმწიფებაში. ხოლო ეს ისეთი უბედურება იყო საქართველოსთვის, რომ მასში თუნდაც მცირედ ბრალეულთ სატრაბახო არაფერი აქვთ. ან ავიღოთ თუნდაც საბედისწერო 9 აპრილი. დღეს ხომ სავსებით ნათელია და უეჭველი, რომ შეიძლებოდა და საჭირო იყო ამ ტრაგედიის თავიდან აცდენა, შეიძლებოდა და საჭირო იყო მაშინდელი მსხვერპლისა და სისხლის გარეშე მოვლენების წარმართვა. თავისთავად ცხადია და უეჭველი, რომ დაუცველი ხალხის, ქალებისა და ბავშვების დახოცვა-დასახიჩრებაში უმთავრესი დამნაშავენი რუსეთის სამხედრო ჯალათები არიან, მაგრამ არ შეიძლება ბრალი მოეხსნათ იმათ, ვინც ხალხი მიიყვანა 9 აპრილამდე, ვინც უგუნურებით ვერ შეაფასა ფხიზლად აშკარა და გარდაუვალი საშიშროება, რომელიც ხალხს ემუქრებოდა, უკანასკნელ მომენტშიაც ხელი შეუშალა საღ ძალებს, რომელთაც უნდოდათ ტრაგედიის თავიდან აცდენა, ხოლო როდესაც საშინელება მოხდა, გამძვინვარებულ ჯარისკაცებს შეატოვა უმწეო ხალხი და თვითონ გაიპარა თავის გადასარჩენად. მე რბილად ვამბობ ფაქტის შესახებ, თორემ მთლიანად ვიზიარებ „საქართველოს რესპუბლიკის“ 16 მარტის ნომერში დაბეჭდილი რევაზ ჯაფარიძის წერილის („ვის მხარეზეა სიმართლე?“) ბოლოსწინა აბზაცის მეტად ტევად და სამართლიან შეფასებას. მე თავიდანვე, ტრაგედიის მეორე დღიდანვე ამას გავიძახოდი, მაგრამ მაშინ ლამის შემაჩვენეს, დღეს კი საღად მოაზროვნე მრავალმა ადამიანმა სწორედ ასე შეაფასა ე. წ. ეროვნული მოძრაობის მაშინდელ აქტივისტთა იმჟამინდელი მოქმედება. ამიტომ მოდით თავი დავანებოთ თავის მოწონებას არარსებული დამსახურებებით და დღევანდელ დღეს მივხედოთ. დღეს კი ზოგმა პოლიტიკურმა პარტიამ და ეროვნული მოძრაობის მონაწილემ შესძლო გარდაქმნა, ამაღლდა რეალურ პოლიტიკურ ცნობიერებამდე, სავსებით სწორი (ძირითადში მაინც) გეზი აიღო ერის სამსახურის გზაზე. ეს ძალები, საბედნიეროდ, პარლამენტშიაც არიან. მე ამ მხრივ სამაგალითოდ მეჩვენება „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“ და მისი ლიდერები, „ქრისტიან-დემოკრატიული პარტია“, „მწვანეთა პარტია“ და რიგი სხვა პარლამენტარები. ამდენად პარლამენტში საქმე უიმედოდ არაა, საჭიროა ოღონდ, უფრო გააქტიურდეს პროგრესული, რეალისტურად მოაზროვნე ძალა. სამწუხაროდ, ასეთი ძალები არც ისე ბევრნი აღმოჩნდნენ, ან უფრო სწორედ, ჯერჯერობით ჩრდილში დგანან.

საქართველოში დღეს მეტად ძნელი, უკიდურესად დაძაბული ვითარებაა. ვფიქრობ მას აღწერა არ სჭირდება. ჩვენ სრულიად სამართლიანად ვადანაშაულებთ ყოველივეში აფხაზ და ოს სეპარატისტებს, კავკასიონის გადაღმელ დაქირავებულ „ბოევიკებს“, რუსეთის რეაქციულ და იმპერიულ ძალებს. კი ბატონო, ყველა ესენი დამნაშავენი არიან, მათ ჩვენგან შეჩვენება ეკუთვნით. მაგრამ, რატომ გვავიწყდება ჩვენი თავი? რას მოვითხოვთ რუსისგან თუ ადიღესგან, ჩეჩენისა თუ ოსისგან, როდესაც საქართველოს ჩვენ თვითონ ვებრძვით. რას ვემართლებით არძინბასა თუ აჩბას, ჩოჩიევსა თუ კულუმბეგოვს, როდესაც ჩვენივე სისხლი და ხორცი ლოთი ქობალიების მსგავსნი გროზნოდან მიღებული ინსტრუქციების მიხედვით, საკუთარ ერს ზურგში ხანჯალს სცემს, ხიდებს, ელექტროანძებს, ლიანდაგებს გვიფეთქებს, აფხაზეთში გმირულად მებრძოლ მამულიშვილებს სურსათისა და თოფის წამლის მიწოდებას უბრკოლებს, ისედაც უკიდურესად გაჭირვებულ ქვეყანას უფრო აზარალებს. რაც მთავარია, მთელ ერს მის ერთ ნაწილს უპირისპირებს, ქვეყანას მის ერთ-ერთ საუკეთესო და მარად მასთან განუყოფელ კუთხეს უმხედრებს. ვიღაც მეტყვის: ისინი ერს კი არ ებრძვიან, მთავრობას არ სცნობენ. ტყუილია, მტკნარი სიცრუე! ისინი სწორედ ერს ებრძვიან, მისი ერთიანობის წინააღმდეგ იბრძვიან, ისინი ქვეყნის დამცველ ვაჟკაცებს ებრძვიან, იმათი სისხლი, აფხაზეთში დაღუპულთა სისხლი მათ სინდისზეც არის! არ მითხრათ, იდეური საფუძველი აქვსო ამ ელემენტარული ყაჩაღებისა და მძარცველების მოქმედებას. ან რას ვთხოვთ აფხაზ თუ ოს ექსტრემისტებს, როდესაც გამსახურდიას მომხრეები ირგვლივ დასისინებენ, თავის გარშემო შხამს ანთხევენ, ზარზეიმით ხვდებიან ჩვენს ყოველ წარუმატებლობას ფრონტზე. არ მითხრათ, იდეური საფუძველი აქვთო ამ ხელმოცარულ, ჭკუა და გონება დაკარგულ ხალხს!

სათქმელი უნდა ითქვას

მაგრამ ყოველივე ეს არაა, ჩემის აზრით, დიდად საგანგაშო. ამას მოველოდით, აშკარა მტერი არაა იმდენად საშიში. საგანგაშო ისაა, რომ ხალხის მიერ არჩეულ პარლამენტში ირაზმება ძალები, რომლებიც ერის საწინააღმდეგოდ მოქმედებენ. სხვაგვარად შეუძლებელია შეფასდეს ის ყბადაღებული ოპოზიციური კონფერენცია, რომელიც უკვე შედგა ერთხელ და კიდევ იგეგმება. ეს ვაიპოლიტიკოსები კონფრონტაციის გზას დაადგნენ, მიტინგებითა და ხალხის ქუჩაში გამოყვანით იმუქრებიან, ვითომ ერის სადარაჯოზე მდგომნი, არსებითად ანტიეროვნულ საქმეს აკეთებენ. ანტიეროვნულს იმიტომ, რომ დღეს ყველა ნაბიჯი ერთიანობის დარღვევისაკენ გადადგმული — ანტიეროვნული ქმედებაა, ნებით თუ უნებლიეთ ერის მოღალატე ქობალიებისა და „ზვიადისტთა“ მხარეში აღმოჩენას უტოლდება. სხვაგვარი შეფასება გამორიცხულია და ერის გონიერ ნაწილში არც არის. იქნება მითხრან, განსხვავებული აზრი შეიძლება ყველას ჰქონდეს, ოპოზიცია ყველა ქვეყანაში დემოკრატიულობის ნიშანიაო. არაერთხელ თქმულა, რომ ეს არაა არავითარი ოპოზიცია, რადგან არ გააჩნია ჩამოყალიბებული და მეტნაკლებად რეალისტური პროგრამა და აზრი. ამას გარდა, რაც მთავარია, დღევანდელ ვითარებაში **საქართველოს ოპოზიციისათვის არ სცალია.** საქართველოს ამჟამინდელი კრიზისიდან გამოყვანას ისეთი ადამიანი მეთაურობს, რომ მის წინააღმდეგ ოპოზიციაში ჩადგომა, მის გარშემო დარაზმულ ხელისუფალთა ოპოზიციაში ჩადგომა, მისი და მისი გუნდის არაადამიანური შრომისა და გარჯის დაუნახავობა და შეწინააღმდეგება, რა სახისაც უნდა იყოს ეს შეწინააღმდეგება, ანტიეროვნული ქმედებაა.

და ნიშანდობლივია, რომ ამ ე. წ. ოპოზიციური, არსებითად კი ანტიეროვნული ძალების სათავეში დგას იგივე ოდიოზური ფიგურა, რომელიც ჩვენ გვახსოვს 9 აპრილის საშინელ ღამეს, ტრაგედიამდე ცოტა ხნით ადრე, როდესაც ის ფაქტიურად წინ გადაუდგა უწმინდესსა და უნეტარეს კათოლიკოს-პატრიარქს, უხეშად აღუკვეთა ხალხის დამოშმინებისა და გადარჩენის უკანასკნელი ცდა და მგზნებარედ მოუწოდა თავგანწირვისაკენ, მერე კი, გამსახურდიას მსგავსად, გაიპარა. ეს ფიგურა ირაკლი წერეთელია.

...გავიდა ხანი. გამსახურდიას ოდინდელმა მხარდამჭერებმა, ზოგმა ადრე, ზოგმა გვიან [illegible] მის პიროვნებას, მის გარშემო შემოკრებილ უღირსთა საქმიანობას და მათგან მომდინარე საშიშროებას და ბრძოლა გაუმართეს ამ „ერის მესიად“ გამოცხადებულ ბოროტ გენიას. და ამათ შორის გამოჩნდა ი. წერეთელი და მისი პარტია; ისინი აქტიურად დაუპირისპირდნენ გამსახურდიას. ეჭვით ვუყურებდით მის აქტიურობას, მაგრამ გამსახურდიას წინააღმდეგ ეშმაკსაც შეეკვრებოდა ადამიანი! თანაც ბევრს მაინც ერის გულწრფელ მოყვარულად მიაჩნდა იგი.

მაგრამ მალე მეც და ბევრ სხვასაც საბოლოოდ გული გაგვიტყდა მასზე. როცა 1991 წლის სექტემბრიდან დაიწყო აქციები ტელეცენტრის თანამშრომლებისა, ხოლო უნივერსიტეტის ეზოში ინტელიგენციისა და სტუდენტობისა, მალე აქ გამოჩნდა ი. წერეთელი და საკმაოდ უცერემონიოდ მოინდომა ლიდერობის ხელში აღება; მაგრამ ხელი მოეცარა: სრულიად გასაგებია, რომ ინტელიგენციამ არ სცნო მისი ლიდერობა და ბევრ რამეში არ აჰყვა მას. ამან ეტყობა გააღიზიანა ის. და აი, ერთ დღეს მან მოისურვა საპროტესტო აქციის უნივერსიტეტის შენობაში გადატანა. მაშინდელი რექტორი პროფ. რ. ჯაფარიძე, რომელიც ყოველმხრივ თანაუგრძნობდა გამსახურდიას საწინააღმდეგო ოპოზიციას, იმჟამინდელ ვითარებაში უნივერსიტეტის ინტერესების გათვალისწინებით, წინაღუდგა წერეთელსა და მის თანამზრახველთ და სცადა მათთვის აეხსნა, რომ უნივერსიტეტს ვერ გახდიდა პოლიტიკური აქციების ასპარეზად. და აი, ამის პასუხად გაისმა ი. წერეთლის მკრეხელური და უბრალოდ უზრდელური განცხადება: „მე უნივერსიტეტი ფეხებზე მკიდია! თქვენ თუ თანამდებობის დაკარგვის გეშინიათ, წამოდით ჩემთან და ორჯერ მეტ ხელფასს მოგცემთ!“ — ეს უნივერსიტეტის რექტორს შემკადრა. ყოველივე ეს სხვისი მოთხრობილი არაა, საკუთარი ყურით მაქვს მოსმენილი. რატომ გადურჩა ი. წერეთელი მაშინ ელემენტარულ გალახვას, რისი ღირსიც იგი სრულად იყო, სხვა საკითხია, მკითხველმა კი თავად განსაჯოს, როგორ შეეთანხმება ეროვნული მოღვაწის პრეტენზიებს ის მკრეხელური გამონათქვამი ეროვნული უნივერსიტეტის მიმართ, რომელიც გაბედა ი. წერეთელმა. ან როგორ უნდა გვჯეროდეს მას მერე მისი. ის კი კვლავ აღგზნებულად აფრქვევს თავის სიბრძნეებს ამჯერად უკვე პარლამენტის ტრიბუნიდან და კვლავ კონფრონტაციისაკენ მოუწოდებს.

ჩემთვის ყველაფერი ნათელია: ი. წერეთლისნაირ „მოღვაწეებს“ არ ძალუძთ პოზიტიური, კონსტრუქციული საქმიანობა (რა ქნან? ეს ხომ მათი ბრალი არაა); მათ მხოლოდ დესტრუქციული მოქმედების უნარი აქვთ. იმას კი არა აქვს მნიშვნელობა, რომ დღევანდელ პირობებში ეს დამღუპველია ერის ინტერესებისათვის. ეს ჩემთვის გასაგებია. ისიც მესმის, რატომ აღმოჩნდნენ მასთან ალიანსში დამხობილი ხელისუფლების ყოფილი წევრები, რომლებიც პარლამენტში მოკალათდნენ, რატომ დაუჭირეს მას მხარი გაურკვეველი მიმართულების მერყევმა დაჯგუფებებმა, რატომ უკრავენ მას ტაშს და უკვე თავისად მიიჩნევენ „ზვიადისტები“ და [illegible] მხედრიონის ნაშთები. ყოველივე ეს ჩემთვის გასაგებია, მაგრამ ერთი რამ არ მესმის — როგორ მიჰყვებიან მას ისინი, ვისაც თითქოს მართლაც ერის ინტერესები აწუხებს?! ნუთუ უნდა ვიფიქროთ, რომ არც მათ აფიქრებთ სამშობლოს ბედი?!

არ მინდა ვინმემ იფიქროს, რომ მე პარლამენტის წინააღმდეგ ვიბრძვი და მისი განქიქება დამისახავს მიზნად. სრულიადაც არა. მე პარლამენტის პოზიტიურ მხარეებსაც და მასში მყოფ ჯანსაღ ძალებსაც ვხედავ და მათზე ვამყარებ იმედს. მე უბრალოდ მაშფოთებს, გულწრფელად მაწუხებს ის უარყოფითი ელემენტები, რომლებიც პარლამენტში უდავოდ არის. ჩემი კრიტიკა, მერწმუნეთ, მოყვარის პოზიციიდანაა, კეთილგანწყობილი კრიტიკაა; იგი იმ იმედით წამოვიწყე, რომ იქნებ ზოგი ჩემი შენიშვნა ანგარიშგასაწევი მოეჩვენოს ჩვენს პარლამენტარებს, კერძოდ იმათ, ვისაც იგი ეხება და ზოგ რამეზე დააფიქროს ისინი. მე ის მინდა, რომ არ ჰქონდეს ხალხს საფუძველი ხელაღებით ლანძღოს პარლამენტი. მე ეს ლანძღვა ისევე მხვდება გულზე, როგორც თვით პარლამენტის წევრებს.

და კიდევ ერთი რამ: ყოველ ნაბიჯზე, ყველასაგან გვესმის: საქართველო ომს, სამამულო ომს ეწევა, ამიტომ უნდა დავირაზმოთ, გავერთიანდეთ, ცხოვრება ომის ყაიდაზე გარდავქმნათ... მოვუწოდებთ, მოგვიწოდებენ... ბევრი რამ კეთდება, ბევრს შეგნებული აქვს ეს და შესაბამისად იქცევა კიდეც. ერის ნამდვილი შვილები იარაღით ხელში იბრძვიან, სისხლს ღვრიან სამშობლოსათვის; სხვები თავაუღებლად და პატიოსნად შრომობენ და შეძლებისდაგვარად თავისი წვლილი შეაქვთ საერთო სახალხო საქმეში. სამწუხაროდ, ყველა ასე არ იქცევა. ამოვდივარ ამას წინათ მეტრო „მარჯანიშვილიდან“. მეტროს წინ აღურაცხელი უსაქმური ახალგაზრდობა ირევა. ტყავის „ქურტკებში“ გამოწყობილნი, ღეჭავენ, სიგარეტს (თუ სხვა რამეს?) ეწევიან, მზესუმზირას აკნატუნებენ... არ აწუხებთ არაფერი, არც ცხოვრების სიდუხჭირე, არც ომი, არც თანატოლთა დაღუპვა, არა აქვთ არც მოვალეობის გრძნობა, არც სირცხვილის შეგრძნება. და ასეა მეტრო „თავისუფლების მოედანთან“, „რუსთაველთან“, მრავალ სხვა ადგილას... ამას წინათ სასტუმრო „ივერიის“ წინ ერთმა აფხაზეთიდან ლტოლვილმა მითხრა — ომი ვინც დაიწყო, იმან იბრძოლოს, მე ამ ომთან არაფერი მესაქმებაო! შემზარა ასეთმა პასუხმა და მერე ამგვარი რამ ბევრისგან გავიგონე. არის ასეთი განწყობილება და სამწუხაროდ სწორედ აფხაზეთიდან ჩამოსულთა შორის. არა და სწორედ აფხაზეთის ქართველობამ უნდა შეიგნოს, რომ ის, რაც დღეს აფხაზეთში ხდება, მნიშვნელოვანწილად მათი ბრალია. მათ წლების მანძილზე გულგრილად შეუშვეს აფხაზობის ერთი ნაწილი სათვითნებოდ, დაუთმეს მათ პოზიციები, შემდეგ, ყველაზე სახიფათო დროს ყოფილი პრეზიდენტის თავგამოდებული მომხრეობის თამაში დაიწყეს, დღევანდელ ხელისუფლებას დაუწყეს ბრძოლა და ამ დროს კი არძინბა-ვორონოვები აფხაზურ გვარდიას ქმნიდნენ და საომრად ძალებს აგროვებდნენ. მერეც კარგა ხანს ინდიფერენტულად იქცეოდნენ აქაური ქართველები, გვიანღა გამოიღეს ხელი, კარგადაც გამოიღეს, მაგრამ არის მაინც მათ შორის ისეთი, ვინც შინაგანად არ არის დანარჩენ ქართველობასთან ბოლომდე ერთიანი, ვინც იმ ლტოლვილივით თავისად არ თვლის მიმდინარე ომს და კვლავ იმ კაცს მისტირის, ვინც გროზნოდან ჩვენს წინააღმდეგ, საქართველოს წინააღმდეგ გადამთიელებს აქეზებს. აი ეს არის ყველაზე საშიში და სავალალო. ნუთუ დრო არ არის გავერკვეთ ვინაა მტერი და ვინ მოყვარე.

ხალხის ძირითადი ნაწილი ედგა სამშობლოს ინტერესების დასაცავად — ეს აშკარაა, მაგრამ ჯერ კიდევ ძალზე ბევრია უწესრიგობა, დანაშაული, ერის მთლიანობის წინააღმდეგ ქმედება, ფარული თუ აშკარა ექსცესები. როგორც ჩანს მიღებული ზომები არ კმარა. მე მეჩვენება, რომ ხელისუფლება ზედმეტ შემწყნარებლობას იჩენს. ბოლოს და ბოლოს უნდა ვთქვათ პირდაპირ: პოლიტიკურ ოპოზიციონერობას ამოფარებული, დამხობილი ხელისუფლების მოტრფიალე ადამიანები, მათი ჯგუფები, მათ რუპორებად ქცეული გაზეთები — დამნაშავე ელემენტებია და მათ უნდა მოვეპყრათ როგორც დამნაშავეებს. ეს არაა იგივე, რაც იყო ძველი ხელისუფლების მოწინააღმდეგე ოპოზიცია. ჩვენ მართლაც მშვიდობიანი გზით ვცდილობდით ხელისუფლების გადაყენებას და თუ ბოლოს საჭირო გახდა იარაღის გამოყენება, ეს იმიტომ, რომ იარაღს თვით ხელისუფლებამ მიმართა. ჩვენ არც ხიდებს ვაფეთქებდით, არც ელექტროანძებს ვაზიანებდით, არც თბილისში ვაწყობდით ტერორისტულ აქტებს... ამას გარდა — გავათვითცნობიეროთ ეს — მაშინ არ იყო ომი. დღეს კი ომია, ერის ყოფნა-არყოფნისთვის წარმოებული ომი და ხელისუფლების წინააღმდეგ ომის ვითარებაში გამოსვლა დანაშაულებრივი, მძიმე დანაშაულებრივი ქმედებაა. ხელისუფლება დროა მოეშვას არასწორად გაგებულ დემოკრატიზმს და შესაბამისად იმოქმედოს.

რა უნდა გაკეთდეს? მე ზოგიერთივით ვერ გამოვწერ ყველა შემთხვევისთვის მოსარგებ რეცეპტს, მაგრამ ვგრძნობ, რომ გადაუდებელია რაღაც გადამჭრელი ნაბიჯები. მე პირადად ერთადერთ და აუცილებელ გამოსავლად მეჩვენება: დროებით შეჩერდეს პარლამენტის მოქმედება, ან შემოიფარგლოს მხოლოდ კომისიებში კანონთა მომზადების ფუნქციით. მთელ ქვეყანაში გამოცხადდეს საგანგებო მდგომარეობა, ყველა თანმხლები ღონისძიებით. **მთელი ძალაუფლება გადაეცეს ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს.** სხვაგვარად ომი კიდევ დიდხანს გაგრძელდება, შეფერხდება რუსეთთან სწორი პოლიტიკური ურთიერთობის დამყარება და ბოლო არ მოეღება კორუფციასა და კრიმინალურ ქმედებას. სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო — ამ აზრისაა ძალზე ბევრი ჩვენი მოქალაქე.

ნოდარ ლომოური.

„დემოკრატიჩესკაია აბხაზიას“ ფურცლებზე

„მშვიდობისა და თანხმობისათვის“ მოძრაობის პროგრამა

გაზეთ „დემოკრატიჩესკაია აბხაზიაში“ გამოქვეყნდა მიმართვა, რომელშიც „მშვიდობისა და თანხმობისათვის“ მოძრაობა სთავაზობს საომარი კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგებით დაინტერესებულ ყველა მხარეს აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტისა და მშვიდობის აღდგენის პროგრამას:

— ყველგან შეწყდეს საომარი მოქმედება და დაუყოვნებლივ დაიწყოს წესრიგისა და დისციპლინის დამყარება;

— მოეთხოვოს კონფლიქტში ჩაბმულ მხარეებს მიუსხდნენ მოლაპარაკების მაგიდას, რათა ყველა სადავო პოლიტიკური საკითხი გადაწყვიტონ მშვიდობიანი გზით;

— ერთობლივი ძალისხმევით მომზადდეს ნიადაგი საგაზაფხულო სათესი სამუშაოების ხარისხიანად ჩატარებისათვის, დაიწყოს დანგრეული სოფლის მეურნეობის აღდგენა;

— მიეცეს მოსახლეობას სამოქალაქო უფლებათა დაცვის გარანტია აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე;

— ათი დღის განმავლობაში მოგვარდეს შეუფერხებელი სარკინიგზო მიმოსვლა აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე, მიეცეს მოსახლეობას თავისუფალი გადაადგილების გარანტია;

— სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებისა და ორივე მხარის შეიარაღებული ძალების, აგრეთვე სამოქალაქო მოსახლეობის წარმომადგენელთაგან შეიქმნას სამშვიდობო ძალები აფხაზეთის დასახლებულ პუნქტებში, უწინარეს ყოვლისა, ქალაქებში სოხუმში, გუდაუთაში, ოჩამჩირეში, გაგრაში, ტყვარჩელისა და სხვაგან წესრიგის დასაცავად;

— მიღებულ იქნეს მიმართვა ყველა ლტოლვილისადმი, მათი ეროვნების მიუხედავად, მოწოდებით, დაუბრუნდნენ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებს, მიეცეთ მათ კრიმინალური ელემენტებისაგან დაცვის გარანტია;

— უმოკლეს ვადებში მოგვარდეს სახალხო მეურნეობის ყველა დარგისა და მართვის სტრუქტურების ფუნქციონირება და განახლდეს სამეცნიერო დაწესებულებათა საქმიანობა;

— ეთხოვოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს მიიღონ აქტიური მონაწილეობა კონფლიქტის მოწესრიგების საქმეში, იკისრონ სამშვიდობო მისია, განახორციელონ სააგიტაციო მუშაობა აფხაზეთის მიწა-წყალზე მშვიდობისა და სიმშვიდის აღდგენის თვალსაზრისით;

— დაუყოვნებლივ შეიქმნას აფხაზეთის უხუცესთა საბჭო ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით.

ESM
თბილისი/TBILISI

ევროპული განათლება და
ევროპული დიპლომი თბილისში

საქართველო-საფრანგეთის ერთობლივი უმაღლესი სასწავლებელი
ESM-თბილისი ერთადერთია რესპუბლიკაში, რომელიც ევროპულ
დიპლომს გასცემს.

ESM-თბილისი ESM-International-სთან ერთად ამზადებს ფინანსების მენეჯერს, მარკეტინგის მენეჯერს და საერთაშორისო - კომერციული საქმიანობის მენეჯერს. გათვალისწინებულია სტაჟირებები და პრაქტიკები საზღვარგარეთის ქვეყნებში. წარმატებით კურსდამთავრებული მიიღებს ESM-International - ის დიპლომს.

ESM - თბილისი მოსბახის სპეციალურ აკადემიასთან (გფრ) ერთად ამზადებს მენეჯერს კომერციის დარგში. დამამთავრებელ კურსს სტუდენტები გერმანიაში გაივლიან. წარმატებით კურსდამთავრებული მიიღებს მოსბახის სპეციალური აკადემიის სახელმწიფო დიპლომს.

* სწავლების ვადა 5 წელია. მიიღებიან საშუალო, საშუალო-სპეციალური და არასრული უმაღლესი განათლების მქონე პირები 25 წლის ასაკამდე. სწავლება ფასიანია. მისაღები გამოცდები ჩატარდება ივლისში მათემატიკაში (ტესტები), უცხო ენაში (ტესტები) და ქართულ წერაში (წაკითხულის შინაარსი).

24 აპრილს 12 საათზე გიწვევთ ღია კარის დღეზე, სადაც შესაძლებლობა გექნებათ გაივარჯიშოთ მათემატიკისა და უცხო ენის ტესტურ გამოცდებში და პასუხი მიიღოთ თქვენთვის საინტერესო ყველა კითხვაზე.

ცნობებისათვის დარეკეთ: 39-16-73 39-44-57
ან მობრძანდით: ვაჟა-ფშაველას 40,
ESM - თბილისი, ოთახი N 409.

პოეზია უპირველეს ყოვლისა

ბათუ დანელია

თავისუფალ საქართველოს იავნანა

ვუძღვნი ქართველ დედებს

იავნანა, თავისუფალ საქართველოს ყლორტო! —
ეს ნანატრი დრო შენ უნდა ყვავილებით მორთო.
დაგიდგება კიდევ უფრო ბედნიერი ხანა, —
შენ სამშობლო აშენე და დაამშვენე, ნანა! —
სთქვან, ეს მადლი მადლიანმა იავნანამ ქნაო! —
იავნანა, ვარდონანა, იავნანინაო!

იავნანა! შენ ეღირსე ცისკვეშ ლაღად ქროლას.
შენ არასდროს იგრძნობ ქედზე მონის უღლის წოლას,
შენ მომავლის დიდ ოცნებებს ვერვინ ჩაგიქოლავს, —
ამისათვის უმადლოდე მამა-პაპის ბრძოლას!
შენც იცოდე სინათლისკენ შვილთა წაყვანაო!
იავნანა, ვარდონანა, იავნანინაო!

იავნანა! ჭირმა თავი თუ კვლავ იჩინაო, —
არ შეგეფერის, რომ დახტოდე, როგორც ჭრიჭინაო, —
ჭირში უფრო მეტი გმართებს კაცურ საქმის ქმნაო, —
მტერსაც უნდა გაუმკლავდე, მიწაც უნდა ხნაო,
პურიც შენვე უნდა მომკა, შენვე შეკრა ძნაო! —
იავნანა, ვარდონანა, იავნანინაო!

იავნანა! მშობლიური კერიც ღირსო მოვლადა! —
სხვისი ოქროც არ გეღირდეს შენი მთების თოვლადა!
საქართველოს მთა და ბარი მდიდარია ყოვლად, —
მოუარე და იარე ღვთისკენ შეუცდომლად, —
საძებარი არ გაგიხდეს ერის სულის ხმაო!
იავნანა, ვარდონანა, იავნანინაო!

იავნანა! სად არ გასცდე წუთისოფლის ბორცვებს,
სიმდიდრე და დიდება, რაც არ უნდა გქონდეს, —
შენი ფუძე და კერია ყველგან მოგაგონდეს,
კაიკაცობა და სიმართლე სულ წინ მიგიძღოდეს, —
სულ გახსოვდეს, ანდერძივით, ძველი ათი მცნაო!
იავნანა, ვარდონანა, იავნანინაო!

იავნანა! იძინე და აღუღურტულდი დილით, —
ჩამეხუტე მკერდში, ძუძუ რომ გაწოვო ტკბილი!
საქართველოს გაეზარდე სახელოვან შვილი, —
მუდამ მისთვის ინთებოდე, როგორც ღვთისთვის ცვილი, —
უფრო გაუნათებინოს შენი ქვეყანაო!
იავნანა, ვარდონანა, იავნანინაო!

არც ერთი შეკითხვა უპასუხოდ

„მე ათეისტების ოჯახში გავიზარდე. ღმერთი არ სწამდათ არც ჩემს მშობლებს, არც პაპა-დიდედას და, ცხადია, არც მეც — ბავშვებს. ახლა გავატარე ორმოც წელზე მეტი და აი, ბოლო ხანს თითქოს სულში მოხვდა, რაღაც შვება მივიღე. ეს შვება პირველად სახარების წაკითხვით ვიგრძენი. მერე მოვინათლე და ჩემთვის ახალი ცხოვრება დაიწყო.

ამას წინათ, ერთმა თანამშრომელმა წამომძახა: ვინც ახლა დაიწყეთ ეკლესიაში სიარული, უმეტესად თვალთმაქცობთ, ნამდვილი მორწმუნე არ ხართო.

ვერ წარმოიდგენთ, როგორ მეწყინა ეს.“

სოფიკო ხუციშვილი.
თბილისი.

ასეთი შინაარსის წერილები ადრეც მიგვიღია, ამჯერად გადავწყვიტეთ ეს ბარათები სასულიერო აკადემიის და სემინარიის პროტოპრესვიტერისათვის გადაგვეცა. აი, რა გვითხრა მამა გიორგიმ:

სულიერ ცხოვრებაში ასაკს არა აქვს მნიშვნელობა. ვინ როდის მოვა ეკლესიაში, ღვთის განგებას დავუთმოთ. ბავშვობიდან, ადრე მოსულს სიბერის ჟამს გვიან მოსულთან ერთი რწმენა აკავშირებს, ათანაბრებს და აძმობილებს. უფლის მიერ არის ეს და მორწმუნე ქრისტიანისათვის დროის საკითხი ამ შემთხვევაში არ დგას. სახარებიდან ყველამ ვიცით იგავი ვენახში მომუშავეთა თანაბარ ანაზღაურებაზე. პირველ ჟამს მოსულმა, რომელმაც მთელი დღე იშრომა, მიიღო იგივე, რაც მეთერთმეტე ჟამს მოსულმა, რომელმაც ვერ მოასწრო მუშაობა, რადგან, რასაც დაჰპირდა პირველს, იგივე მისცა უკანასკნელს. სამართალი და წყალობა ერთიანდებიან უფლის მიერ ამიტომ ნუ განიკითხავთ ერთმანეთს, არამედ გეხაროდეს სიკეთე. მოჩვენებითობა მოსვლის დროით კი არ განისაზღვრება, არამედ სულიერი უნაყოფობით და ამის განსჯა ღმერთს დავუთმოთ.

ქველმოქმედება

კაცს მშობელი კუთხე უყვარს

რობერტ ჰუმბაძე ზესტაფონის რაიონის სოფელ კვალითში დაბადებული და გაზრდილი კაცია. [illegible] შემდეგ კი თბილისში მიიღო უმაღლესი განათლება ტექნოლოგის კვალიფიკაციით.

[illegible]

საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მიმდინარე პროცესებმა კიდევ უფრო მეტად წარმოაჩინა რობერტ ჰუმბაძის, როგორც ტექნოლოგის და ბიზნესმენის ნიჭი. მისი ხელმძღვანელობით ასოციაცია „დასავლეთ უკრაინა“ სულ მალე მილიონერი ორგანიზაცია გახდა.

რობერტს მშობლიურ კუთხეში ყოფნისას დღეინდელ მშობლიური კუთხის დახმარების სურვილი და მიეცა კიდევ ამის საშუალება. მან შეიძინა, დედასთან [illegible], სოფლის ეკლესიის აღორძინებისათვის ჩარიცხა 750 ათასი მანეთი. შემდეგ კი სოფლის გზის კეთილმოწყობისათვის უკრაინიდან გამოგზავნა ბიტუმი, რომელიც სავსებით ეყოფა [illegible] კილომეტრზე დაგო კვალითში. სოფლის მოსახლეობას უფასოდ მისცა ორი „იკარუსის“ მარკის სამგზავრო ავტობუსი, რომელთაგან — ერთი ზესტაფონამდე, ხოლო მეორე თბილისის მარშრუტზე მოძრაობს, უფასოდ გამოგზავნა აგრეთვე რაიონის ბაგა-ბაღებისათვის ათასობით მანეთის პროდუქტი.

რობერტ ჰუმბაძემ მილიონობით მანეთის მედიკამენტები გადასცა ეროვნულ გვარდიას. ერთი მილიონი მანეთით დაასაჩუქრა საქართველოს საპატრიარქო, ერთი მილიონი კი შინაგან საქმეთა სამინისტროს გაძლიერების ფონდში შეიტანა. სულ ახლახან თანასოფლელებს აღუთქვა კიდევ ერთი მილიონი მანეთის დახმარება საშუალო სკოლის სახურავის შეკეთებისთვის.

მრავალი სხვა კეთილი ჩანაფიქრი აქვს ბატონ რობერტს. დაილოცოს სიყვარულის და თანადგომის ასეთი გრძნობა ქართველ ვაჟკაცს.

ჰენრი შარიქაძე.

მოთხოვნამ მოლოდინს გადააჭარბა

ქუთაისის სპეციალიზებულმა საკონსტრუქტორო ბიურომ „პროექტელსაწყომ“ შეიმუშავა ბავშვთა კვებაში გამოყენებული პროდუქტების ხარისხის განსაზღვრის ხელსაწყოების და სამარაგების კომპლექტი. კომპლექტის პირველი პარტიები, რომელთაც სატესტო მოწმობა მიიღო, დაამზადა აქვე — სამეცნიერო-საკონსტრუქტორო ბიუროს საცდელ წარმოებაში. მათზე მოთხოვნამ ყველა მოლოდინს გადააჭარბა. შეკვეთები მიიღეს არა მარტო ქუთაისის, საქართველოს სხვა ქალაქების, არამედ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამედიცინო და სკოლამდელი დაწესებულებებისაგან. წარმოებს მოლაპარაკება გერმანიასა და ბულგარეთში ხელსაწყოების მიწოდების შესახებ.

წერილი, რომელიც არ გამოქვეყნებულა...

„საქმე ის არის, რომ მხილება ავისა და ბოროტისა საფუძვლიანი და საბუთიანი იყოს და არა [illegible], — და სამდურავისა ან წყენის ან შურის ატეხის შიშით ნურავინ გაიტეხს გულს. განა არ ვიცით, მხილება არაფრად ეპიტნიკება ავის შემქნელსა, მაგრამ განა ეს საბუთია თვალი დავიხრმაოთ, ყურებში ბამბა დავიცოთ და ენა მოვიკვეთოთ, როცა იგი ავი ჩვენ თავში გვცემს, ჩვენს არარაობას ჩვენდა სამარცხვინოდ, საქვეყნოდ ჰღაღადებს. რად უნდა გავისუმდეთ? აქათ-იქით თქვენი ხმის ამოღებას ჩვენი წყენა მოჰყვება. წყენას ჩვენი აშფოთებაო და ეროვნული შურის ატეხა ეხლანდელ დროში საკადრისი არ არისო, ნუთუ მართლა ამ ლანდებს უნდა შევუშინდეთ“...

ერის დიდი მოძღვრის ილიას ადამიანური კეთილშობილებით ნაჭერი ეს კლასიკური სიბრძნე ზოგ პოლიტიკოსს „კრემლის აგენტობის“ ნიშნადაც შეიძლებოდა მოსჩვენებოდა, მე კი მიმტკიცებს რწმენას, რომ მკითხველს შევთავაზო 1988 წლის 9 მარტით დათარიღებული წერილი (თუნდაც შემოკლებული ვარიანტი), რომელიც საქ. კპ ცკ-ის იმდროინდელი ხელმძღვანელობის მიერ არა მარტო გამოსაქვეყნებლად აიკრძალა, არამედ ყოველგვარი რიგისა და წესის, ელემენტარული სამართლიანობის დარღვევით გადაეცა მასში გაკრიტიკებულ პატ. ელიზბარ ჯაველიძეს, რომელმაც მისდამი გაღებული მორიგი წყალობა ჩვეულებისამებრ „მეცნიერულად“ გამოიყენა და დიდი იაკობ გოგებაშვილისადმი მისეული აღვირახსნილობის ჩემეული გამომზეურება „პროფესორული კეთილსინდისიერებით“ მიაფუჩეჩა, რაც იმას ნიშნავს, რომ გამოუქვეყნებლად „დამარხულ“ ჩემს წერილში აღნიშნული შენიშვნები გულმოდგინედ აცქნაფა, მერე ხელები მოიფშვნიტა და ცინიკურად ჩაიქირქილა: ესეც ესეო, — ჩემს „მეცნიერულ“ ქრესტომათიაში ეს შეცდომები აღარ იქნება, მასალა თავისუფლად შემიძლია ჩავდოვო შეპირებული აკადემიკოსობის საძიებლად განკუთვნილი შრომების ცარიელ პორტფელში, ჩემსავე გაზეთში დაშვებული „პატარა ლაფსუსები“ კი ვილაც ეხსომებათ — ჩემი ცუ მისეულ წერილს გამოქვეყნებას არ ეღირსებაო.

სამართალმა პური ჭამა, თუ არ ილუკმა და იმსუყა, ოდნავ მაინც დანაყრდა. იმიტომაც გთავაზობთ ჩემი „დამარხული“ წერილის შემოკლებულ ვარიანტს:

გივი ქარბელაშვილი.

1988, 20 მარტი.

თუ საჯაროობაა, საჯაროობა იყოს!

დიდი ხანი არ გასულა, მას შემდეგ, რაც თქვენ, ქართველ მწერალთა კავშირის გაზეთის რედაქტორს, ბოდიში მოგახდევინეს ბ-ნ შალვა ამონაშვილის მიმართ შეურაცხმყოფელი წერილის დაბეჭდვის გამო. იოლად გადარჩით, მაგრამ, სამწუხაროდ, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, თავი არ დაანებეთ, არც დაანებებთ, უფრო გაკადნიერდით და კიდევ უფრო გაკადნიერდებით — ანგარიშსწორება და ღვარძლი, იყო, არის და იქნება თქვენი არსობის კანონი, რისი ერთ-ერთი ნიმუშია 1988 წ. 19 თებერვალს „ლ. ს.“-ში გამოქვეყნებული თქვენი წერილი — „არ გათეთრდების...“ დიახ, იმ წერილის ერთადერთი მიზანი იყო თქვენთვის უმაღლეს სულიერ მოთხოვნილებად ქცეული ანგარიშსწორება, სათაურითვე რომ მჟღავნდება ყოვლად უკადრისი ხერხებით. თქვენ, „ლ. ს.“-ს რედაქტორმა, სწორედ თანდაყოლილი ხასიათის წყალობით, ქართველ მწერალთა ორგანოში გამოიწვიეთ კამათის კულტურა, შექმენით ლიტერატურული დისკუსიისათვის ყოვლად დაუშვებელი დაცინვისა და ავსიტყვაობის კლიმატი, რასაც საერთო არა აქვს რა არც „პოლემიკასთან“, არც დემოკრატიასთან და საჯაროობასთან, პირიქით, იგი ანგარიშგაუწევლობაა გაფრთხილებისა: „დემოკრატია სულაც არ არის ანარქია“.

მე საგანგებოდ ვარიდებ თავს იმ ავსიტყვაობის წარმოჩენას, რითაც ესოდენ „მარჯვედ“ გქონდათ დამშვენებული თქვენი ერთ-ერთი „საპროგრამო“ წერილი — „მწერლური, მოქალაქეობრივი ამოსუნთქვა“ — („ლ. ს.“ 28.XI.86), რომელიც მიზნად ისახავდა რამდენიმე აქციას: პირველი. ჩემი შეურაცხყოფის, ხარჯზე გეწადათ საკუთარი პერსონისათვის სიმაღლის მომატება, რაც „მარჯვედ“ ჩაატარეთ აწ განსვენებული სახელოვანი მწერლების მიმართ. ეს ძველი ხერხია და ბილიკით მოკლეზე ჩარბენად ითქმის. მეორე, ჩემს მაგალითზე გინდოდათ შეგექმნათ სხვათა დაშინებისა და თქვენი ხელშეუხებლობისა თუ დიდი მხარდგომის შთაბეჭდილება, რაიც მიზნად ისახავდა მწერალთა საზოგადოებისათვის თქვენის დახმარებით ლაგმის ამოდებას...

...მართლაც ორიოდ წლისწადში თქვენ, პატ. ელიზბარ, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის უჩინარმა დოქტორმა, საზოგადოებისათვის უცნობი რომ ბრძანდებოდით, ისეთი არნახული ამაღლება მოახერხეთ, რომ საქართველოში ნამდვილად ხელმიუწვდომი გახდით და თქვენს შესახებ შიშით „ჩურჩულით“ ლაპარაკსაც ვეღარავინ ბედავს. დიახ, ხელმძღვანელობთ რა პრინციპით — შიში შეიქმსო სიყვარულს, — თქვენ ყოველს კადრულობთ იმისათვის, რომ შექმნათ თქვენდამი „საგანგებო მფარველობის“ ილუზია, რისი ფაქტებიც, სამწუხაროდ, არსებობს კიდეც და მათ შესახებ ერთხელ მაინც უნდა ითქვას „უჩურჩულოდ“, თორემ სხვარიგად უთუოდ შეიქმნება ანარქიისა და განუკითხაობის ის ატმოსფერო, რაც ნამდვილად აწუხებს ხალხს, მაგრამ ხელს აძლევს მედროვეებს, კარიერისტებსა და მლიქვნელებს, დოგმამოშვებით რომ იცვლიან რწმენას.

ფაქტი პირველი: თქვენ, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის თურქოლოგი, მწერალთა კავშირის არაწევრი, ყველასთვის მოულოდნელად დაინიშნეთ საქართველოს ლიტერატურულ-მწერლური შემოქმედებითი ცხოვრების ფლაგმანის „კრიტიკის“ რედაქტორად, რასთან დაკავშირებითაც მანამდე ერთ ოთახში შეყუჟულ რედაქციას სასწრაფოდ დაეთმო დიდებული, „ინტურისტის“ მიერ საგანგებოდ „გარემონტებული“ აპარტამენტები, მთავრობის ტელეფონი, „ვოლგა“, მოამატეს შტატი, ტირაჟი, პერიოდულობა...

ფაქტი მეორე: თქვენ, მწერალთა კავშირის არაწევრი, სასწრაფოდ დაგანიშნეს უკვე გაზეთ „ლ. ს.“-ს რედაქტორად, ხოლო მწერალთა კავშირში გაწევრიანება მოგიხერხეს მხოლოდ 1987 წლის 5 ივნისს, გარედაქტორების შემდეგ.

ფაქტი მესამე: ჩემს წინააღმდეგ დაწერილი თქვენი პირველი წერილი, რომლის უმთავრესი მიზანი იყო ჩემი შეურაცხყოფისა და დამცირების გზით საკუთარი პერსონისათვის სიმაღლის მომატება, საქ. კპ ცკ იდეოლოგიური მდივნის მითითებით, გაზეთ „ლ. ს.“-ს მაშინდელმა რედაქტორმა ბ-მა ვახტანგ ჭელიძემ გვერდიდან ამოიღო, ხოლო მისი ადგილი სხვა მასალით შეავსო. ღამის 11 საათისათვის გაზეთი დაკაბადონდა, მაგრამ... მეორე დღეს (28/XI. 86) თქვენი წერილი მრავალი უკადრისი ეპითეტით რომ იყო „მოხატული“, ნომერში აღმოჩნდა როგორც თქვენი „[illegible]“ დასტური.

ფაქტი მეოთხე: ერთი კვირის შემდეგ „ლ. ს.“-ში მიტანილი ჩემი საპასუხო წერილი ყველა გზითა და საშუალებით [illegible], რათა თქვენს ავტორიტეტს ჩრდილი არ მისდგომოდა... იყო კოლეგიები, იყო ჩურჩული... მაგრამ წერილს გამოქვეყნება არ ეღირსა იქამდე, სანამ ლამის ნახევარწლიანი ბრძოლისა და წამების შემდეგ, მართალია კვეცით დაიბეჭდა „ლ. ს.“-ს იმ ლამის პირველსავე ნომერში, რომელსაც უკვე თქვენ, მწერალთა კავშირის არაწევრი, რედაქტორის ტიტულით აწერდით ხელს.

ფაქტი მეხუთე: თქვენ, სწორედ იმით გაბოროტებულმა, რომ თქვენი საწინააღმდეგო წერილი დაგაბეჭდინეს თქვენსავე გაზეთში, ანგარიშსწორების მიზნით, ზუსტად მომდევნო ნომერში გამოაქვეყნეთ წერილი, რომელიც ერთგვარი „პერიფრაზი“ იყო ჩემს რომანთან („მგზნებარებით ჩაფერფლილი გულები“) დაკავშირებით „კრიტიკაში“ ადრე გამოქვეყნებული „განქიქებისა“, რასაც იმავე „კრიტიკაში“ თავის დროზე ამომწურავი პასუხი გაეცა. ახლავაც ერთი კვირის შემდეგ „ლ. ს.“-ს რედაქციაში მოვიტანე ჩემი პასუხი; თქვენ არ ბრძანდებოდით და წერილი დავუტოვე თქვენს თანამშრომლებს, ხოლო მეორე დღის ბოლოს, ამბის გაგების მიზნით, ტელეფონით დაგიკავშირდით თქვენ.. რა „პასუხიც“ გამეცით — როგორი აქციებიც ჩაატარეთ თქვენი თანამშრომლების თანდასწრებით, თქვენს სინდისზე და თქვენით დაშინებული თანამშრომლების ნამუსზე იყოს... ჩემი საპასუხო წერილი კი, რასაკვირველია, არ დაბეჭდილა, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ, ჩვენ ორივე გვიხმო ცკ-ის მდივანმა და წინადადება მოგვცა, რომ კამათი შეგვეწყვიტა... მიუხედავად იმისა, რომ ხმაჩამორთმეული მე დავრჩი, თქვენ მაინც დაიბოღმეთ იმის გამო, რომ ბოლომდე ვერ ჩაატარეთ ჩემთან ანგარიშსწორება და მაშინვე ბრძანეთ — ჩემს საპასუხო წერილს, ბოლოსა და ბოლოს, მაინც, დავბეჭდავო...

ფაქტი მეექვსე: საქართველოს ჟურნალისტთა ამასწინანდელ ყრილობაზე გამგეობის შემადგენლობაში დასახელებული იყო გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რედაქტორი, საქ. კპ ცკ-ის წევრობის კანდიდატი, უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ი. თოდუა!, მაგრამ მას საჯარო აცილება მიეცა იმის გამო, რომ არ იყო ჟურნალისტთა კავშირის წევრი, რაც თქვენ საკუთარი ყურით მოისმინეთ. გამგეობის შემადგენლობაში დაგასახელეს თქვენც, აგირჩიეს კიდეც. მერე პრეზიდიუმში, წევრადაც შეგიყვანეს... თქვენ კი, დოქტორ ე. ჯაველიძეს, არ გეყოთ მოქალაქეობრივი, კაცური პატიოსნება, რომ ამდგარიყავით და გეთქვათ, — თუ ი. თოდუას არ ირჩევთ იმის გამო, რომ იგი ჟურნალისტთა კავშირის წევრი არ არის, მაშინ არც მე უნდა ამირჩიოთო, რადგან არც მე ვარო კავშირის წევრი... მაგრამ ე. ჯაველიძე რაღა ჯაველიძე იქნებოდა, ამგვარი „გმირობა“ რომ ჩაედინა?! **იმიტომაც იყო, რომ თქვენ, პატ. ელიზბარ, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობისა და პრეზიდიუმის წევრი მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ მიგიღეს ჟურნალისტთა კავშირის წევრად.**

ყოველი ზემოხსენებული არც გარდაქმნაა, არც დემოკრატია, არც ელემენტარული პატიოსნებაა — მისი საერთო სახელია ყოვლად დასაგმობი პროტექციონიზმი. ამ რიგითა და წესით, — უფრო სწორედ კი ურიგობითა და უწესობით, — თქვენი სახით, პატ. ელიზბარ, მწერალთა კავშირის პირველი ორგანო ხელთ იგდო ადამიანმა, რომელიც მოიმიზეზებს ყოველს, რათა საკუთარი ამბიციები დაიკმაყოფილოს და ამღვრეულ წყალში [illegible] დაიჭიროს. თქვენი მსგავსი „თავკაცები“ მწერალთა კავშირს ყოველთვის ჰყავდა, ოღონდ, ისინი მწერლები მაინც იყვნენ. განა მწერალთა კავშირში არსებული ორპირობის, ბოროტ ტრადიციათა წაყრუებისა და ხელშეწყობის ნიმუში არ იყო, როცა, არცთუ შორეულ წარსულში დიდი ვაჟა საქვეყნოდ დაგმეს როგორც პოეტი და მამულიშვილი?! ლევან გოთუა თავის დროზე რომ გაიტანჯა, განა იგივე ზოგიერთი მწერლის ორპირობის მიზეზით არ იყო?! რა ვიწოდოთ იმას, რომ „განთიადის“ 1988 წლის საახალწლო ნომერში გალაკტიონ ტაბიძე უნიჭო პოეტად გამოცხადდა, რომელიც თურმე, ლერმონტოვსა და ბლოკს „ძარცვავდა“?! პროტესტი განა მარტო რევაზ თვარაძის უნდა გამოეხატა?! სად გაქრა მწერალთა კავშირის „მგზნებარე სული“, მძიმე არტილერიად რომ დაიქუხა ზოგ-ზოგის ორპირობის „გასაბათილებლად“?!

დიახ, პატ ელიზბარ, ხრიკებითა და მზაკვრობით, უსამართლობითა და ლანძღვით, ანტიეროვნულობითა და ანტიკავკასიურობით ერთადერთი არა ბრძანდებით. მაგრამ სხვები თქვენთან მაინც ვერ მოვლენ. თქვენ გამორჩეული შეურაცხმყოფელი ხართ, იმიტომაც გახდით უმთავრესი ორგანიზატორი ჩემდამი უბადრუკი ანგარიშსწორებისა. თქვენ, პროფესორმა და რედაქტორმა, ჩემს გარდა, ხულიგნურად შეურაცხყავით მთელი ჩემი გვარი, რომელმაც სამშობლოს მისცა საქართველოს ისტორიისა და ქართული სასულიერო მუსიკის დიდი მოამაგენი, ქართული კულტურისა და მეცნიერების ცნობილი მოღვაწეები პოლიევქტოს და ვასილ კარბელაშვილები, მათი აღმზრდელი უფროსი ძმა ანდრია და უმცროსი ძმა პეტრე, კარბელაშვილების სასულიერო საგვარეულოდან რომ განიწირნენ სამშობლოს ზვარაკებად, როცა არასახსენებელ ოცდაათიანში ამილახვართა საგვარეულო სოფელ ქვემო ჭალის ინტელიგენციასთან ერთად ხელებგაკრული მოხუცი ღვთისმსახურნი ტირიფონის ველზე გაიყვანეს და უმოწყალოდ დახოცეს, კოდისწყაროს ბოლოებში თქვენნაირმა სწორედაც ვარლამებმა. თქვენ შეურაცხყავით მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მრავალი ქართველი ეკონომისტის აღმზრდელი პროფ. ლუარსაბ კარბელაშვილი, 1937 წელს დაღუპულნი და მერე რეაბილიტირებულნი, საყოველთაოდ ცნობილი ენათმეცნიერი დავით, დიდი ინტელიგენტი აგრონომი ელიზბარ, ინჟინერი შალვა კარბელაშვილები, ცნობილი პედაგოგი თამარი, თუ აღარას ვიტყვით ამ მცირერიცხოვანი გვარის დღევანდელ საამაყო შვილთა შესახებ, რომელთა სახელითაც, მე, — გაზეთ „სამშობლოს“ რედაქტორი, მწერალი, ჟურნალისტი, — საჯაროდ ვგმობ თქვენ შეურაცხმყოფელ პროვოკაციას, რომლის ნათელი დადასტურებაა, „ლ. ს.“-ში ა. წ. 19 თებერვალს გამოქვეყნებული თქვენი წერილი, დაწყებული სათაურით და დამთავრებული უკანასკნელი წერტილით. ვინ შთაგაგონათ თქვენი ხელშეუხებლობა, ვინ გათავხედებთ ათასგვარ შეურაცხყოფაზე, რომელთა შორის ამაზრზენია ძღერს ბოღმით გათანგული და ქვებით ჩასათრებული კაცის თქვენეული ანგარიშსწორება: „ასე რომ შეიქმნა „კარბელაშვილობის“ ფენომენი, რომელიც ჩემი ღრმა რწმენით, ისეთივე საშიში მოვლენაა, როგორც „ვარლამობა“ („მონანიება“) ან „ბარნაბიშვილობა“ („თეთრი ცხენი“).

თქვენი სწორედაც „ვარლამური“ ანტიადამიანური, ანტიმეცნიერული წერილის გარჩევას დღეს მე არ ვაპირებ, 1987 წლის 3 აპრილის „ლ. ს.“-ში მე თქვენ გაგეცით ამომწურავი პასუხი, — „თეთრის ისე წარმოგიდგენენ, როგორც შავს“, — რომელიც შემდგომ ჩემს წიგნშიც შევიტანე, მაგრამ ამჯერად, თავს ვალდებულად ვრაცხ, თქვენი თაღლითობის (რამეთუ სხვა სიტყვა, სამწუხაროდ, აქ არ ესადაგება) დასტურად თქვენი წერილიდან კი არ „მოვიხმო“ (რამეთუ მოხმობა შეიძლება მხოლოდ ცოცხალი არსებისა! — გ. ქ.), როგორადაც თქვენ გიწერიათ, არამედ მოვიტანო ერთი ადგილი:

„ან, იქნებ, გ. კარბელაშვილს იმ საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტებებით, „ოკრობოკროდ“ ქართულით რომ გადმოგვცემს, სურს დაგვნიოს მკითხველი? თუნდაც ეს ადგილი მოვიხმოთ: „ამ რიგზედ დაყენებული სწავლება ენებისა მოზარდ თაობას შემოქმედებით (!) ძალასაც გაუძლიერებს... შედარებითს ნიჭსაც უვარჯიშებს (ერთი მითხარით, რას ნიშნავს შედარებითი ნიჭი?!— ე. ჯ.) რადგან ყოველ ნაბიჯზე უცხო ენას ადარებინებს დედაენასთან და უხსნის (ვინ ან რა? — ე. ჯ.) მათ შორის მსგავსებასა და განსხვავებასა, ენის ბუნებას ღრმად შეათვისებინებს და ორივეს მეტყველებას მიანიჭებს“ (რომელ ორივეს? — ე. ჯ.), მაგრამ ამგვარი „მარგალიტები“, უხვად რომ არის მიმოფანტული წერილის შესავალში, სასხვათაშორისოდ არის ნათქვამი და ჩვენც ნუ ჩავეძიებით მათ“.

არ გნებავთ ჩაძიება, სიმართლის გაურბიხართ?! შეგარცხვინეთ თქვენი პროფესორობაც, თქვენი „მოხმობაც“, თქვენი „ნათქვამიც“, თქვენი თურქოლოგობაც, თქვენი ქართველობაც, თქვენ მეცნიერი და მწერალი კი არა, ის ხულიგანი ბრძანდებით, რომელიც **„კარბელაშვილობის საფარით მახინჯურად „მოიხმობთ“ დიდი იაკობ გოგებაშვილის ციტატას, ანაფლეთებთ, მომაწერთ მე და ჩემი „შირმით“ ანტიქართულად შეურაცხყოფთ „დედა ენის“ ავტორს, ყველა ქართველის მამასა და მოძღვართ-მოძღვარს! აი, ჩემი წერილიდან რომელი ადგილი ამოგიგლეჯიათ, „ინტერნაციონალიზმით“ მოამაყე ელიზბარ, რათა ჩემს სახელს ამოფარებულს „ოკრობოკროდ“ გაგელანძღათ დიდი იაკობი. აი, ის ადგილი ჩემი წერილიდან: „კიდევ ერთხელ გავიხსენოთ დედაენისა და ქართული პედაგოგიკის მეკვლის, დიდი იაკობ გოგებაშვილის ბრძნული მოსაზრება: „...რაც შეეხება კერძოდ რუსულ ენასა, ჩვენთვის, ქართველებისათვის, მას მრავალგვარი მნიშვნელობა აქვს... მეორედ. იგი კულტურული ენაა, (ი. გოგებაშვილის ამ აზრს პატ. ე. ჯაველიძე შემდეგ კომენტარს უკეთებს: „რისთვის დასჭირდა გ. კარბელაშვილს ამ საყოველთაო ჭეშმარიტებებზე“ ასეთი გაუთავებელი მსჯელობა?! ნუთუ მხოლოდ იმისათვის, რომ ამჯერადაც ახალ-ახალი „აღმოჩენებით“ გაეოცებინა მკითხველები?! ასე, მაგალითად: გ. კარბელაშვილის აზრით, (მომაწერს მე იაკობ გოგებაშვილის აზრს — გ. ქ.), რუსული კულტურული ენაა (!), რომლის დახმარებით ვითვისებთ ევროპულს (!) განათლებას“... კი მაგრამ დღეს, განა არსებობს „კულტურული ენები“, ანდა რას ნიშნავს, საერთოდ, ამგვარი გამიჯვნა. ასე ხომ რასიზმის აღიარებამდე დავალთ!“** (აი, ნიმუში „მეცნიერის“, „მწერლის“ უწიგნურობისა, უბადრუკობისა, ქართულის უცოდინრობისა, ესოდენი თავმომწონეობითა და „მარქსისტული“ პროვოკატორობით რომ ავლენს ე. ჯაველიძე, რომელიც წერილის ამ მცირე მონაკვეთშიც კი ესოდენ ნათლად წარმოჩინდება წერა-კითხვის უცოდინრად, დიდი იაკობის „კომუნისტური პოზიციიდან „განქიქებლად“, თუ აღარ ვიტყვით მთელი წერილის შესახებ, რომლის დამწერს არათუ დოქტორობა, უმაღლეს სასწავლებელში მიღებაც კი არ ეკუთვნის — გ. ქ.), **„და რომელსაც მიუცილებლად მთელის მნიშვნელობა ერთის მხრივ [illegible] ენისა; მესამედ, იგი არის ენა ხალხისა, რომლის ბედთან, ისტორიამ დააკავშირა ბედი საქართველოსი. ამიტომ რუსული ენა უნდა მიუცილებლად მისდევდეს ქართულ ენას, როგორც სკოლაში, ისე სახლობაში და ქართველნი უნდა ვცდილობდეთ სრულიად შევითვისოთ ეს ენა და მისი ლიტერატურა... რუსული ენის შეთვისება არამც თუ არ ავნებს ქართულ ენას, არამედ ძლიერ დაეხმარება მის წარმატებასა და აყვავებას. ამ რიგზედ დაყენებული სწავლება ენებისა მოზარდ თაობას შემოქმედებითს ძალასაც გაუძლიერებს, ენის ალღოსაც განუვითარებს, მეხსიერებასაც განუმტკიცებს, შედარებითს ნიჭსაც უვარჯიშებს, რადგან ყოველ ნაბიჯზე უცხო ენას ადარებინებს დედა-ენასთან და უხსნის მათ შორის მსგავსებასა და განსხვავებასა, ენის ბუნებას ღრმად შეათვისებინებს და ორივეს მეტყველებას მიანიჭებს“.**

დიახ, თუნდაც იაკობ გოგებაშვილის მიმართ ჩატარებული ამ ანტიქართული აქციისათვის თქვენ ჯერ უნდა ინათხოვროთ ნამუსის ქუდი, მერე დაიხუროთ და თქვენი „ნებსით“ წახვიდეთ რედაქციიდანაცა და ყველა „საპატიო“ პოსტიდან, სანამ სხვას არ დაუთხოვნიხართ.

აკი აჰწერდი, მწერალთა კავშირში სამართალს ნუ ეძებთო. ეხლა ისიც უნდა განვაცხადო, რომ იქ ცოდნის მხრივაც ვერ ყოფილა საქმე კარგად, თორემ იაკობ გოგებაშვილისადმი თაღლითურად მოვარჯიშე ე. ჯაველიძეს როგორ „აღამაღლებდნენ“ 1988 წლის 25 თებერვალს, როგორ დაამტკიცებდნენ პრეზიდიუმის წევრად და თავს ნებას როგორ მისცემდნენ, მოეწყოთ ჩემი, მიმართ ბლიც-ლინჩი აზრის გამოთქმისათვის?

იმიტომაც იყო პატ. ელიზბარ, რომ თქვენ იმ დღეს დიდი პატივით შეგიყვანეს პრეზიდიუმში და პირველი სიტყვა გიბოძეს (საქ. კპ ცკ-ის მდივნის შემდეგ, რომელიც საგანგებოდ მობრძანდა ჩემს წინააღმდეგ მწერალთა დასარაზმად, ჩემთან ანგარიშის გასასწორებლად), მერე კი თქვენივე ხელით დაწერილი, თავიდან ბოლომდე სიცრუით გაჟღენთილი ინფორმაცია გამოაქვეყნებინეთ თქვენსავე გაზეთში.

1. საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის დადგენილებაში („ლ. ს.“ 1988 წლის 4 მარტი) სიცრუე იმით იწყება, რომ ჩემი წერილის გამოქვეყნების თარიღად წერია „1988 წლის 18 თებერვალი“, სინამდვილეში კი წერილი გამოქვეყნდა 17 თებერვალს, ეს იმისათვის დაგჭირდათ, პატ. ელიზბარ, რომ „ლ. ს.“-ს მკითხველს, თუკი ის დაინტერესდებოდა, ჩემი წერილისათვის ვეღარ მიეგნო.

2. მომდევნო ტყუილი ის არის, რომ ჩემს წერილში არც ერთი სიტყვა, არც ერთი მოსაზრება თუ დებულება „ცილისმწამებლური და ანტისაზოგადოებრივი“ არ არის.

3. დიახაც, აღშფოთებულია თქვენეული პუბლიკაციის დანარჩენი მოსაზრებებიც: „ჩვენი შემოქმედებითი ატმოსფეროს შეურაცხმყოფელი პუბლიკაცია“... პრეზიდიუმმა ის განცხადება რატომ არ ჩათვალა „შეურაცხმყოფლად“, რომელიც საქ. კპ ცკ-ის პლენუმზე გაკეთდა — „მწერალთა კავშირის მდივანთა კავშირს ეძახიან“-ო?! „აღშფოთებულია მთელი საზოგადოება“ — მიჩქმალულია როგორი ორგანიზაცია უკეთდებოდა ამ „აღშფოთებას“, როგორ დარბოდნენ გზირები მანქანებით დღედაღამ, როგორ აწერინებდნენ ხელს კოლექტიურ წერილზე წინასწარ, „თადარიგიანად“, სინამდვილეში კი უთადარიგოდ რომ იყო გამზადებული, **რამდენმა მწერალმა და ვინ თქვა კატეგორიული უარი ამ ანტიჰუმანურ-პარტიულ ღონისძიებაში მონაწილეობაზე?**

4. „ჩირქს სცხებს მთელ **ჩვენს ქართულ საბჭოთა მწერლობას“** — ესეც თქვენეული ანუ „საბჭოური“ ტყუილია, თორემ ის **„ქართული საბჭოთა მწერლობა“**, ზოგ-ზოგის აქციებს რომ იცავს, ხოლო გალაკტიონ ტაბიძის „ქურდად“ და უვარგის პოეტად გამომცხადებელსა და მხარმდგომს უპატრონოდ ხმას არ სცემს, განა ქვეყანამ არ იცის? ანდა, სად არის ის **„ქართული საბჭოთა მწერლობა“**, როცა გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ალექსანდრე ჭავჭავაძის მიწასთან გასწორებას ცდილობენ საქვეყნო პუბლიკაციებით?!

5. ეს პროვოკაციაც თქვენი ნახელავია: „რაც ყველაზე უფრო აღმაშფოთებელია, გ. კარბელაშვილი მიზანსწრაფულად, უფრო სწორად (აბა, ჰე, პატ. ელიზბარ, იქნებ „გაასწოროთ?!“ — გ. ქ.), — შეუწყნარებელი მეთოდებით ძირს უთხრის ქართველი და რუსი მწერლების ოდიდგან გამომდინარე კი ქართველი და რუსი ხალხების მეგობრობას“... **მე არ ვცნობ ქართველი და რუსი მწერლების ისეთ მეგობრობას“, როგორიცაა, მაგალითად, ე. ევტუშენკოს მიმართ აქვს გამხელი ზოგიერთ ხალხის დოვლათის გამნიავებელ და ქურდბაცაცა „მამულიშვილს“, რომელთა მხარდგომითაც ე. ევტუშენკოს აუგის ზღაპრული სასახლე გულრიფშში, მაშინ, როცა მოსკოვში მცხოვრები ერთი მამულიშვილი, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ლამის ჯვარს აცვამს ჩვენს ზღვისპირეთში მეორე აგარაკისათვის, ხოლო ე. ევტუშენკოს მერამდენე აგარაკიც აუგის, ეს კიდევ გასარკვევია, „მეგობრობის წესით“. ცნობილია აგრეთვე, ქართველ მწერლების ხარჯზე ზოგ-ზოგმა „მეგობარმა“ წიგნის გამოცემაც რომ „ჩაუწყო“ იმავე „მეგობრობის წესით“... თვითმფრინავების „ზაგაერის“ შოშა-წონაც „მეგობრულად“ რომ დაკარგეს...**

მე რუსი მწერლებისადმი მეგობრობა სხვარიგად მესმის, თუნდაც, აი, ესე: ვთარგმნე ა. ტოლსტოის „პეტრე პირველი“ (მეორე და მესამე წიგნი), „ინჟინერ გარინის ჰიპერბოლოიდი“ „[illegible]“, ლ. ლეონოვის „რუსული ტყე“, „ქურდი“, მაგრამ არც [illegible] ტოლსტოის მემკვიდრეობა მირბენია, არცა ლეონოვს მივძალებივარ რაიმის სათხოვრად, ჩვენი მიმოწერა კი [illegible] მწერალს შეშურდებოდა. კიდევ მეტი. ჩემი რომანი „მგზნებარებით ჩაფერფლილი გულები“ თანაბრად გაითავისა როგორც ქართველმა, ისე რუსმა მკითხველმა.

მეტიც, პატ. ელიზბარ, თქვენს მიერ ჩემი გალანძღვის მიზეზიც სწორედ ქართველი და რუსი ხალხების მეგობრობისათვის ჩემეული ზრუნვაც არის. ვისაც ჩემი რომანი „[illegible]“ წაუკითხავს და [illegible] სახე ახსოვს, ანდა, „კომსომოლსკაია პრავდასა“ და „ლიტერატურნაია გაზეტაში“ ამ რომანის გამო დაბეჭდილი რეცენზიები წაუკითხავს, ის ზემოხსენებულ ჯაველიძისეულ ნაკალმარს ნამდვილად აღიარებს დასაგმობ ანგარიშსწორების, სოფისტიკისა და ცილისწამების ნიმუშად.

6. ცუდი გაზეთის ცუდი რედაქტორი... იმისათვის, რომ გაზეთი შეაფასოთ, ზედმიწევნით უნდა იცოდეთ გაზეთის მიზნები და დანიშნულება, ძირითადი მკითხველის შემადგენლობა, ინტელექტი, მოთხოვნილება, გაზეთის წაკითხვა უნდა შეგეძლოთ უცხოეთში, საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები ადამიანის თვალით და სულით. ჩემი რედაქტორობის 17-წლიან პერიოდში არ ყოფილა შემთხვევა, რომ უცხოეთიდან ერთი ბარათი მაინც მოსულიყოს „სამშობლოს“ მიმართ რაიმე სერიოზული პრეტენზიის გამომხატველი, სამაგიეროდ მოდის უთვალავი მადლობა და სიყვარულის წერილი, რომელთა მცირე ნაწილს ვაქვეყნებთ. თუკი ხსენებულს მივუმატებთ იმასაც, რომ თვეში ორჯერ გამომავალ გაზეთს თითოეულ ნომერზე მხოლოდ 200 მანეთი ჰონორარი აქვს და შემოქმედებითი მუშაკის ოთხი საშტატო ერთეული გააჩნია, ერთი კორექტორი ჰყავს და ბუნებრივია, არ ჰყავს საკუთარი დამკაბადონებელი, ლინოტიპისტი, მაშინ ისეთი მდიდარი გაზეთის რედაქტორი, როგორიც „ლ. ს.“-ია თავისი 16000-მანეთიანი ჰონორარითა და ვეება შტატით, თავს ნებას არ უნდა აძლევდეს, კადნიერი ქედმაღლობისათვის. დიახ, „სამშობლო“ „სოიუზპეჩატის“ კატალოგში არ არის, ის თავისუფლად არ იყიდება, ის მხოლოდ უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთათვის გამოდის. თუკი გარკვეული რაოდენობა ჩვენშიც ვრცელდება, ეს გამოწვეულია მხოლოდ გაზეთისადმი [illegible] ინტერესით, [illegible]

გაგრძელება მე-2 გვ.

---

1. ამ წერილის დაწერის თარიღიდანაც (ე. ი. 1988 წლის მარტი). ჩანს, რომ მაშინ, ყოველს განაგებდა საქ. კპ ცკ-ის სამდივნო.

სახელმწიფო შემნახველი ბანკი
საქართველოს უდიდესი კომერციული ბანკია.

მისი განყოფილებები და ფილიალები განლაგებულია ყველა ქალაქში, რაიონსა და ათასზე მეტ სოფელში.

ბანკი აწარმოებს თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტით შემდეგი სახის ანაბრების მიღებას:

1) მოთხოვნამდე — დარიცხვება წლიური 3 პროცენტი
2) წარმომდგენზე — დარიცხვება წლიური 3 პროცენტი
3) ვადიანი:
   ა) ერთი წლით დარიცხვება წლიური 5 პროცენტი
   ბ) სამი წლით დარიცხვება წლიური 7 პროცენტი
   გ) ხუთი წლით დარიცხვება წლიური 9 პროცენტი

ეს საპროცენტო განაკვეთები უფრო მაღალია, ვიდრე საერთაშორისო საბანკო პრაქტიკაშია მიღებული და მათი გარანტირებული გაცემა ხელეწიფებათ მხოლოდ დიდ საბანკო სისტემებს.

დღევანდელი მწვავე ეკონომიკური კრიზისის და მზარდი ინფლაციის პირობებში სავალუტო ანაბრებში სახსრების განთავსება თქვენი და თქვენი ოჯახის კეთილდღეობის საწინდარია.

ხუთწლიან ანაბარზე თქვენს მიერ შეტანილი ვალუტა რვა წელიწადში გაორმაგდება, მომდევნო ხუთ წელიწადში სამჯერ გაიზრდება, კიდევ სამი წლის შემდეგ კი ყოველი თქვენი დოლარი თითქმის 4 დოლარად გადაიქცევა და ასე შემდეგ, მუდმივად მზარდი ინტენსიობით.

იზრუნეთ თქვენი შვილებისა და შვილიშვილების მომავალზე!

შემნახველი ბანკისაგან გარანტირებულია სავალუტო სახსრების დაცულობა, ანაბრების საიდუმლოება და მათი გაცემა პირველი მოთხოვნისთანავე.

გახსოვდეთ!

საბაზრო ეკონომიკის პირობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გამოცდილი და საიმედო პარტნიორის მოძებნას. თქვენ მეტად არ გჭირდებათ, შემნახველი ბანკი თქვენი უმჯობესი, ნაცადი პარტნიორი და მესაიდუმლეა.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ შემნახველი ბანკის გამგეობას მისამართზე:
ქ. თბილისი, უზნაძის ქ. №37, ტელეფონები: 95-57-01, 99-95-62 და შემნახველი ბანკის განყოფილებებსა და სამმართველოებს: თბილისში, ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, რუსთავში, ფოთში, გორში, კასპში, ქობულეთსა და ახალციხეში.

სისხლი აფხაზეთში მებრძოლთათვის

— **გორის** დამოუკიდებელი პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებმა, — თქვა ინსტიტუტის რექტორმა დოცენტმა **ანზორ კაპანაძემ**, — მოწოდებით მიმართეს რესპუბლიკის სტუდენტ-ახალგაზრდობას — გაიღონ სისხლი აფხაზეთში მებრძოლი ჩვენი ბიჭებისათვის.

ამ დღეებში ისინი კოლექტიურად ეწვივნენ გორის სისხლის გადასხმის სადგურს. 15 სტუდენტმა 3 ლიტრი სისხლი ჩააბარა.

მაგრამ იმათ შორის, ვინც ეს დღეებია ქალაქის ჰემატოლოგიებს ეკითხებიან, მარტო სტუდენტობა როდია. სისხლის გადასხმის სადგურებში მეკონსერვეთა 24-კაციანი ჯგუფი მივიდა საკონსერვო ქარხნის დირექტორის მარინე ჭიტიაშვილის თაოსნობით. მათ ხუთი ლიტრი სისხლი გაიღეს.

გორის სახელმწიფო ეკონომიკური ინსტიტუტის სტუდენტებმა — 4 ლიტრი, ქალაქის წისქვილკომბინატის მუშა-მოსამსახურეებმა — 5 ლიტრი სისხლი.

სისხლის ჩასაბარებლად სადგურში ცალკეული მოქალაქეებიც მიდიან. უკანასკნელ ხანებში აქ 50-ზე მეტი კაცი მოვიდა, მათ მიერ გაღებულმა სისხლმა 10 ლიტრი შეადგინა.

„ჩვენ, გორელი რუსები“...

— **საქართველოში** მცხოვრებ რუსებს თუკი ვინმე აშინებს და მოსვენებას უკარგავს, — ეს რუსეთის პარლამენტსა და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსში მოკალათებული რეაქციული ელემენტები არიან, — თქვა ქ. გორის მე-6 საშუალო სკოლის პედაგოგმა ლუდმილა ჩაპკინამ სახალხო ფრონტის გორის რეგიონული ორგანიზაციის საქტო დარბაზში გამართული რუსი ეროვნების გორელთა საქალაქო შეკრებაზე, რომელიც ახლახან გაიმართა.

— სახალხო ფრონტის ადგილობრივ ორგანიზაციაში ათასობით რუსი ეროვნების ჩვენი თანამოქალაქეცაა გაერთიანებული — თქვა ამ ორგანიზაციის თავმჯდომარემ რეზო ოქრუაშვილმა, — უკანასკნელ ხანებში რუსეთის მაღალი ჩინის სამხედროების პროვოკაციულმა განცხადებებმა, თითქოს, საქართველოში რუსებს სდევნიან და ავიწროებენ, გორელი რუსული საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია.

საქალაქო შეკრებაზე გამოსულებმა ომისა და შრომის ვეტერანმა ნინა ბელურინამ, ინჟინერმა დიმიტრი ტიტოვმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტმა ანატოლი ტელეგინმა და სხვებმა დაგმეს აგრესორი გენერლების გამოხდომები, თქვეს, რომ საქართველოში მცხოვრები რუსები, რომლებიც თავის თავს ამ ქვეყნის ღვიძლ შვილებად თვლიან, მთელ თავის ძალ-ღონეს, ცოდნასა და გამოცდილებას კვლავაც მოახმარენ საქართველოს ძლიერებას, მისი ეკონომიკისა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას. არ არსებობს ძალა, — ითქვა კრებაზე, რომელიც ქართველებსა და რუსებს ერთმანეთს დაუპირისპირებს.

საქალაქო კრების მონაწილეებმა წერილი გაუგზავნეს რუსეთის პრეზიდენტს ბორის ელცინს.

შორია სამაჩაბლომდე?

სამაჩაბლოში წელს უკვე მესამე გაზაფხული დადგა, რაც იქიდან ქართველობა აჰყარეს და გამორეკეს. რა ყოფაშიც დღეს დიდი და პატარა ლიახვი, ქართული სოფლებია ჩავარდნილი, ყველამ იცით, მაგრამ უკეთეს დღეში არც ცხინვალიდან გამოდევნილი ქართველობაა. ისინი უპირატესად ქ. გორმა, გორისა და ქარელის რაიონებმა შეიხიზნეს. ამჟამად, ლტოლვილები სასტუმროებში, საერთო საცხოვრებლებში, ტურბაზებში, პროფტექნიკურ სასწავლებლებში ცხოვრობენ და უსაშველოდ გაჭირვებულნი იმედის ძაფი რომ ოდესმე თავის ისტორიულ საცხოვრისში დაბრუნდებიან, ხელში ადნებათ.

ცხინვალში კი ბრუნდებიან მხოლოდ ერთი— ოსი ეროვნების ლტოლვილები ჩრდილოეთ კავკასიიდან. ცხინვალის ყოფილ მოქალაქეებთან ერთად ვლადიკავკაზიდან ისეთი ხალხიც ბრუნდება, თავის დღეში ცხინვალი და, საქართველო თვალით რომ არ უნახავს. დიდი მიხვედრა არ სჭირდება: სურთ შექმნან, ოსებით მჭიდროდ დასახლებული ქალაქ-სოფლები, რათა მეტი არგუმენტაცია შესძინონ გამოგონილ თეორიას იმის შესახებ, თითქოს კავკასიონის ქედის სამხრეთის კალთები მათი ისტორიული სამშობლოა.

და მაინც:

— ქართველი ლტოლვილები როდისღა დაბრუნდებიან ცხინვალში?

— წლევანდელი წელი იმედიანად მესახება, — მითხრა საქართველოს რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვის და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარემ სანდრო კავსაძემ, რომელსაც ამ დღეებში გორში შევხვდი, — ეგეც არ იყოს, ნუ დავაკნინებთ იმის მნიშვნელობას, რომ დღეს ცხინვალში აღარ ისვრიან, რომ აღარ იღვრება ქართველთა და ოსთა სისხლი. სამშვიდობო ძალების შეყვანამაც, თქმა არ უნდა, თავისი პოზიტიური როლი შეასრულა. აფხაზეთის ამბებმა, შესაძლოა, ოდნავ შეანელა სამაჩაბლოსადმი ჩვენი ყურადღება, მაგრამ არამც-თუ-არამც იგი მეორე პლანზე არ გადაგვიტანია. ღონისძიებას მაქსიმალური ძალისხმევით ვცდილობთ დავიცვათ სამაჩაბლოში ყველა ლტოლვილის ინტერესები.

ამავე დღის კომიტეტი, თავმჯდომარე თავის მოადგილეებთან, რესპუბლიკის ზოგიერთი სამინისტროს ხელმძღვანელ მუშაკებთან ერთად ქ. ცხინვალის ადმინისტრაციასთან რიგი პრაქტიკული საკითხების მოსაგვარებლად ცხინვალს გაემგზავრა.

გურამ ვაშაკიძე.

თუ საჯაროობაა, საჯაროობა იყოს!

(დასასრული)

დაქციას გააჩნია უამრავი [illegible]ლობითი მოთხოვნა, რაზეც უარის თქმა ჟურნალისთვის არ ძალუძს. და მაინც, მიუხედავად შეზღუდული ჰონორარისა, საკმარისია, უბრალოდ, თვალი გადაევლოს გაზეთის ავტორთა კოლექტივს, რომ **ყველა ნორმალური მოქალაქისათვის** ნათელი გახდეს, მათი მაღალი დონე და ღრმა ინტელექტი, რითაც სწორედ შექმნილია გაზეთის ავტორიტეტი, ხოლო საქმეში ჩაუხედავი „რევიზორის" ნებისმიერ კონკრეტულ შენიშვნას კონკრეტულ პასუხს გავცემთ როგორც შემოქმედებითი, ისე იდეოლოგიური პოზიციებიდან.

5. აი, თქვენი ხელით დაწერილი კიდევ ერთი აბსურდული ტყუილი: „მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობის თხოვნის მიუხედავად გ. კარბელაშვილი არ დასწრებია გამგეობის პრეზიდიუმის სხდომას, გააფორმა შვებულება და თავი აარიდა სხდომაზე გამოცხადებას". არ არსებობს ჩვეულნად მწერალთა კავშირის არათუ ხელმძღვანელი, არამედ, თუნდ ერთი თანამშრომელი, რომელსაც ჩემთვის ეთხოვოს პრეზიდიუმის სხდომაზე დასწრება, ან საერთოდ, დამლაპარაკებოდეს იმ დღეებში, გასაიდუმლოებული პრეზიდიუმის სხდომის ამბავი მე გავიგე მხოლოდ ა. წ. 25 თებერვლის დაახლოებით 2 საათზე, როცა მოსკოვიდან მეგობრის საშუალებით დავუკავშირდი ბ-ნ ხ. ბერულავას.

საქმე ის არის, რომ 17 წლის განმავლობაში მე შვებულებით ვისარგებლე მხოლოდ 5-ჯერ, რაც ინტენსიური ლიტერატურული მუშაობისათვის გამოვიყენე და ამჟამინდელ შვებულებამდე არ ყოფილა შემთხვევა (ერთის გარდა), რომ გაზეთი ჩემი ხელმოწერის გარეშე გამოსულიყოს. როგორც წესი, დიდი ხანია თავს ვარიდებ ყოველგვარ „შემაკავშირებელ" ღრეობებსა თუ სტუმრიანობას, სათოფეზე არ ვეკარები ხალხის ხარჯზე გაწყობილ ლოთობებს. მქონდა მძიმე ცხოვრება იმ „მადლიან", პომპეზურ მოვლენებთან პრინციპული ბრძოლის გამო, რომლითაც გამორჩეული იყო ხრუშჩოვისა და ბრეჟნევის ზარზეიმით „გაბედნიერების" პერიოდი, ყალბი მონაცვლეობით გამართული დროშობამანია და მოჩვენებითი „წარმატებები", რის გამოც, 17 წლის განმავლობაში სამი უმაღლესი განათლებისა და ორი დიპლომის მქონე ახალგაზრდა კაცს შრო-[illegible] მიმაგრებული [illegible] ხელმძღვანელობასთან არსებულ პარტორგანიზაციაში დიასახლისებთან და ინვალიდებთან ერთად. **სხვა მედროვე მეტაშეთაგან განსხვავებით,** მე წლების განმავლობაში ვებრძოდი ე. წ. ნეგატიურ მოვლენებს როგორც მოქალაქე, მწერალი და კომუნისტი, რისი დასტურიც არის თუნდაც 60-70 წლების პრესაში გამოქვეყნებული ჩემი ნოველები და მოთხრობები. იმავე პერიოდში ვწერდი მძიმე ლიტერატურულ შრომას, რის გამოც 1962 წელს მიმიღეს მწერალთა კავშირში. ვირწმუნე რა დღევანდელი დემოკრატიზაციისა და საჯაროობის მაცოცხლებელი არსი, **ორი წლის წინათ ვცადე საჯაროდ გამოვსულიყავი იმ ორპირობისა და ფლიდობის წინააღმდეგ, რამაც პარტიას მიტმასნებული, ხელზე მიჩვეული ნომენკლატურული მწერლები ჩემს წინააღმდეგ დარაზმა უშუალოდ ცკ-ის ხელმძღვანელთა თაოსნობით.**

17 თებერვალს „თბილისში" ჩემი წერილი რომ გამოქვეყნდა და ტელეფონით გაუწყვეტლივ მეუბნებოდნენ მადლობას ნაცნობები თუ უცნობები, შიგა და შიგ გაისმოდა ანონიმური მუქარაც ჩემი ფიზიკურად მოსპობის შესახებ. ხოლო 19 თებერვალს „ლ. ს."-ში გამოქვეყნებული პატ. ჯაველიძის წერილის, ტელევიზორში პროვოკაციული გამოსვლისა თუ „კომუნისტში" ყოვლად უსამართლო კოლექტიური წერილის დასტამბვის შემდეგ დავრწმუნდი, რომ ჩაფიქრებული იყო ორგანიზებული ბლიცკრიგით ჩემი მორალური და ფიზიკური მოსპობა, იმადაც განვიზრახე, რომ 1988 წ. 19 თებერვალს (პარასკევი) გაფორმებული შვებულება, კვლავაც ლიტერატურული სამუშაოსთვის რომ მქონდა გამიზნული ქალაქიდან გაუსვლელად, გამომეყენებინა სამკურნალოდ, იმიტომაც მოხდა რომ, უკვე 21 თებერვალს (კვირა), მატარებლით გავემგზავრე ადლერს, საიდანაც 22 თებერვალს (ორშაბათი) გავფრინდი მოსკოვში (ბილეთები შენახული მაქვს). დიახ, ხ. ბერულავას შეკითხვაზე, რომელიც მან ტელეფონით მომცა 25 თებერვალს, ხუთშაბათს, სხდომის დაწყების წინ. უკვე მოსკოვში მყოფს — იქნებ სჯობდეს, რომ დაესწრო პრეზიდიუმს? მე ირონიულად ვუპასუხე: არ მინდა და არ დავესწრები, ხოლო ჩემს მაგივრად გადაეცი ყველას, რომ სისულელე არ ჩაიდინონ და ანტიეროვნულ, ანტიკავკასიურ მოწოდებას ხელის აწევით კვერი არ დაუკრან-მეთქი, თორემ ყარაბაღსა და სუმგაითში რაღაც უბედურება ხდება და მაგნაირი ლოზუნგებით გაბრიყვებულმა ადამიანებმა შეიძლება თქვენი იმდენიც იქონიონ და შემზარავი სისხლისღვრით საქართველოშიც აიშალონ-მეთქი.. ისიც მივუნიშნე, რომ ღმერთმა დაიფაროს და ავი მოწოდებები რომ აღსრულდის, კომუნისტის წყალობით, თბილისს სპარსულ ქალაქად რომ აღნიშნავენ რუკაზე, შაჰ-აბაზის ჟამიანობა სანატრელი გახდებოდა და თვით საქართველოში სუმგაითსა და ყარაბაღზე უარესი სისხლისღვრა არ იქნება-მეთქი გამორიცხული. ყოველივე ამის შემდეგ პატ. ე. ჯაველიძემ დრო იხელთა და... „თავისი არიელის" მისთვის ჩვეული თაღლითური „ვერსია" შეთითხნა...

6. ყველაზე მთავარი კი მაინც ერთი რამ არის — „ლ. ს."-ში, „კომუნისტსა" და „თბილისში" გამოქვეყნებულ სალანძღავ წერილებში არაფერი თქმულა ჩემს მიერ წამოყენებულ ბრალდებათა გამო, გარდა ზოგადი ლანძღვა-გინებისა...

და ბოლოს. რამ გამოიწვია ცკ-ს მიერ მოწონებული პრეზიდიუმის არნახული ერთსულოვნება? სამწუხაროდ, იმ გრძნობებმა, რომელსაც სათავეში უდგას „შიში", ანუ „ვაითუ"... იმ „შიშმა", რომლითაც თავის დროზე საქართველოს მწერალთა კავშირის მაშინდელმა პრეზიდიუმმა უსინდისოდ, არაადამიანურად, ანტიეროვნულად გასწირეს მიხეილ ჯავახიშვილი და ტიციან ტაბიძე, სიცოცხლე მოუსწრაფეს გალაკტიონ ტაბიძეს, სული მოუწამლეს იოსებ ნონეშვილს, არ დაინდეს ლევან გოთუა, თავი მოაკვლევინეს პაოლო იაშვილს, კარიერისტული ობსტრუქცია მოუწყვეს შოთა ნიშნიანიძეს, მოჰანცეს მრავალი ნიჭიერი მწერალი, არ დაგმეს დიდი გალაკტიონის ქურდად გამომცხადებლები, დაინდეს თეიმურაზ პირველის, დიდი წერეთლის, გრიგოლ ორბელიანის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის შეურაცხმყოფლები...

რამ გაუერთიანა პრეზიდიუმი ისე, როგორც არასდროს! ძველმა, დღეს უკვე საქვეყნოდ დასაგმობმა, მაგრამ ჯერაც დაუძლეველმა ტრადიციებმა. მწერლებისათვის არსებობს ჩვეულნად პრობლემები — წიგნის გამოცემა, იუბილე, პრემია, „ლიპა" მივლინება, ლაურეატობა, ჯილდო, ბინა, მანქანა, საყუდარი, საღამოები, არჩევნები და სხვა მრავალი, რაც მთავარია, ცკ-ს ხელმძღვანელობისადმი ერთგულების წარმოჩენა (ხუმრობა ხომ არ იყო, ცკ-ს მდივანი პირადად თვითონ მოვიდა ჩემს საწინააღმდეგოდ მწერლების დასარაზმად, რომლის პრეცენდენტიც არასოდეს ყოფილა), საჭირო და „აუცილებელი" კაცისათვის, ანგარიშის გაწევა, თუმცა, იმავე „საჭიროს" მისივე რაიონმა ხმა არ მისცა, დეპუტატად არ აირჩია, ხოლო მწერლების უმრავლესობამ ხმის მიცემის საიდუმლოების გარანტიით მწერლების რიგით ხელმძღვანელობაზეც უარი უთხრა.

1988 წლის 9 მარტი.

P.S. პატ. ე. ჯაველიძემ, რასაკვირველია, ჩემი რჩევა ნამუსის ქუდის შესახებ ახლოს არ გაიკარა, პროტექტორების მიერ შეპირებული „აკადემიკოსობისათვის" **დევნაში სასწრაფოდ გამოსცა 2 „ფუნდამენტური ნაშრომი" ყოველგვარი აუგისა და რედაქტორების გარეშე: „უკვდავ სულითა" („მერანი", 1989. 8.000 ეგზ), რომელშიც ზემოთ გარჩეული წერილიც შეიტანა, ცვლილებით მიღებულ ჩემს „გაყიდულ" წერილში მოტანილი შენიშვნების მიხედვით, ქურდულად გაასწორა და იაკობ გოგებაშვილისადმი ჩატარებული „მეცნიერული"** აქციები გულმოდგინედ მიჩქმალა, რის შემდეგაც, გამოსცა მეორე წიგნი „თურქული პოეტიკა" („განათლება", 1988. 1000 ეგზ.) არ ვიცი, რა დაუჯდა გამომცემლობებს ამ უაღრესად წამგებიანი წიგნების დასტამბვა, მაგრამ რა საკადემიკოსო და მოქალაქეობრივ-მეცნიერულ ღირსებებსაც წარმოადგენს პირველი წიგნი, უკვე მოვინიშნე ერთი მასალით, რომელზე უარესი მასალებითაც არის შევსებული მთელი მისი „მწერლურ-აკადემიური" ნაშრომი. რაც შეეხება „თურქულ პოეტიკას", საჭიროა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ სიცოცხლეში აწ განსვენებული ცნობილი თურქოლოგი ბ-ნი ოთარ გიგინეიშვილი შეწუხებული იყო პრიმიტიულობით ამ წიგნისა, რაიც პატ. ელიზბარს ნებავს გაასაღოს მეცნიერულ მონოგრაფიად ჰონორარისა და პრესტიჟის აწევის მიზნით, ფაქტიურად კი უნიათოდ შედგენილი ქრესტომათიაა და მის მეცნიერულ მონოგრაფიად აღიარებას აკისრებინებს ბოლნისური წარაფით, ბატკნის მწვადებითა და ხრამულით მრავალგზის ნაქეიფარ მეტაშეებს, დიდა, რა ენახეთ რომ დასცხებენ „პახმელიაზე", ხოლო ლიტერატურის თეორიის ნებისმიერ სპეციალისტს შეაღონებს. ხსენებულის დასტურად მინდა მოვიტანო რამდენიმე მაგალითი. წიგნის 222-ე გვერდზე ე. ჯაველიძე წერს:

„აშიყის მწუხარება, რომელიც სატრფოს განშორებით და გულგრილობით არის გაპირობებული, აღწერილია შემდეგი ლექსიკური ერთეულების მეშვეობით: მაკრატელი, ხანჯალი, ზამთარი, ველი, მოედანი, უდაბნო, ბორკილი, ბოლი, ტვირთი, ნექტარი, ლაშქარი, ყურბანი, კვანძი, კერპი, მტერი, ზღვა, ღამე, ბნელეთი, ცეცხლი, გზა, ხმალი, შუბი, ეკალი; ქვა; მთა, ბაზარი, ჩანგი, ჟანგი, შხამი, თრიაქი, წამალი, აფიონი, მარხვა, ხანი, ნიაღვარი, ღრუბელი, მეგობარი, გალია, ნემრუდის ცეცხლი, ტანჯვა, სანთელი და სხვ.

აშიყის ტანჯვა, რომელსაც არ აქვს დასასრული, შემდეგი შედარება-მეტაფორებით არის გადმოცემული: ისარი, მახვილი, ეკალი, ქვა, ქამანდი, ხელი, ტვირთი, ცეცხლი, იარა; ღამე; საფუძველი, ბუდე, მაკამი, სურათი, კრედიტორი, ცრემლი, ნაწნავი. და სხვ.

აშიყის ყველაზე დიდ წუხილს და ვნებათაღელვას იწვევს მაშუყთან განშორება; რომელიც სპობს და აჩანაგებს მას. აშიყის განცდის აღწერისას აღმოსავლელი პოეტები, მიმართავენ შემდეგ შედარება-მეტაფორებს: უდაბნო, ველი, მთა, ბორკილი, მახე, ხმალი, მახვილი, ისარი; ბრჭყალი, ეკლის ნაკაწრი, მარხვა, ქარი, ცეცხლი, ჯოჯოხეთი, ნაპერწკალი, დალი, ციება, ღამე, განკითხვის ღამე, ნაწნავი, ლაშქარი და სხვ.

აშიყის ერთადერთი ოცნებაა და მიზანი მაშუყთან შეერთებაა, რაც ძალზე ძნელია და თითქმის შეუძლებელია. აშიყის ეს სურვილი შემდეგი ხატებით არის გაცხადებული: წყალი, ანკარა წყალი, შარბათი, შაქარი, ლუკმა, ხმოთხის მესუფრე, ქიმია, ბედნიერება, ფენიქსი, სულეიმანის ბეჭედი, საგანძური, განძი, მარგალიტი..."

ამის მომდევნო 223-ე გვერდზე ე. ჯაველიძე აკეთებს „ახალ თეორიულ აღმოჩენას":

„შედარება (Tes bih) გამოსახვის სტილისტიკური ხერხია, რომელიც ორი საგნის, ცნების თუ მოვლენის, მდგომარეობის ურთიერთშეპირისპირებით იქმნება. ეს შეპირისპირება-შედარება კი დაფუძნებულია გარეგნულ თუ შინაგან ნიშან-თვისებებზე, რომელიც (თუ რომლებიც? — გ. კ.) გარკვეულწილად საერთო აქვს (თუ აქვთ? — გ. კ.) შესადარებელს (აქ ბოლოში „ა" უნდა იყოს — გ. კ.) და შედარებულს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ ხერხით შესადარებელი დახასიათებულია შედარებულის თვისებების გადატანით (აი, „კარგი" ქართულის ნიმუში! — გ. კ.) ანდა, პირიქით, დაპირისპირებით, რაც ერთგვარად აძლიერებს შესადარებლის მხატვრულ-ესთეტიკურ ფუნქციას.

როგორც უკვე ვთქვით, (თუ დავწერეთ? — გ. კ.), შედარების მექანიზმი (?), აგებულია (?), ძირითად, (?) ორ შემადგენელზე (რა საჭიროა „ძირითადთან" ძმობები ანდა „ორ ძირითად შემადგენელზე" ხომ არ უნდოდა დაეწერა? — გ. კ.), ანდა შესადარებელსა და შედარებულზე..."

ვფიქრობ, ე. ჯაველიძე თავისი ბოროტი და უზნეო აქციებით არც ერთი სისხლის სამართლის დამნაშავეს არ ჩამორჩება — ლანძღავს ადამიანებს, საგვარეულოებს, საზოგადოებას, შეურაცხოფს ერს, რის გამოც, მან მკაცრი და სამართლიანი პასუხი უნდა მოეთხოვოს, რამეთუ სამუდამოდ აღიკვეთოს აკადემიის სახნებში ცარიელი „მეცნიერული" პორტფელით შეღწევა და ჭეშმარიტი მეცნიერებისათვის გზის დახშობა, რის გამოც, კარი ეკეტებათ ნამდვილ მეცნიერებსა და მამულიშვილებს, როგორიც გახლდათ თუნდაც პავლე ინგოროყვა ან დღეს გახლავთ დიდი კონსტანტინეს მკვლევარი და სანაქებო მეცნიერი აკაკი გაწერელია, ე. ჯაველიძემ რომ „დაამა" საკუთარ სარედაქციო კოლეგიაში შეუყვანოთ, რითაც თავისი ჭკუით სამეცნიერო გზის გადაკეტვა „აუნაზღაურა".

არავინ შეცდეს: ე. ჯაველიძეს არც ექსპრეზიდენტის, არც საქართველოს ბედი არ ენაღვლება — პირველი მწყალობელისათვის ზურგის ხულიგნური შექცევის შემდეგ ბ-ნ ზვიად გამსახურდიაზე აღებული ორიენტაციის დაკარგვა არ ნებავს, მღვრიე წყლის იმედი აქვს, თორემ ახალ ხელისუფლებას სამომავლოდ მაინც რომ ენუგეშებინა, ის მაშინვე შეიცვლიდა „ღმერთს" ყველა დროის უკარუკარეს წესით.

ბოლოს, დიდი ილიასი არ იყოს, „მხილება არაფრად ეპაშნიკება ავის მქმნელსა" და იმადაც ვიცი, რომ ბ-ნი რედაქტორი თავის რჯულს არ უღალატებს, ათასგვარ „ლათაიებს" მოახვავებს, რის გამოც, ვაცხადებ — ნებისმიერი საინფორმაციო საშუალებებით როგორც პირადად მისგან, ისე მისი თანამზრახველებისგან ჩემს მიმართ რაიმე აქციის ჩატარების შემთხვევაში იგივე ორგანო ვალდებული იქნება, დაუყოვნებლივ გამოაქვეყნოს ჩემი პასუხი.

ერთიც. ქართველნო! დროა გავიხსენოთ დიდი დავითის სიბრძნე: **„აწ რომ ავი არ ვაძაგო, კარგი როგორ უნდა ვაქო? ავს თუ ავი არ უწოდო, კარგს სახელად რა დავარქო?"** დროა გონს მოვეგოთ, ნუ ვკუწავთ საქართველოს, ქვეყნიერების წინაშე თავმოჭრით ნუ ვღვრით ერთმანეთის სისხლს, ნუ ვფლანგავთ ერის სიცოცხლეს, სულში ამოვიგვიროსტოთ დიდი ქართველის დუტუ მეგრელის სათაობოდ დატქმული სიბრძნე: **„ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია და სამეგრელო, — ყველა ჩემი სამშობლოა, საყვარელი საქართველო!"**

გ. კ.

21 მარტი, 1993 წ.



ჟურნალი „ნაკადული" ელის დახმარებას

როცა გასული წლის ერთ-ერთ ნომერში „ნაკადულის" რედაქცია მკითხველს ჟურნალის გამოწერას ურჩევდა, მრავალ სიურპრიზსაც ჰპირდებოდა. ჰმ, მგონი, პირველივე სიურპრიზი ისეთი გამოდგეს, რომ დანარჩენს ვეღარავინ გაეცნოს. საქმე ის გახლავთ, რომ საყმაწვილო ჟურნალს დახურვა დაემუქრა. რა თქმა უნდა, ვხვდებოდით, რომ საბაზრო ეკონომიკა ჩვენს ჟურნალსაც წამოუყენებდა თავის მკაცრ მოთხოვნებს, მაგრამ თუ შეიწირავდა, ნამდვილად არ გვეგონა, და, ალბათ, იმიტომ, რომ, გამომდინარე საბავშვო პრესის, და კერძოდ — ჟურნალ „ნაკადულის" განსაკუთრებული მნიშვნელობა-დანიშნულებიდან და, თუ გნებავთ, დამსახურებიდანაც, გვჯეროდა, რომ ამ ძნელად სავალ, უფრო სწორად კი უვალ გზაზე პირველი ნაბიჯების გადადგმაში მაინც დაგვეხმარებოდნენ.

საბაზრო ეკონომიკა — საბაზრო ეკონომიკად, მაგრამ როგორ ვიფიქრებდით, რომ ლამის საუკუნოვანი ტრადიციების მქონე, უფროსი ასაკის ყმაწვილებისთვის განკუთვნილ ერთადერთ ქართულ ჟურნალს ყოფნა-არყოფნის ჟამი დაუდგებოდა, რომ რესპუბლიკის სათანადო ხელმძღვანელ ორგანოებსა თუ პირებს მხედველობიდან გამორჩებოდათ საყმაწვილო ჟურნალის უდიდესი როლი ჩვენი ბავშვების მამულიშვილებად, მოქალაქეებად ჩამოყალიბებაში, მათი ზნეობის სრულყოფაში, სულის გაფაქიზებაში, და ვერც იმას გაითვალისწინებდნენ, რომ ფერად, ილუსტრირებულ საბავშვო ჟურნალს სხვებზე უფრო მეტად გაუჭირდებოდა ახლანდელ პირობებში არსებობისათვის დამოუკიდებლად ბრძოლა.

ჟურნალ „ნაკადულს" რომ აარსებდნენ, მის მესვეურთ სწამდათ, რომ დიდ ეროვნულ საქმეს აკეთებდნენ და იმედი ჰქონდათ, რომ საბავშვო ჟურნალის სვე-ბედი ყოველი ჭეშმარიტი მამულიშვილის, მთელი ქართველი საზოგადოების ზრუნვისა და ყურადღების საგანი იქნებოდა მუდამ. და აკი არც გასცდენიათ ეს იმედი. ბევრჯერ გასჭირვებია „ნაკადულს", მერე მის მემკვიდრეს „პიონერს", მაგრამ საერთო ზრუნვითა და შეწევნით ჟურნალი ყოველთვის აღორძინებულა და გაუგრძელებია სამშობლოს სამსახური, კვლავაც დარჩენილა ქართველი მოზარდების სულისა და გონების მასაზრდოებელ წყაროდ. იმავე მიზანს ემსახურებოდა „ნაკადული" დღემდე, უფრო სწორად — გუშინდლამდე, დღეს და ხვალ კი... არ ვიცით, რა იქნება დღეს და ხვალ, ეგებ გაგვიჩნდეს, უწერია თუ არა განხორციელება ჩვენს სამომავლო ჩანაფიქრებსა და გეგმებს, ჟურნალის ყოველმხრივ გაუმჯობესება-გამრავალფეროვნებას რომ გულისხმობს.

ცხადია, რედაქციის თანამშრომლები არაფერს დავიშურებთ „ნაკადულის" სიცოცხლის გასახანგრძლივებლად, მაგრამ დაუხმარებლად ნამდვილად ვერაფერს გავხდებით, ხოლო დახმარებას, უწინარეს ყოვლისა, სახელმწიფოსგან ველოდებით.

ჟურნალ „ნაკადულის" რედაქცია.

მგზავრთა გასაჭირი

ბენზინის უქონლობის გამო [illegible] ავტობუსის მოსვლის შემდეგ! — ასეთი „[illegible]" განცხადებით ეგებებიან მგზავრებს ნავთლუღის ავტოსადგურის მესვეურები, რომლებიც რკინიგზის დეპარტამენტის თბილისის სავაჭრო სადგურის ვაგზალში არიან მოკალათებულნი და არავითარ ზომებს არ იღებენ მგზავრთა სამართლიანი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის.

როგორც გაქონილ მუყაოზე წარწერილი „ცნობიდან" ირკვევა ამ სადგურიდან რესპუბლიკის 30-მდე მხვილი დასახლებული პუნქტისაკენ მიემართებიან ავტობუსები. მაგრამ მგზავრი, ბევრიც რომ ეცადოს, მაინც ვერ გაიგებს, თუ სად გაჩერდება ავტობუსი, რომელსაც ბენზინი ექნება და თანაც რეისში წასვლას „მოისურვებს".

ასეთი განუკითხაობა კი იმის შედეგად დამკვიდრდა, რომ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ყოფილმა ხელმძღვანელობამ სადგურის შენობის აგება გადაწყვიტა. ამიტომ ძველი შენობა და დამხმარე ნაგებობანი დაანგრიეს, საშენი მასალაც მოზიდეს და ასაგები სადგურის ეზოში დაალაგეს, მშენებლობის პროექტის შედგენა კი „მხედველობიდან გამორჩათ".

დღესათვის პროექტიც აქვთ და სურვილიც, რომ ახალი კეთილმოწყობილი სადგური ააშენონ, მაგრამ საშენი მასალა, რომელიც წლობით უპატრონოდ იყო მიტოვებული, ბოროტმოქმედებმა დაიტაცეს. განაწამები მგზავრები კი იძულებული არიან რკინიგზის ვაგზლის შენობის მეორე სართულზე მოკალათდნენ, თან „შუამავლები" დაიქირაონ, რომლებიც ავტობუსების მოსვლა-წასვლისა და მგზავრობასთან დაკავშირებული სხვა საკითხების მოგვარებისათვის იზრუნებენ.

ირაკლი ხვედელიძე,
ომისა და შრომის ვეტერანი.

გასტროლები

გერმანელები გვისმენენ

ხანგრძლივი საგასტროლო მოგზაურობიდან სამშობლოში დაბრუნდა საქართველოს რესპუბლიკის კამერული ორკესტრი. საქართველოს მუსიკალურ წრეებში ფართოდ ცნობილი ეს პროფესიული ანსამბლი, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელი და დირიჟორია გიორგი ხახუაძე, ორი კვირის განმავლობაში [illegible] გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ქართული კულტურისა და ხელოვნების [illegible] საზოგადოების მიწვევით.

— გასტროლების ორგანიზაციის იდეა, — უამბობს „საქართველოს რესპუბლიკის" კორესპონდენტს დირიჟორი გიორგი ხახუაძე, — შემოგვთავაზა გამოჩენილმა ქართველმა კომპოზიტორმა გია ყანჩელმა, რომელიც ამ ქვეყანაში ხანგრძლივ შემოქმედებით მივლინებაში იმყოფება და ბრანდენბურგის მხარის კულტურის სამინისტროს ხელოვნების კურატორიუმის წევრია, ბერლინისა და ამ მხარის სხვა ოთხი ქალაქის მუსიკის მოყვარულთა მრავალრიცხოვანი აუდიტორიის წინაშე ორკესტრი წარსდგა არაორდინალური საკონცერტო პროგრამით. საქმე ის არის, რომ მუსიკალური კლასიკის საყოველთაოდ აღიარებულ შედევრებთან ერთად (მაგალითად, ჰენდელის კონცერტი № 6, ჩაიკოვსკის სერენადა სიმებიანი ორკესტრისათვის და სხვა) დახვეწილი გემოვნების და მაღალი მოთხოვნის გერმანელ მსმენელს ჩვენ შევთავაზეთ ახალგაზრდა ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედების თვალსაჩინო ნიმუშები, კერძოდ, ორკესტრმა შეასრულა თბილისის კონსერვატორიის კურსდამთავრებულის ზვიად ბოცვრიაძის „აკმე" და საქართველოდან გერმანიაში სასწავლებლად ჩასულ, ქალაქ ლუბეკის უმაღლესი მუსიკალური სკოლის სტუდენტის რეზო კიკნაძის „ატიფონია".

კამერული ორკესტრის გამოსვლებს ბრანდენბურგის მხარის ხუთივე ქალაქში დიდი წარმატება ხვდა წილად. ამაზე მიუთითებს თუნდაც ის მრავალი ინფორმაცია თუ რეცენზია, რომელიც გასტროლების დღეებში ოპერატიულად ქვეყნდებოდა იქაური პრესის ფურცლებზე, გადაიცემოდა რადიოთი. ნიშანდობლივია, რომ ამ გამოხმაურების დიდ ნაწილს წითელ ზოლად გასდევდა ის აზრი, რომ ფედერაციული რესპუბლიკის მსმენელთა აუდიტორიას თავის მდიდარ საშემსრულებლო ხელოვნებას აცნობდა უძველესი ქართული მუსიკალური კულტურის ერთ-ერთი წარმომადგენელი, იმ ქვეყნის წარგზავნილი, რომელიც მიუხედავად დიდი გასაჭირისა, მტკიცედ დაადგა დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის გზას.

კორესპონდენტთან საუბარში საზღვარგარეთიდან დაბრუნებულმა ორკესტრანტებმა, საქართველოს მუსიკალური საზოგადოების ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ქალბატონმა მანანა ახმეტელმა განსაკუთრებით აღნიშნეს ის დიდი წვლილი გასტროლების წარმატებით ჩატარებაში, რომელიც მიუძღვით ორკესტრის სპონსორს — საქართველო-ჰოლანდიის ერთობლივ საწარმოს „პენტა ლიმიტედს" და მის პრეზიდენტს ბატონ დიმიტრი ყირმელაშვილს, სტუდენტ-კომპოზიტორს რევაზ კიკნაძეს.

შტრიხები თამაზ წივწივაძის პორტრეტისათვის... რომელსაც, ალბათ, სხვა დაასრულებს



ეს წერილი შარშან არ დაწერილა, წელს დაიწერა, ამ წინებზე. წლევანდელმა დიდთოვლობამ მამის საფლავის მოსანახულებლად კვახჭირში გამგზავრებული თამაზი ლიხს იქით მოიტოვა... „ნახევარი გზა" გასავლელი დარჩა...

• • •

ამ „სამ ვარსკვლავზე" გამახსენდა — თამაზს ძალიან უყვარს „სამი ვარსკვლავით" სვლა (ჭადრაკში ხომ არის, მაგალითად, „მხედრით სვლა!") ამ სამვარსკვლავიანი სვლებით ისე გერგილიანად ავითარებს შეტევას, რომ უკვე მიტელშპილში აბამს ოპონენტს სამათო ქსელში. მავანი, ამის გამო, დაასკვნის — მინიატიურული პროზის ოსტატი ყოფილა და ვრცელ, ეპიკურ ტილოს თავის დღეში ვერ შეეჭიდებაო!.. არც ცდილობს და არც სჭირდება ეს, რადგან ეპიკურ ტილოს ბევრი შესჭიდებია და შედეგად ფშიკი დარჩენია.

• • •

თამაზ წივწივაძის შემოქმედებითი გზა არც ისე ვრცელია, როგორც მისი ორტომეულის წამკითხველს, შესაძლოა, მოეჩვენოს. ოციოდე წელიწადი ძლივს დაითვლება მას შემდეგ, რაც მწერალმა პირველი კრიტიკული ნოველები შესთავაზა მკითხველ საზოგადოებას. საგულისხმოა ეს ფაქტი და მეტად მნიშვნელოვანიც: პიონერული ასაკიდან არ „დაუპროგრამებია" თავი სამწერლოდ, არ უთამაშია „არიოლრეშკა", წერას მიჰყო ხელი თუ [illegible].

გუშინდელივით მახსოვს თამაზის (ჩემი აზრით) პირველივე პუბლიკაცია — უსუსური სასიმღერო ტექსტების საჯაროდ გამკიცხველი და უარმყოფელი. უკვე მასში გამოიკვეთა, თანაც, საკმაოდ რელიეფურად, ის გროტესკული მეფერილობა, რომლითაც საერთოდაა აღბეჭდილი წივწივაძისეული წერის მანერა, თუ გნებავთ, სტილიც.

და აი, ჩვენს ხელთაა 1990 წელს გამოცემული მწერლის ორტომეული. პირველსავე წერილში — „შესავლის მაგიერ, ანუ პასუხი ტელემაყურებელთა შეკითხვებზე" (ეს ინტერვიუ საქართველოს ტელევიზიით 1979 წელს გადაიცემულა), ჟურნალისტის კითხვას — „თქვენ თუ გიცდიათ მწერლის კალამი?" ასეთი პასუხი მოჰყვა: „ის რამდენიმე წერილი, დღემდე რომ გამოვაქვეყნე, თუ მწერლის კალმით არ არის დაწერილი, იმათ გარდა, მე არაფერი გამიჩნია!"

რას ებრძვის იგი თავისი კრიტიკით და რის დამკვიდრებას ცდილობს ლიტერატურაში? „ვცდილობ, ვებრძოლო **პრეტენზიულ** უნიჭობას, **აღზევებულ** ფსევდომწერლებს და მათი ხელიდან გამოსულ ლიტერატურულ **ბლეფს!**".

ხოლო თამაზ წივწივაძე რომ სატირულ-იუმორისტული ჟანრის ჩინებული ოსტატია, უკეთ — სატირიკოსი მწერალი, ამის ნათელყოფა ადვილზე ადვილია — გადაშალეთ მისი ორტომეულის ნებისმიერი გვერდი და უმალ დარწმუნდებით ამაში.

გულახდილად გეტყვით — თამაზს, კარგა ხანია, ვუტრიალებ — იქნება, ღმერთი შემეწიოს და მისი პორტრეტი დამეხატოს-მეთქი. ეტყობა, მამაზეციერის მაინცდამაინც დიდი იმედი არ უნდა მქონდეს — ძნელი შეჭიდი!..

ამ ბოლო ხანს კი, როდესაც ყოველ მეორე კაცს აკერია ენაზე მისი გვარ-სახელი, მეც გული მომეცა, პორტრეტი გადავიწერე და მტკიცედ გადავწყვიტე, თუ მთლიად პორტრეტს არა, ესკიზს მაინც ჩავიხატავ-მეთქი. ესკიზისათვის კი, მოგეხსენებათ, ინტერვიუ მისწრებაა!..

საგანგებოდ რომ ვწვეოდი ინტერვიუს ასაღებად, დარწმუნებული ვარ, იუარებდა — რაცხა ნამეტანი ბევრმა გამოიტყუა ინტერვიუ და არავინ იუწყის, ინტერვიუიერებზე ნადირობსო!.. თუმცა, რა დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ოფიციალურსა თუ არაოფიციალურ საუბარს — მე შენ გეტყვი და, გასათხოვარი გოგო რომ წინასწარ გაითხუპნება სალებავებით, ვინმეს უფრო მოუვალ თვალში, ესეც საჯარო ბიბლიოთეკაში ჩაჯდება და მთელი წლის პრესას გადააბულბულებს, ემანდ ჟურნალისტმა არაფერში გამჭედოსო!..

ერთხელაც იყო, მის პირად საქმეზე დავურეკე, შენი ნახვა მინდა-მეთქი. (სოფელში მაბარებდა რაღაცას). სახლი იცი და კარი, გამოიარე ხვალ დილით, ასე ათის ნახევარზე და ვისაუბროთო (თავად შეუძლოდ გახლდათ).

ცოტა ადრე მომივიდა მისვლა. ხომ არ გეძინა-მეთქი, მოვუბოდიშე. არა, მარა, ხომ შევთანხმდით ათის ნახევრისთვის, ცხრის ათ წუთზე რამ მოგიყვანაო!.. დანარჩენს დიალოგის სახით აღვადგენ:

— „ანდაზაა, თამაზ, ადრე ამდგომს უხაროდესო!..

— მაგ ანდაზის არსებობა ჩემთვისაცაა ცნობილი, მაგრამ, რა ექნა, თუ რაიმე არ მომეწონა, ენა თავისით გამირბის საკრიტიკოდ!..

— ზოგჯერ საქილიკოდაც, ხომ?

— აგრეც ხდება და ბოლოსწინა წერილში, წაიკითხავდი ალბათ, კიდევაც ვინანე, ზედმეტად ვატკინე ავტორს გული-მეთქი (ეს საუბარი 88-ში შედგა).

— წავიკითხე და, თანაც, გახარებულმა, რადგან მიმაჩნია, საკუთარი შეცდომის აღიარება მხოლოდ და მხოლოდ პიროვნების სიძლიერეზე მეტყველებს. ზოგჯერ ყურს ეჩოთირება შენს წერილში აქა-იქ გაბნეული ქილიკური ტონი. ამ შენიშვნას ნამდვილად გულისტკივილით გეუბნები, რადგან მჯერა, მავანის საამებლად აუგს არავიზე იტყვი!..

— ღმერთმა მაშოროს, ვინმეს დაკვეთით საქმის კეთება საერთოდ, კერძოდ კი, კრიტიკული წერილის დაწერა!.. მოჯამაგირედ ვერავის დავუდგები, მამულის გარდა!.. მაგრამ დიდმა გურამიშვილმა ბრძანა — „ვინც არა ჰგავს კახაბერსაო!.. სხვათა შორის, ამ აფორიზმს შებრუნებულადაც უხდება წაკითხვა: კახაბერი ვინცაა, მასზე აუგი არ უნდა ითქვასო!.. გითხარი წეღან — ხანდახან მოუზომავი სიტყვა წამომცდება ხოლმე, მაგრამ შენც უნდა მერწმუნო, სპონტანურად ხდება ეს, შინაგანი იმპულსებით, თითქმის შეუცნობლად. ჭირს, რასაკვირველია, ამის ახსნა. ეს, ალბათ, იმიტომ ხდება, რომ, როდესაც აშკარა სიყალბეს ვამჩნევ, როდესაც ვგრძნობ, მაგანს არაფერი სტკივა და მაინც „ვაი-ვაის" გაიძახის, ხოლო მეხოტბე-კრიტიკოსი დითირამბებს უგალობებს, შავს თეთრად გვაჩენს, კაცი ვარ მეც, ებრაზდები ზომაზე მეტად და შავ დღეს ვაყრი!.. ასე რომ, ყველაფერი სუბიექტზეა დამოკიდებული — არ გაიხდის თავს საქილიკოდ? არც არავინ გააქილიკებს!..

— გასაგებია, თამაზ, მაგრამ არ მინდა გულნაკლული დავრჩე და ერთსაც დავსძენ: როდესაც ატყობ, რაგინდ შავი დღეც აყარო, „საშველი არაა" და მავანისაგან მაინც არაფერი გამოვა? რომ იგი მაინც იმ პრინციპით იცხოვრებს — მე ვარ და ჩემი ნაბადიო? ეტყობა, დღის ანდაზა-აფორიზმების იმტაზე ვარ და ესეც ხომ ბრძნულად უთქვამს წინაპარს, შეაყარე კედელს ცერცვიო? ან, არ გათეთრდების ყორანიო?

— საქმე ისაა, რომ კრიტიკა ვერც გენიოსებს გადაიჩვევს წერას და ვერც გრაფომანებს!.. სცადა ერთმა დიქტატორმა და თავის იმპერიაში ლექსების წერა აკრძალა. როდესაც ჰკადრეს, პოეზიის გარეშე ცხოვრება როგორ შეიძლებაო, მიუგო: ვინც ბედისწერით პოეტია, იმას ვერანაირი ბრძანებით კალამს ხელიდან ვერ გააგდებინებ!.. ხოლო, ვინც სუსტ ლექსებს წერს, შესაძლოა, დაფიქრდეს, შეეცხვეს და წერას მართლა მიანებოს თავიო!.. ჩემდათავად დავსძენ, რომ გრაფომანი სუსტ ლექსებსაც ვერ წერს, მხოლოდ ცუდს!..

— შენც, ალბათ, გენიოს მწერლებს ეფერები, სუსტებს ნამუსზე აყენებ და გრაფომანებს ტუქსავ, არა?

— გენიოსებს ჩემი მოფერება ვერაფერს შემატებს და ამიტომ დროს არ ვფლანგავ, რაც სუსტებს შეეხება, არათუ ნამუსზე ვაყენებ, თავი თუ გენიოსად მოაქვთ, ბდღვირს ვადენ!.. გრაფომანს კი, ვთქვი თავში, „ნოტაციებს" არ ვუკითხავ, რადგან ვიცი, გენიალური სიჯიუტით განაგრძობს ქაღალდის ლიკვიდაციას!"

დაახლოებით ასეთი საუბარი შედგა მაშინ ჩვენს შორის და, თუ რაიმე უზუსტობა მომივიდა, ვაი ჩემი ბრალი!..

• • •

ამას წინათ, ლიტერატურისაგან საკმაოდ შორს მდგარმა პიროვნებამ, უფრო ზუსტად, ტექნოკრატმა კაცმა, ასე აღიარა თამაზი: „გაუმარჯოთ, ბ-ნო თამაზ, გაღლეგრძელოთ!.. თქვენს კალამს დავლოცავ!.. თქვენს გახსენებაზე, თუ არ მიწყენთ, ერთი ანდაზა მაგონდება ხოლმე — მარტი რომ წინ გედოს, ზამთარს ნურც აქებ და ნურც აძაგებო!.. მე ასე გადავასხვაფერე ეს ანდაზა: თამაზ წივწივაძე რომ წინ გედოს, საკუთარ ნაწარმოებს ნურც აქებ და ნურც აძაგებო!.."

თამაზს არაფერი უთქვამს, მაგრამ სიცილით ბევრი იცინა.

ქ-ნმა მარიკა ლარცულიანმა კი საახალწლოდ ასეთი ეპიგრამა „გამოაცხო":

„მიყვარხართ, ჩემო ლექსებო,
მაგრამ ცრემლს გაფრქვევთ მწარესა,
ან დრო-ჟამს გადურჩებოდეთ,
ან — თამაზ წივწივაძესა!"

ერთი სიტყვით, უკვე დაიწყო!!!

თამაზ წივწივაძეს შესანიშნავად ეხერხება ფერწერა. მისი ყოველი ახალი პუბლიკაცია ნოველის ყოველნაირ კომპონენტს შეიცავს. ავიღოთ, თუნდაც, გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნებული მისი — „პასუხი ჟურნალ „ოგონიოკში" დაბეჭდილი წერილის ავტორს" (1987 წ, 13 სექტ.) სად იყო და სად არა, საქართველოში ერთ მშვენიერ დღეს იაპონელი მეციტრუსე ჩამობრძანდა! სანამ პლანტაციებში გაუძღოდნენ, პურ-ღვინით გაუმასპინძლდნენ. მოულოდნელად იაპონელ აგრონომს ეკითხება, ჰექტარზე რამდენ ცენტნერ მანდარინს იწევთო. თორმეტსო, მიიღო პასუხად. აეროპორტში შეხვედრისას კი უფრო დიდი ციფრი დაუსახელებიათ მისთვის. „იაპონელმა იმ კაცს გახედა, თბილისის აეროპორტში რომ დახვდა. დარწმუნებული ვარ, სამეფო კვერთხი რომ ჰქონოდა, იმწამსვე თხლეშდა თავში უვეფხისტყაო რაინდს და, ივანე მრისხანესაგან განსხვავებით, შემდეგ სულაც არ ინანებდა!" — ბრძანებს სტატიის ავტორი, ჩვენთვის ადრეც ცუდად ცნობილი (გარყვნილ ქალს რომ გვაძლებდა რძლად ლენინური ინტერნაციონალიზმის პრინციპიდან გამომდინარე) ჟურნალისტი ვლადიმერ ცვეტოვი.

ამ ულაზათო ირონიას თამაზი მოხდენილად იგერიებს: „მე არ ვიცი, ეს ფიქრები როგორ ამოიკითხა ცვეტოვმა უცხოელის თავში ან, იქნებ, სულაც საკუთარი აზრები მიაწერა მას? ერთი კია, არც ერთ შემთხვევაში ამ საქციელს გამართლება არ უწერია. თავად განსაჯეთ: ხალხი სულში გიძვრენს, შენ კი კეტის თავში სათხლეშად გაგირბის ხელი!" განვაგრძოთ თხრობა: „რაინდი ჯიუტად ვერ ამჩნევდა იაპონელის გამანადგურებელ მზერას" — წერს ცვეტოვი. ჩემი ფიქრით, ალბათ, არც ეშინოდა და იმიტომ. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ვერც იფიქრებდა, ეს მცირე ტანის კაცი „ომის გამოცხადებლად" მასზე თავდასხმას თუ დააპირებდა. მეორეც, ასეც რომ მომხდარიყო, იაპონელი სად გაასწრებდა? ხეზე კიდეც რომ აესწრო, „ცერცვისხლა" მანდარინის ნაყოფისაგან, ფერით თუ ვერა, ფორმით მაინც გამოარჩევდა." — ასკვნის თამაზი და ისე ლაღად დაგვრჩენია, ულტრამოკლემეტრაჟიან ნახატ ფილმს მივადევნოთ თვალი!..

• • •

ჩემი აზრით, თამაზ წივწივაძე, პამფლეტის ჩინებული ოსტატია. პამფლეტს კი, მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის მძაფრი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ჟღერადობით გამოირჩევა, მშრალი პუბლიცისტიკის ჩარჩოებში არ უნდა დაედოს ბინა! იგი, უპირველეს ყოვლისა, მხატვრული ნაწარმოებაა.

ჩვენში შეინიშნება ილუზია, თითქოს მხატვრულ ნაწარმოებში: გარემოც, სოციალური ფონიც, პერსონაჟებიც — ყველაფერი აუცილებლად გამოგონილი, ანუ მწერლის ფანტაზიის ნაყოფი უნდა იყოს! არა, ბატონებო, ყოველთვის როდია ასე!.. შეიძლება კონკრეტული ფაქტი კონკრეტულ გარემოში ზუსტად აღწერო, მაგრამ ეს იქნება მხოლოდ ინფორმაცია. ხოლო, თუ კონკრეტულ გარემოში კონკრეტულ ფაქტს დახატავ, მხატვრული ნაწარმოები იქნება, სულერთია; მოთხრობა, მინიატურა, ნოველა თუ ლექსი. „გუშინ უამრავ თაიგულითა და გვირგვინით მიაცილებდა ხალხი დიდი გალაკტიონის ნეშტს მთაწმინდის პანთეონისაკენ". რასაკვირველია, მშრალი ინფორმაციაა, თუმცალა ეპითეტი „დიდი" ოდნავ ამხატვრულებს ფრაზას. მაგრამ — „ყვავილების მდინარეს კუბო ცისკენ მიჰქონდა, იწვა გალაკტიონი და თავისსას ფიქრობდა" — ეს ლექსია, თანაც, მაღალი ლექსი!..

მიტინგზე სიტყვით გამოსული ორატორი აღშფოთებული ლაპარაკობს, ვთქვათ, იმაზე, რომ ხელისუფალთა სიტყვა და საქმე ხშირად ერთმანეთს არ ემთხვევა, რომ, კი იძახიან — ყველაფერი საუკეთესო ბავშვებსო, მაგრამ ორი დღის უკან ნაყიდ ფეხსაცმელს ლანჩა აძვრაო!.. რომელიმე ჟურნალისტმა შეიძლება ეს თემა აიტაცოს და მისგან, დიდი-დიდი, ფელეტონი გამოჩიკნოს! მაგრამ მწერალს, მომეტებულად კი სატირიკოსის ტალანტით მომადლებულს, ეს და მსგავსი ლოზუნგები, ვთქვათ, „ლენინს ბავშვები უყვარდა", „დავეწიოთ და გავასწროთ ამერიკის შეერთებულ შტატებს!" და სხვ. შეუძლია ერთ ტაფაში მოაქციოს, ცეცხლი შეუკიდოს და ისეთი პამფლეტი გამოაცხოს, როგორიცაა „ლოზუნგების ქვეყანა!"

• • •

ამ რამდენიმე წლის წინათ, ერთმა ფრიად განსწავლულმა და უდავოდ ნიჭიერმა ახალგაზრდა კრიტიკოსმა, თამაზის მორიგი პამფლეტით აღფრთოვანებულმა, პირად საუბარში. არც მეტი, არც ნაკლები, ჰაინეს ცნობილ ნაწარმოებს „ჰარცრაიზეს" შეადარა იგი! მესიამოვნა, რასაკვირველია, თუმცალა (არ მიწყენს, ალბათ, თამაზი) ცოტა გადაჭარბებულადაც მომეჩვენა.

გამოხდა სულ ცოტა ხანი და სხვა მწერლის შემოქმედების შეფასებასთან დაკავშირებით, ვეფხისა და მოყმესავით შეებნენ ერთურთს თამაზი და ის ლიტერატორი. და როგორ გგონიათ, იმ ლიტერატორისგან დარჩა რამე? ლამის კედლის გაზეთის მოწინავის ავტორამდე „ჩამოიქვეითა" თავი თამაზთან შეჭიდებაში!.. რაც კიდევ უფრო გულსატკენია, დაუფიქრდა თამაზს.

რამდენადაც ვიცი, ამ მხრივ, ბ-ნი ჯანსულ ღვინჯილია ბედნიერი გამონაკლისია — სერიოზული შეხლა-შემოხლის შემდეგ არ გაბზარულა თამაზს და ღვინჯილიაც თანამშრომლობენ ერთმანეთთან მწერლობის საკეთილდღეოდ. სასიხარულოა, რომ, ჯერჯერობით, არც ბ-ნ გიგა ლორთქიფანიძეს გამოუგზავნია თამაზისათვის „საპროტესტო ნოტა", აქაოდა, მიკროფონთან რად გამაიგივეო!.. გეხსომებათ „რედაქტორის გვერდში" — „ჩართეთ გიგა!" არც ის მგონია, რომ წივწივაძის მიერ ზოშჩენკოს დონეზე გაკეთებული კანონპროექტი „იარაღის შესახებ" გახდეს საკმარისი იმისათვის, რომ პარლამენტმა მას იმპიჩმენტი გამოუცხადოს!..

• • •

ბატუმ, ნამეტანი გამწყრალა „შტრიხები" და, ალბათ, ეს ბოლო „სამი ვარსკვლავი" იქნება.

ყველა სიკეთესთან ერთად, თამაზი ნამდვილი ოჯახიშვილია — წესიერ ოჯახში წესიერად გაზრდილი შვილი!.. გამოირჩევა დახვეწილი, რბილი ქცევებით, ტაქტიანობით. შეიძლებოდა ეს მადლი მის „აზნაურშვილობას" დაჰბრალებოდა, მაგრამ თავადიშვილიც ხომ ბლომად შეგვხვედრია ოხერი და მუდრეგი!.. იორამ ქემერტელიძეს უყვარს, როდესაც ვინმე ვინმეს „ბატონიშვილო"-თი მიმართავს. არადა, თამაზზეა ზედგამოჭრილი!..

წარმოუდგენელია, მთავარი რედაქტორის კაბინეტში ვინმე შევიდეს, თამაზი რომ უმალვე არ წამოუდგეს და ლამის შუა ოთახში არ მიეგებოს ან, გამომშვიდობებისას, კარამდე არ მიაცილოს!.. (ბუნებრივია, რედაქციის თანამშრომლები და უახლოესი მეგობრები არ მყავს მხედველობაში!)

მაგრააამ... დიახ, დიახ, კორექტურა არ გეგონოთ, ავტორისეულია ეს სამკეცი „ანი"! — თუ პირიქით მოხდა და ვინმე უტიფარსა და უხიაგს გადაეყარა, საკუთარი ღირსების დასაცავად მუშტსაც გერგილიანად გამოიყენებს!..

შებინდებულია, შემოდგომის გრილი საღამოა. რუსთაველის პროსპექტს მივუყვებით მე, თამაზი და მწერალი გოდერძი ჭეიშვილი. ყოფილი „მოზარდის" წინ ორი ახალგაზრდა მობილანძულობს. ერთს მომეტებულად ატყვია ბახუსი. მაინცდამაინც თამაზს მოსთხოვა სიგარეტი (რომ არ ეწევა. ამიტომ ვამბობ მაინცდამაინც-მეთქი!). არ ვეწევიო, — მშვიდად მიუგო. რაო? არ ვეწევიო, — ისევ მშვიდად გაუმეორა. ეტყობა, არაფრად ეპიტნავა თამაზის ოდნავ შესამჩნევი იმერული კილო და ეკითხება — ამ დროს რომელი მატარებელი ჩამოდის, საჩხერის თუ სამტრედიის. „საფიხხის" — კვლავ ხმადაბლა მიუგო თამაზმა და წამსვე ისე ლონივრად აჭრა მუშტი ნიკაპში, მისსავე ამფსონს ჩაეხვია ფეხებში. „კარგი რა, ტო, ნუ იცი ხოლმე ზედმეტები რა!" — ძლივს წამოაყენა მეორემ და სულ ბოდიშებით გაგვეცალნენ.

დაახლოებით ასეთი გახლავთ თამაზი, თამაზ ივანეს ძე წივწივაძე. ასე წერს, ასე ცხოვრობს, ასე იმკვიდრებს საკუთარ მეს და, სხვათა შორის, ეტყობა, ისე გალევს „ნახევარი კიდევ გასავლელიას", არც არავის იბელადებს, რადგან იგი საქართველოზე ადრე გახდა თავისუფალი — უბრალოდ, თავისუფალი [illegible]. მას ყველაზე მეტად შეშვენის, ბერნსის სიტყვებს ღიღინებდეს ღონივრად — „არც არავის ყმად მყოლია, არც ვეყმობი არავის!" — მაგრამ, პუშკინისა და აკაკისი არ იყოს, ვერ მღერის. მხოლოდ გული უმღერის, როდესაც სხვები მღერიან. თუ, რასაკვირველია, სასიმღეროდაცაა საქმე!..

რაც მის ყოველ ახალ ნაწარმოებს შეეხება, დარწმუნებით ვიცი, ყველა კითხულობს, მტერი იქნება თუ მოყვარე. ზოგი ხმამაღლა, ზოგიც უხმოდ, როგორც ოპოზიციურ პრესას — მავანი. ამიტომ, ამ ჩემს წერილსაც (საერთოდ თუ დაიბეჭდა!), მჯერა, ასეთივე ბედი ეწევა!..

გიზო ზარნაძე.

სამაჩაბლოს ჩანახატები

იმედი

თუმცა აქა-იქ ისევ თოვლი დევს სამაჩაბლოს მთებზე, მაინც უნაზესი სითბოთი მოიპარება გაზაფხული. აჰა, აპრილიც — ვაზსა, სხლავს მეურნე — მუხლმაგარი, მხრებში უკვე ოდნავ მოხრილი...

შარშანწინ მიწისძვრამ დაანგრია სამაჩაბლოს დიდი ლიახვის პირას გაშენებული ცხრავე ქართული სოფელი. საცხოვრებელ სახლებთან ერთად დაინგრა ქურთის თემის საკრებულოს შენობაც, ამიტომ მისი მესვეურნი ახლა სოფლის აფთიაქის ერთ ოთახში არიან შეფარებულნი — რადგან იგი ნაკლებადაა დაზიანებული.

ვესაუბრებით ქურთის თემის საკრებულოს გამგებელს **ზურაბ ტურაშვილს** და საკრებულოს ტექნიკურ ინსპექტორს **მევლუდ ზასიშვილს**.

გეტყვით წინასწარ, რომ ამ სოფელში მიწის ნაკვეთები უკვე დაუნაწილეს მოსახლეობას და ისინი უკვე შრომობენ ახალ ბაღებში.

ბატონმა ზურაბმა გვითხრა, რომ სოფლებში — თამარაშენში, ქურთაში და ქეხვში მოსახლეობის 95 პროცენტი დაკმაყოფილებულია მიწებით. აპრილიდან, პრივატიზაცია დაიწყეს აჩაბეთში, სვერში, ძარწემში, ქემერტში, ხეითში.

— დღეს აქ კვლავ არ არის სრული სიმშვიდე, — ამბობს ზ. ტურაშვილი, — შარშანწინ, ფაქტობრივად ომის მდგომარეობაში დავინაწილეთ მიწები, რადგან მივხვდით, რომ ეს იყო მოსახლეობის ადგილზე დამაგრების ერთ-ერთი ყველაზე აუცილებელი რამ, რადგან უკვე ბევრი ასე გაჭიანურებული ომის გამო დაიღალა და აქედან ცოლ-შვილის გაყვანასაც ფიქრობდა. ახლა ყველა დაინტერესებულია... სოფლის დეპუტატებმა ყუმბარების ცვენაში მოვიწვიეთ სასოფლო კრება, შემდეგ სესია. ზემდგომი ორგანოებიდან კიდეც გაგვაფრთხილეს, პრივატიზება შეგვეჩერებინა, მაგრამ კომისიამ იმუშავა. ჩვენ სრულ იზოლაციაში ვართ და ლუკმაპურზეც ხომ უნდა გვეფიქრა...

ყველამ კარგად იცის, რომ აქ ამჟამად სროლის ხმა აღარ ისმის, მაგრამ სრულ მშვიდობამდე მაინც შორსაა... რა ვქნათ, მოგეხსენებათ, კაცი იმედით ცოცხლობს...

ომშიც შენდება ტაძარი

თურმე ქართველ კაცს ომშიც შესძლებია ტაძრების აშენება.

შარშან, ტყვიების წვიმაში, ქურთელების რძალს ქალბატონ ქეთევან მწყერაძეს ესიზმრა თურმე:

— იმ ადგილს, ხალხი ჯვრის ნიშს რომ უწოდებს, სადაც სამასწლოვანი მუხები დგას, ეკლესია უნდა აშენდესო. ქალბატონი ქეთევანი ღვთისმორწმუნეა და მართლაც, მისი ინიციატივით აშენდა იმ ადგილას წმინდა გიორგის სახელობის მშვენიერი ეკლესია. ახლა მას თავისი მრევლი ჰყავს, მოდიან მეზობელი სოფლებიდანაც. ომით დაღლილი, გაწამებული ადამიანები შესთხოვენ უფალს მშვიდობის დამყარებას.

ვინ იყიდის ვაშლს?

აი პრობლემა, რომელიც სასწრაფოდაა მოსაგვარებელი ამ ხეობაში. აქ მოსახლეობაში ასობით ტონა მაღალხარისხოვანი ვაშლია. ტრანსპორტობის და სხვა მრავალ მიზეზთა გამო ხილი ლპება და დღე-დღეზე თუ არ მოასწრო კაცმა მისი რეალიზება, მერე გვიან იქნება. არადა, სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს: ჩვენი უნიათობით, ვინ მოთვლის, რამდენი სახის ხილფაფას, კომპოტს თუ ჯემს ვაკლებთ დამშეულ მოსახლეობას.

ამაზე ღირს დაფიქრება და სასწრაფო ზომების მიღება.

ლია ჭიღლაძე.



თელეთი.

ზურაბ დათუაშვილის ფოტო.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკისა" და საქინფორმის კორესპონდენტები

მოვლენა • ფაქტი • კომენტარი

პარტიებსა და მოძრაობებში

ამ დღეებში გაიმართა საქართველოს მშრომელთა სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი, განიხილეს საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა და პარტიის ამოცანები. მოხსენება გააკეთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ივანე წიკლაურმა.

პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება პარტიის სახელწოდებაში ცვლილებების შეტანისა და პარტიის მორიგი ყრილობის მოწვევის შესახებ.

პლენუმმა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნების მოვალეობისაგან გაათავისუფლა კარლო გარდაფხაძე და ტრისტან ლაბარტყავა.

საქართველოს მშრომელთა სოციალისტური პარტიის პრესცენტრი.

სახელმწიფო საბაჟო კომიტეტმა შეზღუდა ნაღდი ფულის შემოტანა რუსეთში და მისი გატანა ქვეყნის ფარგლებს გარეთ

მოსკოვი. 7 აპრილი. (კრიმ-პრესი, პავლე ოვჩინიკოვი). სახელმწიფო საბაჟო კომიტეტმა შემოიღო რუსეთში ნაღდი ფულის შეტანისა და ქვეყნის ფარგლებს გარეთ მისი გატანის ახალი შეზღუდვები. როგორც კრიმ-პრესის კორესპონდენტს აცნობეს სახელმწიფო საბაჟო კომიტეტში, სამანეთო ზონაში მყოფ სახელმწიფოებში გამგზავრების ან ამ სახელმწიფოებიდან დაბრუნების შემთხვევაში მოქალაქეებს უფლება აქვთ რუსეთის საზღვარზე გადაიტანონ 500 ათასამდე მანეთი. ამ ფულის გამოყენების პირობები რუსეთის ფარგლებს გარეთ დათქმული არ არის.

სამანეთო ზონიდან გამოსულ სახელმწიფოებში (ლიტვა, ლატვია, ესტონეთი და უკრაინა) გამგზავრების ან ამ ქვეყნებიდან რუსეთში დაბრუნების, აგრეთვე შორეული საზღვარგარეთის ქვეყნებში მოგზაურობის შემთხვევაში ნაღდი ფულის გატანა-შემოტანა შეზღუდულია 100 ათასი მანეთის ოდენობით. ამასთან, ნებადართულია, არაუმეტეს 1000-მანეთიანი კუპიურების გატანა, ოღონდ, არ შეიძლება მათი გადაცვლა ან დახარჯვა რუსეთის ფედერაციის ფარგლებს გარეთ.

ნაღდი ფულის გატანის ახალი წესები მიიღეს რუსეთის ცენტრალური ბანკის 1993 წლის 30 მარტის წერილის საფუძველზე.

უჩვენებს თბილისი

ეთერში საქართველო

შაბათი

17 აპრილი

10.05 — ბასტი-ბუბუს აერობიკა. 10.10 — მულტიპლიკაციური ფილმი. 10.30 — ბასტი-ბუბუ. 11.05 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ანჩისხატობა". 11.55 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 12.05 — ტრონი — სატელევიზიო პროგრამა. 15.05 — **ვესტნიკი** — საინფორმაციო პროგრამა. 15.50 — გინდ დაიჯერეთ, გინდ არა (გამეორებით). 16.45 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 17.00 — ხელოვნების ლექტორიუმი. 17.35 — კლუბი „კამერტონი". 19.55 — რეკლამა. 20.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 20.40 — არჩევნების შემდეგ. 21.10 — „მობურთალსა მოედანი..." 21.40 — უკრავს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მევიოლინეთა ანსამბლი. 22.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 22.15 — ილუზიონი. 23.45 — **ქვეშის საათი** — საინფორმაციო პროგრამა. 24.00 — აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული — ტრანსლაცია სიონის საკათედრო ტაძრიდან.

კვირა

18 აპრილი

ბრწყინვალე აღდგომა

10.05 — ბასტი-ბუბუს აერობიკა. 10.10 — მულტიპლიკაციური ფილმი. 10.30 — მხატვრული ფილმი. 12.00 — საკვირაო გამოფენა. 12.20 — ქართული ხალხური სიმღერის გაკვეთილი. 12.50 — საკვირაო გამოფენა. 13.00 — ქართული დოკუმენტური ფილმი „სიცოცხლის ხე". 13.40 — საკვირაო გამოფენა. 13.50 — გზა. 14.10 — სააღდგომო საგალობლები. 14.45 — „გლობუსი". 15.35 — რაკურსი... 16.10 — თბილისი და თბილისელები — სატელევიზიო პროგრამა. 17.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 17.15 — მიახლოვება მარადიულობასთან. 17.30 — მხატვრული ფილმი. 19.30 — **კვირიდან კვირამდე** — საერთაშორისო მიმოხილვა. 20.00 — სააღდგომო. 20.40 — მულტიპლიკაციური ფილმი. 20.55 — რეკლამა. 21.00 — **მსგეფსი** — საინფორმაციო პროგრამა. 22.00 — ხალხური პოეზიის საღამო. 0.20 — **ქვეშის საათი** — საინფორმაციო პროგრამა.

ორშაბათი

19 აპრილი

10.00 — ქართული დოკუმენტური ფილმი „მართლმადიდებელი ეკლესია". 10.30 — მულტიპლიკაციური ფილმი. 10.50 — ქართული დოკუმენტური ფილმი „სცენიდან განდევნილი ადამიანები". 11.50 — გახსენება — ირაკლი ბოქრაძე. 12.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 12.10 — გახსენება — გალინა ანჯაფარიძე. 12.35 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „პალესტინა, პალესტინა..." 13.15 — გახსენება — გლახო ზახაროვი. 13.55 — კვალი ნათელი. 14.55 — კაიყმა — შალვა ჩიგუნავა. 15.20 — ხსოვნა. 16.55 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 17.10 — ქართული დოკუმენტური ფილმი „რევაზ ლაღიძე". 17.30 — „შენი ხმები დღესაც ესმის ქართლის ველებს" — ომარ კელაპტრიშვილი. 18.05 — გახსენება — გიორგი შავგულიძე. 19.30 — თქვენი სახელი 20.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 20.40 — მარადიული ხსოვნა. 21.00 — ქართული სპორტის მატიანე. 21.40 შუქი სულისა. 22.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 22.15 — ქართული მხატვრული ფილმი „ნატვრის ხე". 23.50 — **ქვეშის საათი** — საინფორმაციო პროგრამა.

სამშაბათი

20 აპრილი

7.25 — ბასტი-ბუბუს აერობიკა. 7.30 — **გამარჯობა, საქართველო!** — საინფორმაციო-შემეცნებითი პროგრამა. 13.00 — **ნაშუადღევი** — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 13.45 — ანძა — ტელემარკეტინგი. 17.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 17.15 — მხატვრული ფილმი. 18.25 — ადამიანი და კანონი — სატელევიზიო პროგრამა. 18.55 — განცხადებები. 19.05 — სპორტული პანორამა. 19.40 — 22 აპრილი დედამიწის დღეა. 19.50 — რეკლამა. 20.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 20.40 — ჩვენ. 21.30 — ი. ჭავჭავაძე — „განდეგილი". კითხულობს ტარიელ საყვარელიძე. 22.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 22.15 — ვიდეო-ვიდეო... 23.45 — **ქვეშის საათი** — საინფორმაციო პროგრამა.

ხსოვნა

ბორის გუჯეჯიანი

გარდაიცვალა ქართული გეოლოგიური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი, მინერალური ნედლეულის კომპლექსური შესწავლისა და ათვისების აღიარებული ორგანიზატორი, გეოლოგიურ-საძიებო სამსახურის ღვაწლმოსილი ხელმძღვანელი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი ბორის გუჯეჯიანი.

დაიბადა 1909 წელს მესტიის რაიონის სოფელ ჭოლაშში, 1931 წელს წარმატებით დაამთავრა ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტის გეოლოგიური ფაკულტეტი და ჩაირიცხა ლენინგრადის სამთო ინსტიტუტის ასპირანტურაში, სადაც 1935 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

ბ. გუჯეჯიანმა პრაქტიკული და სამეცნიერო მოღვაწეობის დიდი გზა განვლო: ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტის გეოლოგიურ-საძიებო ფაკულტეტის დეკანი, საწვავი წიაღისეულის გეოლოგიის კათედრის გამგე, გეოლოგიურ-საძიებო პარტიების უფროსი, ცანის სამთო-მეტალურგიული კომბინატის მშენებლობის სამმართველოს უფროსი, საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს სამთო-ქიმიური მრეწველობის მთავარი სამმართველოს უფროსი, ამიერკავკასიის გეოლოგიური ტრესტის მთავარი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორი, კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს ნახშირების, ნავთობის და სამთამადნო მრეწველობის სამმართველოს უფროსი, საქართველოს საწარმოო-გეოლოგიური სამმართველოს უფროსი — ასეთია მისი თანამდებობების არასრული ნუსხა.

წლების განმავლობაში თავმჯდომარეობდა ბატონი ბორისი საქართველოს სამთო საზოგადოების პრეზიდიუმს. იყო რამდენიმე სამეცნიერო საბჭოს წევრი.

მან, როგორც პრაქტიკოსმა გეოლოგმა, მრავალი ნოვატორული პრობლემა წამოჭრა და შემდგომ უნარიანად ხელმძღვანელობდა მათ გადაწყვეტას. დიდი დამსახურება მიუძღვის მას საქართველოს მიწის ქერქის შესწავლაში, მინერალური ნედლეულის მრავალი სახეობის სამრეწველო მარაგების დადგენაში, მეურნეობის სხვადასხვა დარგის ნედლეულით უზრუნველყოფაში. მისმა სამეცნიერო შრომებმა, განხორციელებულმა პროექტებმა ბევრი შემატა ქვეყნის ეკონომიკურ სიძლიერეს.

ბატონი ბორის გუჯეჯიანი გეოლოგიური სამსახურის თვალსაჩინო ორგანიზატორი, ნამდვილი ნოვატორი სპეციალისტი და შესანიშნავი მოქალაქე იყო. ასეთად დარჩება იგი ქართველ გეოლოგთა ხსოვნაში.

საქართველოს რესპუბლიკის გეოლოგიის, გეოდეზიის, კარტოგრაფიის დეპარტამენტი; აკადემიკოს ალ. თვალჭრელიძის სახელობის კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი; აკადემიკოს ალ. ჯანელიძის სახელობის გეოლოგიური ინსტიტუტი; საქართველოს გეოლოგიური საზოგადოება; აკადემიკოს ა. წულუკიძის სახელობის სამთო-მექანიკის ინსტიტუტი.

1993 წლის 16 აპრილიდან დადგენილია უცხოური ვალუტების შემდეგი კურსი რუსეთის ფედერაციის მანეთის მიმართ:

1 ავსტრალიური დოლარი	560 მან. 41 კაპ.
1 ავსტრიული შილინგი	69 მან. 23 კაპ.
1 ინგლისური გირვანქა სტერლინგი	1204 მან. 49 კაპ.
10 ბელგიური ფრანკი	236 მან. 78 კაპ.
1 გერმანული მარკა	487 მან. 18 კაპ.
1 ჰოლანდიური გულდენი	433 მან. 33 კაპ.
1 დანიური კრონა	126 მან. 86 კაპ.
100 იტალიური ლირა	51 მან. 08 კაპ.
1 კანადური დოლარი	616 მან. 98 კაპ.
1 ნორვეგიული კრონა	114 მან. 84 კაპ.
1 ამერიკული დოლარი	779 მან. 00 კაპ.
1 ფინური მარკა	139 მან. 12 კაპ.
1 ფრანგული ფრანკი	144 მან. 05 კაპ.
1 შვედური კრონა	104მან. 51 კაპ.
1 შვეიცარიული ფრანკი	532 მან. 10 კაპ.
10 იაპონური იენი	68 მან. 74 კაპ.
1 ეკიუ	947 მან. 89 კაპ.
10 ესპანური პესეტა	67 მან. 45 კაპ.
10 ბერძნული დრაჰმა	35 მან. 71 კაპ.
1 ირლანდიური გირვანქა	1188 მან. 52 კაპ.
1 ისლანდიური კრონა	12 მან. 39 კაპ.
1 ქუვეითური დინარი	2593 მან. 81 კაპ.
10 ლიბანური გირვანქა	4 მან. 47 კაპ.
10 პორტუგალიური ესკუდო	52 მან. 43 კაპ.
1 სინგაპურული დოლარი	479 მან. 77 კაპ.
10 თურქული ლირა	0 მან. 83 კაპ.
1 ამერიკული დოლარი ინდოეთთან 1992 წლის ანგარიშსწორების მიხედვით	779 მან. 00 კაპ.
1 ესტონური კრონა	60 მან. 90 კაპ.
10 უკრაინული კარბოვანეცი	2 მან. 20 კაპ.
1 ლატვიური რუბლისი	5 მან. 55 კაპ.

საერთაშორისო ოპერაციების სამმართველო.

ჩვენი გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 21 აპრილს.

CBANK

„კაპიტალბანკის" სავალუტო სადეპოზიტო სერტიფიკატი-ესაა სხვადასხვა ქვეყნების იურიდიულ და ფიზიკურ პირთა ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორების უნივერსალური საშუალება და თქვენი სახსრების გაუფასურებისაგან დაცვის საუკეთესო ხერხი.

„კაპიტალბანკი" გიწვევთ აუქციონზე.

გასაყიდად წარმოდგენილი იქნება 10, 100, 1000 და 10 000 ამერიკული დოლარის ღირებულების „კაპიტალბანკის" სავალუტო სადეპოზიტო სერტიფიკატები.

პირველ აუქციონზე გასაყიდად წარმოდგენილი იქნება სერტიფიკატები 50 ათასი ამერიკული დოლარის საერთო ღირებულებით.

ბანკის წარმომადგენლობებში ქ.თბილისი (საქართველო), მოსკოვი (რსფსრ), ნიუ-იორკი (აშშ), ანტვერპენი (ბელგია), სტამბოლი (თურქეთი) ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორებით თავისუფალ ყიდვა-გაყიდვაში მიიღება ბანკის სერტიფიკატები და მისი სრული ღირებულება წარმომდგენელზე დაუყოვნებლივ ანაზღაურდება ამერიკულ დოლარებში. კლიენტის მოთხოვნით, ამერიკულ დოლართან სერტიფიკატის ყიდვა-გაყიდვის კურსი სხვა კონვერტირებად ვალუტაში განისაზღვრება საერთაშორისო საბანკო კურსით ბანკის ყველა წარმომადგენლობაში, რსფსრ-ს მანეთებში რუსეთის საბირჟო ბანკის კურსით - მოსკოვში, ხოლო მანეთებში და კუპონებში სერტიფიკატის საუქციონო პერიოდული ვაჭრობის შედეგებით - საქართველოში.

აუქციონი შედგება „კაპიტალბანკში", ამა წლის „20" აპრ 13⁰⁰ საათზე, ყოველ სამშაბათს.

მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის პრ. 62

ტელეფონი ცნობებისთვის:

თბილისი - 222227, 294759

მოსკოვი - (095) 9249482, 2001413

უცხოური პრესიდან

Hürriyet

„ჰურიეთი", 15 აპრილი 1993 წ.

ოზალი: „სომხებს აღარ ახსოვთ ის სილა, რომელიც მათ ერთხელ უკვე გააწნეს"

ბაქოში თავისი ვიზიტის მეორე დღეს პრეზიდენტი ოზალი სიტყვით გამოვიდა აზერბაიჯანის პარლამენტში. სომხეთს რომ შეეხო, ოზალმა განაცხადა „ეს ქვეყანა ისტორიიდან ჯეროვან გაკვეთილებს არ იღებს. სომხებმა იგივე სცადეს ანატოლიაშიც. მათ აღარ ახსოვთ ის სიმწარე, სილა რომ გააწნეს, მაშინ რომ მიიღეს". იმ შემთხვევაში, თუ სომხები მშვიდობიანად არ დატოვებენ აზერბაიჯანის მიწას, ისინი აქედან გაძევებული იქნებიან, თქვა თურქეთის პრეზიდენტმა.

ოზალმა იტირა და ატირა აზერბაიჯანელები.

აზერბაიჯანელებს რაკეტები გაუგზავნეთ

პრეზიდენტმა ელჩიბეიმ გასულ კვირას თურქეთს სამხედრო დახმარება სთხოვა. სამხედრო დახმარების პირველი პარტია, რომლის მიწოდება აზერბაიჯანისათვის გადაწყდა, უკვე ჩავიდა ადგილზე.

ეს სასწრაფო დახმარება შედგება რაკეტების, გამშვები დანადგარების და სხვადასხვა ყალიბის მსუბუქი კატეგორიის საჭურველისა და ტყვიისწამლისაგან. თურქეთიდან მოსული შეიარაღება დღეიდან დაურიგდებათ აზერბაიჯანის საბრძოლო შენაერთებს, რომლებიც ფრონტზე იბრძვიან. ეს შეიარაღება გარკვეულწილად შეავსებს აზერბაიჯანის არმიის მოთხოვნილებას იარაღზე.

აზერბაიჯანისათვის სამხედრო დახმარების ოპერაციებს ხელმძღვანელობს თურქეთის პრემიერ მინისტრის მოადგილე ერდალ ინენიუ. მან 14 აპრილს გამართულ პრესკონფერენციაზე აღნიშნა: „ჩვენს მიერ გაწეულ დახმარებას სხვადასხვა ფორმა ექნება. ჩვენ ვალდებული ვართ მხარში ამოვუდგეთ აზერბაიჯანს და მას მარტოდმარტო არ დავტოვებთ. ახლა ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში მათი ყველა მოთხოვნილებები დავაკმაყოფილოთ".

თურქეთის მეჯლისის თანადგომა

აზერბაიჯანისათვის მხარდაჭერის მიზნით, თურქეთის პარლამენტმა 14 აპრილს ცვლილებები შეიტანა თავისი სხდომის დღის წესრიგში, დამატებით განიხილა და დაამტკიცა ის ხუთი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლებიც აზერბაიჯანთან დაიდო საჰაერო მიმოსვლის, საკონსულო, სამართლებრივი და სამხედრო თანამშრომლობის თაობაზე.

„ურთიერთდახმარების შესახებ" ხელშეკრულების შესაბამისად, თუ რომელიმე მხარე მესამე მხარის აგრესიის წინაშე აღმოჩნდება, მეორე მხარე მას აღმოუჩენს აუცილებელ დახმარებას გაეროს წესდებისა და ევროპის შეთანხმების მოთხოვნათა შესაბამისად.

Milliyet Halk Gazetesi

„მილიეთი" 15 აპრილი 1993 წ.

უკანასკნელი გაფრთხილება სომხეთს

აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრი თევფიკ კასიმოვი, რომელიც ამერიკაში შეხვდა კლინტონს და იყო სტამბოლში, იმედით აღსავსე დაბრუნდა ბაქოში. ამერიკის პრეზიდენტმა და მისმა ადმინისტრაციამ მას სიტყვა მისცეს, რომ ყველაფერს, იღონებენ სომხეთის შეიარაღებული ძალების უკან დახევისათვის. იგივე აღუთქვეს მას გაეროში. კასიმოვმა აღნიშნა, რომ მას ხელთ აქვს უტყუარი საბუთები, რომლებიც ადასტურებენ, რომ რუსეთი და საფრანგეთი ფულით და იარაღით ეხმარებიან სომხეთს. „ჩვენ კი, თქვა კასიმოვმა, თურქეთს პოლიტიკური, ეკონომიკური და ჰუმანური დახმარება ვთხოვეთ. ჩვენ თურქეთის საშინაო საქმეებში არ ვერევით. მაგრამ მე წინააღმდეგი ვიყავი იმისა, რომ თურქეთს ჰუმანური დახმარება აღმოეჩინა სომხეთისათვის.

„გონება მოიკრიბეთ, თორემ ბოლო სავალალო გექნებათ"

აზერბაიჯანის მეჯლისში რომ გამოვიდა, პრეზიდენტმა თ. ოზალმა დაგმო სომხების მოქმედება, ერთგვარად უკანასკნელად გააფრთხილა ისინი, აზერბაიჯანელებს კი დაარიგა, რომ თავის ამჟამინდელ განსაცდელში მაგალითად მიიჩნიონ თურქების ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. საერთოდ, შუა აზიის ქვეყნებში თავისი ახლანდელი მოგზაურობის დროს თურგუთ ოზალმა ყველას ურჩია, რომ მიბაძონ თურქეთს, მაგალითი მისგან აიღონ.

მასალა შეაგროვა და თურქულიდან თარგმნა ნოდარ კომახიძემ.

SABAH

15 NİSAN 1993 PERŞEMBE TELERAMA İLE BİRLİKTE 5000 LİRA

„საბაჰი", 15 აპრილი 1993 წ.

თურქეთის პრემიერ-მინისტრმა სულეიმან დემირელმა განაცხადა „ჩვენ არ ვაპირებთ ცალმხრივად სამხედრო ჩარევა განვახორციელოთ აზერბაიჯანში. თუ რამეს განვახორციელებთ, საერთაშორისო საზოგადოებრიობასთან ერთად გავაკეთებთ. ჩვენ საბერძნეთმა შეგვახსენა, რომ ვართ გაეროს, ნატოს, და ევროპის თათბირის წევრი ქვეყანა, მაგრამ ვაცხადებთ, რომ ეს წევრობა ამავე დროს ჩვენს მოვალეობებსაც ითვალისწინებს. ჩვენ ისეთს არაფერს ჩავიდენთ, რომ ჩვენს მეგობრებს პრობლემები შევუქმნათ".

Cumhuriyet

„ჯუმჰურიეთი" 15 აპრილი 1993 წ.

სომხეთის არმია ყუმბარებს უშენს აზერბაიჯანის ქალაქ ფიზულის. შეიქმნა ქალაქის აღების რეალური საშიშროება. თავდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით ჩაიხერგა ქალაქში შესასვლელი გზები, მდგომარეობა კრიტიკულია. ლონდონმა მოსთხოვა სომხებს დაუყოვნებლივ უკან დაიხიონ და გაათავისუფლონ დაპყრობილი ტერიტორიები.

აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრი თევფიკ კასიმოვი სტამბოლშია და აწარმოებს მოლაპარაკებებს.

უცხოური პრესიდან

გიუნტერ ჰაიპი სხვას ამბობს...

შარშან, წლის ბოლოს, რესპუბლიკის ოპოზიციურ პრესაში გამოჩნდა ცნობა იმის შესახებ, რომ საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს ზ. გამსახურდიას ფრიად პრესტიჟული საერთაშორისო ჯილდო — ალბერტ შვაიცერის სახელობის „მშვიდობის მედალი" მიენიჭა და, თითქოსდა, ეს პრემია მას მშვიდობისმოყვარე პოლიტიკის გატარებაში და ადამიანის უფლებათა დაცვაში ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის მიიღო.

მე, როგორც საქართველო-გერმანიის მეგობრობის საზოგადოების წევრს, მჭიდრო ურთიერთობა მაქვს საქართველოს დიდ მეგობრებთან — პროფესორ ჰერმან ვედეკინდთან და ალბერტ შვაიცერის მშვიდობის ცენტრის თავმჯდომარესთან ბატონ გიუნტერ ჰაიპთან. დიდია მათი წვლილი საქართველო-გერმანიის ურთიერთობათა განვითარებაში უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე და ერთობლივი ძალისხმევა ქართველი ხალხის დასახმარებლად ამ ძნელბედობის ჟამს.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია ამ ორი პიროვნების პოზიცია საქართველოში ბოლო წლებში განვითარებული პოლიტიკური მოვლენების მიმართ, მე და ჩემს მეგობრებს ეჭვი შეგვეპარა ოპოზიციური პრესის ინფორმაციის სისწორეში და, ორიოდე თვის წინ, დავუკავშირდით ალბერტ შვაიცერის მშვიდობის ცენტრის თავმჯდომარეს ბატონ გიუნტერ ჰაიპს. მან კატეგორიულად უარყო — პრეზიდენტყოფილისათვის პრემიის მინიჭების ფაქტი.

ახლახან, 11 აპრილს კი თბილისში ჩამობრძანდა ბატონი ჰერმან ვედეკინდი, რომელმაც გადმოსცა ალბერტ შვაიცერის მშვიდობის ცენტრის თავმჯდომარის ოფიციალური წერილი.

აი, ამ წერილის ქართული თარგმანი:

ალბერტ შვაიცერის მშვიდობის მედალი

„ალბერტ შვაიცერის მშვიდობის მედლით თანხმობისათვის და ძალადობის წინააღმდეგ" საქართველოში დაჯილდოებული არიან ქართველი ხელოვანები და მეცნიერები მხოლოდ პროფესორ ჰერმან ვედეკინდის (ზაარბრიუკენი) წარდგინებით (სია თან ერთვის). გარდა ამისა, მედლით დაჯილდოვდნენ 1989 წლის 9 აპრილის მსხვერპლნი სიკვდილის შემდეგ.

საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას ალბერტ შვაიცერის მშვიდობის მედალი არ მიუღია.

გიუნტერ ჰაიპი,
თავმჯდომარე.

წერილზე დართულ კომენტარში ბატონი გიუნტერ ჰაიპი გერმანული სიზუსტით განმარტავს:

„1991 წლის 16 დეკემბერს პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ სასაუბროდ მიგვიწვია პროფესორი ჰერმან ვედეკინდი და მე.

საუბარი იმავე საღამოს გადასცა საქართველოს ტელევიზიამ. მეორე დღეს კი ქართულმა პრესამ საზოგადოებრიობას აუწყა ამის შესახებ. ყველა ქართველი მეგობარი, ვისაც კი ვკითხეთ, პოლიტიკური პოზიციის მიუხედავად, დაგვეთანხმა, რომ გამართლებული და კარგი იყო ჩვენი მხრიდან ამ მოწვევის მიღება, რადგან ამით პატივი ვეცით 1989 წლის 9 აპრილის დაღუპულებს, და არჩეულ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს დაღუპულთა პატივსაცემად გადავეცით სიგელი ალბერტ შვაიცერის მშვიდობის მედალთან ერთად. სიგელის ტექსტიდან ნათლად ჩანს მოტივი, რაც ჩვენ გვამოძრავებდა. ამიტომ სიგელი და მედალი ბატონ გამსახურდიასთვის არ იყო განკუთვნილი. ორივე მათგანი უნდა ინახებოდეს სახელმწიფო არქივში და არავითარ შემთხვევაში ექს-პრეზიდენტის მფლობელობაში.

ძალიან ბევრ ქართველს თვითონ შეეძლო წაეკითხა სიგელის ტექსტი, რომლის ასლი მაშინ პრესაში გამოქვეყნდა. გარდა ამისა პრეზიდენტის ბიუროს მეშვეობით სიგელის ყველაზე მნიშვნელოვანი ფრაზა განმეორდა ქართულ და რუსულ ენებზე. აქედანაც სრულიად აშკარად ჩანდა, რომ დაჯილდოებული პრეზიდენტი არ ყოფილა.

გიუნტერ ჰაიპი,
თავმჯდომარე.

ახლა ობიექტურმა მკითხველმა განსაჯოს მტყუანი და მართალი.

მიხეილ ლოლაძე,
სასტუმრო „აჭარის" დირექტორი.



ელოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭ

რიდან. № 246 (266) სამშაბათი, 17 დეკემბერი, 19

სტუმრად პრეზიდენტთან

Die Vereinigung Albert-Schweitzer-Friedens-Zentrum, Institut zur Förderung gewaltfreier Politik e.V. Saarbrücken, verleiht posthum den

Opfern des 9. April 1989 in Tbilisi

die Albert-Schweitzer-Friedens-Medaille für Versöhnung und Gewaltfreiheit.

Diese Menschen haben durch ihren friedvollen Protest gegen die Unterdrückung ihres georgischen Volkes Zeugnis abgelegt für den Geist der Gewaltfreiheit, wie er durch Albert Schweitzer verkörpert wurde.

Ihr Andenken soll Ansporn sein für die friedliche und versöhnungsvolle Entwicklung der Georgischen Republik.

Centre Albert Schweitzer de la Paix
Albert Schweitzer-Peace-Centre
Albert Schweitzer-Friedens-Zentrum

D-6600 SAARBRÜCKEN 1
Feldmann-Straße 40
Telefon (06 81) 5 74 16

Gunther Anders
Karl Bechert († 1981)
Dom Helder Câmara
Robert Jungk
Linus C. Pauling
Rhena Miller-Schweitzer
[illegible]
Pfarrer Gunther Heipp

5. April 1993

Albert Schweitzer-Friedens-Medaille

Die "Albert Schweitzer-Friedens-Medaille für Versöhnung und Gewaltfreiheit" wurde in Georgien ausschließlich an die von Prof. Hermann Wedekind (Saarbrücken) vorgeschlagenen georgischen Künstler und Gelehrten verliehen (die Liste liegt hier bei), außerdem posthum an die Opfer des 9. April 1989 in Tbilisi.

Der frühere Präsident Georgiens, Swiad Gamsachurdia, hat keine Albert Schweitzer-Friedens-Medaille erhalten.

Gunther Heipp

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" 1991 წლის 17 დეკემბრის ნომრის პირველი გვერდისა და ბატონ გიუნტერ ჰაიპის წერილის ანაბეჭდები — დოკუმენტები, რომლებიც ამხილებენ სიყალბეს.

მთავარი რედაქტორი ზურაბ ბოზიაშვილი.

მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.
ტელეფონი — 34-73-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА

ინდექსი 66484